ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა

№ 11

საქართველოს

საშვალო საუკუნეთა

ისტორია

თავადის ს. ბარათაშვილისა

ნათარგმნი ს. ხუნდაძის მიერ

რვეული II

ქრისტიანობის მიღებიდან არაბების შემოსევამდი.

ქუთაისი 1895
Типо-Литографія И. И. Гамрекели

საქართველოს

საშვალო საუკუნეთა ისტორია.

საქართველოს ისტორიას თითქმის ისევე ანაწილებენ, როგორც მსოფლიო ისტორიას. საქართველოს საშვალო საუკუნეთა ისტორია მეოთხე საუკუნიდან იწყება, სახელდობ ქართველ ხალხში ქრისტიანობის დაფუძნებიდან, და თავდება მეთუთხმეტე საუკუნის ნახევარში ქართველთა სამეფოს დაყოფით რამდენმე განცალკევებულ სამფლობელოდ.

სანამ საშვალო საუკუნეთა ისტორიის მოთხრობას დავიწყებდეთ, თავდაპირველად ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ –ავუხსნათ მკითხველს, თუ რა მეტოდით ვხმარობთ და ვაჩვენებთ ხოლმე წყაროებს, რომელთაგანაც ამოკრეფილი გვაქვს ფაკტები და შედგენილი აზრები. პირველ რვეულის დასაწყისში ჩვენ კიდევაც ავხსენით, თუ რა წყაროებიდან უნდა იქნეს შედგენილი ჩვენი ისტორია; ახლა კი მხოლოდ ის უნდა ვთქვათ, რომ: პირველი, ჩვენის წერილების ის ფაკტები, რომლის წყაროც არ არის ნაჩვენები, უმეტეს ნაწილად ამოღებულია «ქართლის ცხოვრებიდან», როგორც საქართველოს ისტორიის ძირითად მასალი-

დან; აგრეთვე არ არის ნაჩვენები წყარო იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაკტებით, რომელიც სპეციალურ თხზულებათაგან კი არ არის ამოღებული, არამედ მსოფლიო ისტორიიდან ანუ სხვა შემწეობით მეცნიერებათაგან, – ესენი არიან ყოველ განათლებულ კაცის მეხსიერების აუცილებელი საგნები. მეორე, იმ გარემოებათა აწერის დროს, რომელნიც ერთნაირად ეხებიან საქართველოისა და ბიზანტიის ისტორიას, ჩვენ ბიზანტიის ისტორიკოსთა დალაგებული მოთხრობა ვამჯობინეთ და მათ უფრო დავენდვეთ, ვიდრე ქართველ მემატიანეებს, და მესამე,

როცა კი პართიელების, ბერძნების ან სხვა ხალხების მატიანეთა რომელიმე გარემოება შეტანილი ვიპოვეთ უკანასკნელ დროის შესანიშნავ ისტორიკოსთა თხზულებებში, ჩვენ, მემატიანეებთან შედარებით, უპირატესობა მივეცით ხსენებულ ისტორიკოსთა აზრებს, ვითარცა კრიტიკით აწონილსა და შემუშავებულს.

ქრისტეს სარწმუნოების შემოტანა საქართველოში.

I

საქართველოს მდგომარეობა სარწმუნოების მხრით ქრისტიანობის მიღებამდი.

კერპთაყვანისმცემლობა და ცრუმორწმუნეობა. – ხმა ქრისტეს შესახებ. – ზოგიერთ წრეების მიდრეკილება ქრისტიანობისადმი.

ჩვენ კიდევაც ვთქვით, რომ, მეფურ მართველობის დადგინების დასაწყისშივე, საქართველოში ზოროასტროს მოძღვრების რწმენა დასავლეთის კერპთაყვანისმცემლობის შემორევამ შეარყია. როდესაც ფარნაჯომმა ზენდ-ავესტის წესების გაწმენდა მოინდომა, ხალხი ძლიერ ეწინააღმდეგა მას, და მის განდევნის საბაბად, მატიანეთა სიტყვით, ეს გარემოება შეიქნა. მაგრამ კერპთაყვანისმცემლობამ აღმოსავლეთში მაინც ვერ მოიდგა ფეხი: ის აქ არ შეუტანიათ კანონმდებლობაში, როგორც საბერძნეთსა და რომში, და უფრო მოდას შეადგენდა აქ, ვიდრე შეგნებულს აუცილებელ საჭიროებას. რაკი ხედავდენ, რომ ღვთაება, კერპის სახედ გამოხატული, გა-

ჩუმებული იყო, ყველანი თავის სულიერ მდგომიარეობის მიხედვით ხსნიდენ მის ნებასა და წადილს.

– 6 –

სარწმუნოების ამგვარ მდგომარეობის გამო, გარშემორტყმულ ბუნების გავლენით, საქართველოში აუცილებლად უნდა გავრცელებულიყო ცრუმორწმუნეობა. მართლაც აქ ერთობ გავრცელებული იყო ის, და ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ დღესაც აქ დაბალი ხალხი თაყვანსა სცემს დიდ ხეებს, ქვებსა და იმათ მსგავს საგნებს, რომელიც კი ძლიერათ მოქმედებს ადამიანის წარმოდგენაზე. სპარსელებიცა და სომხებიც, რომელნიც ამ ქვეყნის საზღვრებში ცხოვრობდენ, ვერ აცილდენ ამ ბედისწერას. საქართველოში მცხოვრებთ უცხო ტომთაგან მტკიცედ მხოლოდ ებრაელებმა შეინახეს თავიანთი სარწმუნოება. ფარსმან I-ის მეფობის დროს ერთი ამ ქვეყნელი ებრაელი სახელად ელიოზი, ქრისტეს ჯვარზე ცმის დროს იქრუსალიმში იყო, და როცა მაცხოვრის სამოსელზე წილი ჰყარეს, ქრისტეს კვართი იმას ხვდა; როცა ეს ებრაელი მცხეთას დაბრუნდა, ხმა მოფინა ყოველგან დიდ მოძღვრის შესახებ, რომელიც თავის თავს მაცხოვრად აღიარებდა. ებრაელის ნაამბობი ისე ძლიერი იყო, რომ მეფის ყურადღება მიიქცია. ფარსმანმა კვართის ხელში გდება მოიწადინა, მაგრამ ეცადენ და დაუფარეს მას. ელიოზის ნაამბობს მოემატა აგრეთვე წერილები, რომელსაც ქართველ ებრაელებს უგზავნიდენ იერუსალიმიდან და რომელშიც მოხსენებული იყო ცნობები იესოს შესახებ. ელიოზის ერთი შთამომავალთაგანი, რაბუნი აბიათარი, რომელიც მცხეთაში

– 7 –

ცხოვრობდა მეოთხე საუკუნის დასაწყისში, აგვი-

წერს შემდეგ გადმოცემას, მის ოჯახში დარჩენილს: „ეროდეს მეფობის დროს ქართველ ებრაელთა შორის ხმა გავრცელდა, იერუსალიმი სპარსთა დაიპყრესო. ამისათვის აღიძრენ ისინი და აღთქმა დასდგეს წასულიყვენ და იერუსალიმისათვის რაიმე შემწეობა მიეცათ; მაგრამ მალე ახალი ცნობა მიიღეს, – სპარსნი სამტროდ კი არ მოსულან არამედ მოიტანეს ძღვენი დავითის თესლისგან შობილის ყრმისათვისაო, და ამ ცნობამ დაამშვიდა ისინი. როცა ამას შემდეგ თითქმის ოც-და-ათი წელიწადი გავიდა, ელიოზმა იერუსალიმიდან მიიღო ანნა ღვდლის წერილი, რომელშიც ეწერა: «იგივე, რომლისათვის სპარსნი ძღვნითა მოვიდე, აღზრდილ არს და ჰასაკსა ზომისასა მოწევნულ არს იგი და თავსა თვისსა ძედ ღვთისად ხადის. აწ მოვედით ყოველნი სიკვდილსა მისსა, რათა აღვასრულოთ მცნება მოსესი». ამ ცნობის გამო ელიოზ მცხეთელი და მისი ამხანაგი ლონგინოზ კარსნელი წავიდენ იერუსალიმს და იხილეს იქ ჯვარცმული ქრისტე და ისმინეს ღვთაებრივ მოწამის უკანასკნელი ხმა: «მშვიდობით, მეფობაო ურიათაო, რამეთუ მოჰკალით თავისა თქვენისა მაცხოვარი და მხსნელი.»

ეს გადმოცემა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა ქართველთ ურწმუნოების დროს აქ მოვიდენ წმ. მოციქულნი ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი. თუმცა ამათ ქადაგებათა წარმატება ფარ-

სმანის დევნის გამო გაქარწყლდა, მაგრამ ზოგიერთ ქართველთა გონებაზე დიდი გავლენა ქონდათ მეორე საუკუნეში ეპისკოპოზებს: რომაელს კლიმენტის, რომელიც იმპერატორ ტრაიანის მიერ გადასახლებული იყო საქართველოს უახლოეს მხარეებში, და პონტოელს პალმს, რომელიც სამეგრელოში იყო დაბადებული. ამ ქვეყანაში წარმართობა იმ ხანებში

სრულიად ეცემოდა დღითი-დღე, – ხოლო ქრისტეს მოძღვრება თან-და-თან უფრო-და-უფრო იზიდავდა თავისკენ ადგილობრივს გონიერ მკვიდრთა. ამზასპ II-ის მეფობის დროის არეულობა იმის დამამტკიცებელი საბუთი იყო, რომ ქართველი მდაბიო ხალხი ფრიად დაცემული ყოფილა მაშინ ზნეობითად.

ყოველიფერი ქვეყანაზე განგების ნებით მოხდება ხოლმე, და ეს ნება გამოიხატება ბუნების კანონებით. ამ კანონების ძალით ყოველიფერი, როგორც ფიზიკური, ისე მორალურიც, – ფრიად შესამჩნევ სიდიდის იქნება ის და კაცის გონებისათვის წარმოუდგენელი, თუ არარაობის შესადარი უუმცირესი რამე, – ყოველიფერი იცვლება. პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ხალხთა დაწესებულებანიც არ არიან დაფარულნი ამ საერთო წესისაგან. სარწმუნოებაც დაწესებულებაა, იმისთანა, როგორიც შეეფერება კაცთა საზოგადოების განვითარების მდგომიარობას; მაგრამ, როდესაც საზოგადოების მოწინავე წევრთა შეხედულება იცვლება და გამოდის იმ მდგომიარობისაგან, რომელშიაც დაწესებული იყო

რომელიმე სარწმუნოება, –მაშინ ეგ სარწმუნოება კარგავს მთელს თავის ძალას და, ვითარცა ცრუ მოძღვრება, – პატივისცემას ხალხის მხრით. ბრბო თანდათან ამახინჯებს მას და ბოლოს კიდევაც კარგავს; მაგრამ კაცი, თავის ბუნებისამებრ, ეძებს ახალ სარწმუნოებას, ჭეშმარიტებასთან უახლოესს. ბრბოს ყოველთვის წინაუძღვიან საზოგადოების მოწინავე წევრნი, და ყველა დაბრკოლებისა და დევნის მიუხედავად, რომელნიც ყოველგვარ რეფორმების დროს აუშორებელნი არიან, ისინი აყენებენ საზოგადოებას იმ გზაზე, რომლისკენაც თვითონ მიისწრაფოდენ.

ამზასპის დროს საქართველოში იყვენ, – რო-

გორც არიან ხოლმე ყოველთვის ყოველ საზოგა-
დოებაში, – იმისთანა პირნი, რომელთაც შეეძლოთ
ჭეშმარიტების გარჩევა სიცრუისაგან და სასარგე-
ბლოსი – საშიშარისაგან, და ამ პირთა შემწეობით
ქართველი ხალხი გამოვიდა თავის დაცემულ ზნეო-
ბრივ მდგომიარობისაგან. ეჭვი არ არის, რომ ამის-
თანა პირთა დასში პირველი ადგილი სჭერია რევს,
და, როგორც ადგილობრივი მატიანეები ამბობს, ეს
მეფე გამსჭვალული ყოფილა სახარების მოძღვრებით.
ქართველმა მართველობამ პირველად იმით გამოიჩი-
ნა ქრისტიანობისადმი მიდრეკილება, რომ აუკრძა-
ლა ხალხს ადამიანის მსხვერპლვა უსულ-გულო
ღმერთების წინაშე.

მთელის ხნის განმავალობაში, რევის მეფობი-

დან მოკიდებული იმ დრომდი, სანამ წმ. ნინო სა-
ქართველოს მოვიდოდა, ქრისტიანობრივი რწმენანი
ამ ქვეყანაში თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ შეუფერხე-
ბლათ ვრცელდებოდენ, და ამ რწმენათადმი პატი-
ვისცემამ და მიდრეკილებამ მირიანის დროს თვით
მეფის კარამდისაც მიაწია; ამის მიუხედავად, ხალხის
ძველ ჩვეულებისამებრ, წარმართობის სარწმუნო-
ებრივი დღესასწაულობანი დიდის ამბით სრულდე-
ბოდენ.

II

ქრისტიანობის გავრცელება საზოგადოდ და მისი მდგომიარობა საქართველოში დამკვიდრებამდე.

ქრისტიანთა საზოგადოებანი. – მათი გავრცელება რომის იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში. – ქრისტეს სარწმუნოების მთავარ სარწმუნოებად აღსარება იმპერიაში.

მაცხოვრის მოსვლას, ამ ქვეყნად ცხოვრებასა და ამაღლებას შემდეგ, რასაც მახარობელნი მოგვითხრობენ, მისმა მოციქულებმა შეადგინეს იერუსალიმში პირველი ქრისტიანთა საზოგადოება და იქიდან დაიწყეს სახარების მოძღვრების გავრცელება. ამ მიზნით ისინი გაემგზავრენ უუშორეს ქვეყნებში და ყოველგან ქადაგებდენ სიყვარულისა და სათნოების სარწმუნოებას. იესოს მსგავსად, იმათ შესწირეს თავიანთი სიცოცხლე კაცობრიობის სარგებლობას და ამით მრავალ ქვეყანაში დასდვეს სარწმუნოების საძირკველი. მაგრამ ყველაზედ უმეტესად მოციქულმა პავლემ იმოღვაწა. ქრისტიანობის მდევნელისაგან ის გადაიქცა ქრისტეს სარწმუნოების უმხურვალეს მქადაგებლად, მიმოვლო მცი-

რე აზია, მაკედონია. საბერძნეთი და იტალია, და თუმცა ბევრი დევნა და დაბრკოლება აიტანა, მაგრამ ყოველგან დააარსა ქრისტიანთა საზოგადოებანი. რომის მართველობის დევნათა გამო ეს საზოგადოებანი მჭიდროდ შეერთდენ. ერთმანერთს შველიდენ და თავიანთ წევრებს მატერიალურ გაჭივრებისაგან იფარავდენ.

ამისთანა მდგომარეობაში იყო ქრისტიანობა I საუკუნეში, ხოლო მე-II საუკუნის დასაწყისიდან ამ საზოგადოებათა შორის გამოჩნდენ განათლებული პირნი, რომელთაც განაგრძეს მოციქულთა მოღვაწეობა. კლიმენტიმ, რომაელმა ეპისკოპოსმა, რომელიც ველურ ქვეყნებში იყო გადასახლებული [1]),

ეგნატემ, ანტიოქიის ეპისკოპოსმა, რომელიც ტრა-
იანემ მხეცებს ჩაუგდო შესაჭმელად [2]), სამარიელმა
იუსტინემ, რომელსაც მარკ ავრელის ბძანებით
თავი მოკვეთეს [3]), პოლიკარპემ, სმირნის ეპისკო-
პოსმა, ირინეიმ, ლიონის ეპისკოპოსმა, კიპრიანემ,
კართაგენის ეპისოპოსმა და სხვა მწერლებმა და მქა-
დაგებლებმა გაამტკიცეს და კიდევ უფრო გაავრცელეს
საზოგადოებანი. მე-II საუკუნის ნახევრის მახლობ-
ლად პალესტინას, სირიას, მცირე აზიას, საბერძნე-
თსა და რომს გარდა ქრისტიანთა საზოგადოებანი
დაარსდენ აგრეთვე ეგვიპტეში, ჩრდილოეთის აფრი-

---

[1]) Irenei I. I. e. IX და თვენი, იანვარი.

[2]) თვენი, დეკემბერი.

[2]) იქვე, ივნისი.

კაში, სომხეთში, მესოპოტამიაში, სპარსეთში, გალ-
ლიაში, ისპანიასა და ბრიტანიაში. ყოველგან აშე-
ნებდენ ტაძრებს და იერარქიას აწესებდენ. მაგრამ,
ამ წარმატებათა მიუხედავად, მე-III საუკუნეში
ქრისტეს სარწმუნოება ჯერ კიდევ არსად არ
ყოფილა სახალხო უმთავრეს სარწნუნოებად [1]). ის
წარმართები, რომელნიც ქრისტეს მოძღვრების
ჭეშმარიტებას პატივისცემით ეპყრობოდენ, ქრი-
სტიანებზე გაჯავრებულნი იმიტომ იყვენ, რომ ესე-
ნი მეტისმეტად ერიდებოდენ საზოგადოდ წარმარ-
თების დაახლოებას. ამგვარმა მათმა საქციელმა გა-
მოიწვია საშინელი დევნა დიოკლეტიანეს მხრით მე-IV
საუკუნის დასაწყისში. ამ დევნის უახლოეს საბაბათ
ის გარემოება შეიქნა, რომ ერთხელ ქრისტიანთა
ჯარებმა, რომელნიც სამსახურის გამო ვალდებულნი
იყვენ წარმართების ერთ დღესასწაულობამი მო-
ნაწილეობა მიეღოთ, თავიანთ ჩაჩქნებზე ჯვრები გა-
მოხატეს. ქურუმებმა იმპერატორთან იჩივლეს და

თხოულობდენ, რომ სასტიკათ დაესაჯა ისინი. თავ-
დაპირველად დიოკლეტიანე ვერ ბედავდა ქრისტიან-
თა დასჯას, რადგან ისინი საკმაოდ ბევრი იყვენ
და რადგან ერიდებოდა მათს საერთო უკმაყოფილე-
ბას. მაგრამ შემდეგ კეისარმა გალერიმ დაარწმუნა
ის, რომ ამისთანა შემთხვევაში დათმობა არ ვარგაო,
რადგან ქრისტიანები მაშინ უფრო გათავხედდებიანო.

---

[1]) Всебщая истор. Георга Вебера, II, стр. 8-10.

დიოკლეტიანემ ბძანა, დაეკეტათ და აეოხრებიათ
ტაძრები, შეემუსრათ ჯვრები და ხატები, და ქრის-
ტიანები კი გამოეგდოთ ყველა საზოგადო თანამ-
დებობიდან. როცა ეს ბძანება ყველას საყურადღე-
ბოდ გამოფინეს, ერთი ქრისტიანთაგანი მივიდა კე-
დელთან, რომელზედაც მიჭედილი იყო ბრძანება, და
ზიზღით ჩამოგლიჯა ის. მაშინ დიოკლეტიანემ, მის
იმპერატორების ხელმწიფების წინააღმდეგ ამგვარის
კადნიერებით გარისხებულმა, უბძანა ჯარსა და ხალხს,
უწყალოდ ეძარცვათ და ეწყვიტათ ქრისტიანები.
მცირე აზია, აფრიკა და სამხრეთი ევროპა
გადაიქცენ კაცთა საკლავ ადგილებად და მოკლე
დროში ურიცხვმა ქრისტიანმა დალია სული საში-
ნელის ტანჯით. მაგრამ ამას მალე მოყვენ შემდე-
გი გარემოებანი: სასახლეში ცეცხლი გაჩნდა, დიო-
კლეტიანე მძიმე ავად შეიქნა და ჭკუის შეშლის ნი-
შნებიც გამოაჩნდა მას, – ქრისტიანებმა ყველა ეს
განგებისაგან მოვლინებულ სასჯელად ჩარაცხეს და
ამიტომ არ დაცემულან სულით, – მათ სწამდათ,
რომ მოწამეთა სისხლი ახალი თესლია ქრისტიანო-
ბის გასამრავლებელიო [1]).

მათ საბედნიეროდ, დიოკლეტიანემ ვეღარ შე-
სძლო სახელმწიფოს მართვა და 305 წელს ჩამოვი-
და ტახტიდან და მალე რომის იმპერიაში გაჩნდა

ექვსი იმპერატორი, რომელთაც ქრისტიანთა დევნი-

[1]) Всебщая истор. Ф. Шлоссера, т. IV, стр. 415.

სათვის იმდენად არ ეცადოთ, რადგან ერთმანერთის ცილობით იყვენ გატაცებულნი. მათ შორის ერთი, სახელდობ კოსტანტინე, კეისრის კოსტანცი ხლორის შვილი, რომელსაც ხელთ ეპყრა გალლია. – კიდევაც ემხრობოდა ქრისტიანობას, ისე როგორც აგრეთვე მამა მისი. როდესაც მოცილეები ერთმანერთ შორის ომობდენ და უღონოებს ტახტიდან-აგდებდენ, კოსტანტინე განზე იდგა იმ დრომდის, სანამ მაქსენცი რომს დაიპყრობდა და ბოლოს თავს დაესხმოდა მას. მაშინ კოსტანტინე წინ გაუძღვა გალლებს და მაქსენცის ჯარებში მოსამსახურე ქრისტიანებს გამოუცხადა: „მე მივდივარ მაქსენცის წინააღმდეგ, ვითარცა ქრისტიანთა დამცველიო", აკურთხა თავისი დროშები ჯვრის გამოხატულებითა და მაცხოვრის სახელით, და 312 წელს დაამარცხა თავისი მოცილე და დაიპყრო რომი. ამ გამარჯვებით დასრულდა პოლიტიკური ომი, და შედეგი ის იყო, რომ ქრისტიანობამ წარმართობას სძლია. ქრისტიანთა სიხარულს სრულად თანაუგრძნობდენ თვით კოსტანტინე, ამას შემდეგ დიდად წოდებული, მისი ცოლი ფაუსტა, დედა ელენე და სიდედრი ევტროპია, აგრეთვე მთელი სასახლე და ჯარი. ხელახლავ დაიწყეს ტაძრების შენება და გამშვენიერება, იერარქიები თავისუფლად დაწესდა, და ქრისტიანთა სჯული მთელ იმპერიაში უმთავრეს სარწმუნოებად გადაიქცა. ამგვარ მდგომიარობაში იყო ქრისტიანობა იმ დრომდის, სანამ ის საქართველოში დაემკვიდრებოდა.

III

ქართველების მიერ ქრისტიანობის მიღება.

წმ. ნინოს შთამომავლობა, აზრდა და რომს მოგზაურობა. – მის მეგობარ ქალების დევნა დიოკლეტიანესა და ტირიდატის მიერ. – წმ. ნინოს მოსვლა საქართველოს. – კერპების ორმუზდისა და ზადენის დღეობა. – წმ. ნინოს საიდუმლო ქადაგებანი და ავათმყოფთა კურნებანი. – მირიანისაგან მისი ნახვა. – შემთხვევა ნადირობის დროს და მირიანის აღთქმა ქრისტეს სარწმუნოების მიღებისათვის. – სამეფო რჩევის დადგენილობა. – ჯვართ ამაღლება. – ქართველ ხალხის მონათვლა. – წმ. ნინოს შემდეგ დროის წარმატებანი. – საქართველოს ეკლესიის ჩარაცხვა ანტიოქიის საპატრიარქოში.

წმ. ნინოს მოსვლა საქართველოს უნდა მომხთარიყო დიოკლეტიანეს მეფობის უკანასკნელ წლებში. იმის ბიოგრაფიიდან, რომელიც მის თანამედროვეს ქართველთ მეფის ასულს სალომეს დაუწერია, სჩანს, რომ ნინო ყოფილა შთამომავლობით კაბადუკიის ქალაქ კოლასტრიდან, კეთილმორწმუნე მშობელთ ასული. მისმა მამამ ზაბულონმა, რომელიც მაქსიმიანოს ჯარებში მსახურობდა, სახელი გაითქვა სამხედრო და საქრისტიანო მოღვაწეობით იმ ხანებში, როცა ეს იმპერატორი ფრანკებს ეომებოდა. როცა აზიას დაბრუნდა, მან შეირთო ცოლად იერუსალიმის პატრიარქის და; ამს ქორწინებიდან გაჩნჩა ნინო. ყრმობაშივე დაობლებული ნინო ბიძა მისმა პატრიარქმა მიიყვანა იერუსალიმს და მიაბარა

ასაზრდელათ ტაძრის მოსამსახურე ქალს, ბეთლემელ სარას.

ნინომ საფუძვლიანათ შეისწავლა ქრისტეს მოძღრება; ის კარგად მოზრდილი ქალიშვილი იყო იმ დროს, როცა სასახლის ერთი ქალი მოვიდა იერუსალიმს

და ხმა გაავრცელა, რომ დედოფალს ელენეს, კოს-
ტანცი ხლორის მეუღლეს, ძლიერ სწადია ქრისტი-
ანობის მიღება, მაგრამ ხელს უშლიან ზოგიერთი
გარემოებანიო. ამ ამბით აღტაცებულმა ნინომ გა-
დაწყვიტა რომს წასვლა და ქრისტეს სარწმუნოების
გასავრცელებლად თავის გადადება. ნინომ მიიღო პა-
ტრიარქისაგან ნებართვა და კურთხევა; ამას შემდეგ
ის და სასახლის ქალი გაემგზავრენ და მივიდენ
რომს; აქ ნინო შევიდა მონასტერში, სადაც ორ-
მოც-და-ათიოდე ქალწული, და მათ შორის მშვენი-
ერი რიფსიმე, სწავლობდენ და ემზადებოდენ ქრი-
სტიანობისათვის.

როცა იმპერატორ დიოკლეტიანეს აცნობეს
რიფსიმეს სიმშვენიერე, მან მოიწადინა მისი გამო-
ყვანა მონასტრიდან. ამ წადილმა აიძულა ქალწულნი,
დაეტოვებიათ ღამით მონასტერი და შორ ქვეყნები-
საკენ გაქცეულიყვენ. ნინომ თან წაიყვანა რიფსიმე,
გაიანე და ზოგიერთი სხვებიც და მოვიდა სომხეთს,
რადგან ფიქრობდა, რომ იქ დაიფარავდა მათ. მაგ-
რამ მალე, დიოკლეტიანეს წერილისა გამო, ტირი-
დატმა მოძებნა ისინი ყველანი, ნინოს გარდა,
და, რადგან ქორწინებაზე ცივი უარი გააცხადეს,

ამიტომ აწამეს ისინი და მოკლეს.

ნინო გადარჩა თავის მეგობარ ქალწულთა
ხვედრს და სომხეთის ჩრდილოეთის მხარეებში იმალე-
ბოდა; შემდგომ წელს კი, რიფსიმეს სიკვდილს შემ-
დეგ, ივლისში საქართველოს მოვიდა. როგორც მის
ბიოგრაფიიდან სჩანს, ამ ქვეყანაში მისი მოგზაურო-
ბა დაწყებულა ჯავახეთის მთებიდან. რომელიც
ფანავრის-ტბის მახლობლად ძევს. აქ ნინო შეხვდა
მეთევზეებსა და მწყესებს. მათგან მიიღო საჭმელი
და პირველი ცნობები მცხეთისა და მისკენ მიმა-
ვალ გზის შესახებ. კავკასიის მთების შეხედულობამ,

რომლის მწვერვალნიც იმ დროს თოვლით დაფარულ-
ნი იყვნენ, დიდად შეაძრწუნა ნინო; მაგრამ, საკვირ-
ველ სიზმრით ნუგეშცემულმა და სარწმუნოებით
გამხნევებულმა, განაგრძო მან თავისი გზა. გაიარა
ახალქალაქი და მივიდა ურბნისს. აქიდან რამდენ-
მე დღეს შემდეგ, ნინო და ამ ქალაქის ყველა
მცხოვრები მივიდენ არმაზს, სადაც იმ დროს საქართ-
ველოს ყოველ კუთხიდან იკრიბებოდა ხალხი კერ-
პების ორმუზდის და ზადენის დღეობაზე.

ამ დღესასწაულობამ კერპთაყვანისმცემლობის
უშვერ სცენებით შეზავებულმა, მეტად ააღელვა წმ.
ნინო. იმან დაიწყო ღვთის ვედრება, რომ მოევლი-
ნებია მისთვის შემწეობა ხალხის სახსნელად მის სა-
შინელ ცთომილებათაგან; მალე ამოვარდა საშინელი
ქარიშხალი და მას მოყვა უჩვეულებრივო სეტყვა, და
ამან გააბნია მრავალრიცხოვან ხალხის ბრბო და

მიმოლეწა კერპები. ეს შემთხვევა წარმართებმა ღმერ-
თების რისხვას მიაწერეს, ხოლო ნინოსათვის კი იმის
დამამტკიცებელ საბუთათ შეიქნა, რომ ის (ნინო)
ღვთისგან იყო მოწოდებული. სამ დღეს შემდეგ ნი-
ნო დაბინავდა მცხეთაში და ამ დროიდან დაიწყო
უშიშრად მოქმედება იმ პირებზე, რომელთათვისაც
კი სახარების ჭეშმარიტებანი გასაგებნი იყვენ. ქრი-
სტიანებრივ ფილოსოფიას გარდა ძლიერ კარგად
გამოიყენა მან აგრეთვე ზოგიერთ ავათმყოფობის მკურ-
ნალობის ცოდნა და ყოველთვის მკურნალობაში
თავის წარმატებას მიაწერდა ხოლმე ლოცვას იესო
მაცხოვრისადმი და ჯვრის ძლიერებას, რომელსაც
ის ადებდა ავათმყოფთა სარეცელს. საზოგადოდ თა-
ვის საქმეებითა და ყოფა-ქცევით დიდი პატივი მო-
იპოვა მან საზოგადოებაში, და კიდევაც გავრცელდა
აზრი, რომ იმას მინიჭებული ქონდა საკვირველმო-
ქმედებითი ძალა. პირველი მისი მოწაფენი იყვენ:

რაბუნი აბიათარი და მის ოჯახის წევრნი, რომელთაც შესამჩნევი ადგილი ეჭირათ ქალაქის წარჩინებულ მცხოვრებთა წრეში, მეფის ზოგიერთი მსახურნი და კარისკაცნი და დასასრულ თვითონ დედოფალი, ხანგრძლივ ავათმყოფობისაგან განკურნებული. ცოლის მოულოდნელ მორჩენით გაკვირვებულმა მირიანმა მოიხმო ნინო და დაიწყო მასთან თანაგრძნობით ბაასი სახარებაზე და დასავლეთსა და სომხეთში მომხთარ სარწმუნოებრივ ცვლილებაზე, შეკრიბა დიდებულნი, უამბო მათ ყოველიფერი, რაც

ნინოსგან მოისმინა, და დიდის ქებით მოიხსენია ის და მისი მოძღვრება. თუმცა მირიანს კარგად ესმოდა, რამდენადაც აღემატებოდა ქრისტეს სარწმუნოება კერპთაყვანისმცემლობას, მაგრამ მაინც ვერ გადაწყვიტა მისი მიღება; მხოლოდ ერთმა უბრალო შემთხვევამ, რომელმაც მის გონების წარმოდგენაზე იმოქმედა (თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ მეფეს ის განზრახვით მოეგონებიოს და ხალხისთვის ეამბნოს), აიძულა ის, დიდის ზეიმით მიეღო ქრისტიანობა.

ერთხელ მირიანი თხოტის ტყისაკენ წავიდა სანადიროდ; იმისთანა სქელმა ნისლმა მოუსწრო მას აქ, რომ, თუმცა მაშინ დღე იყო, მაგრამ წყვდიადი ღამის უბნელესად მოეჩვენა. მეფის ამალა გაიფანტა. თავზარდაცემული და სასოწარკვითილი ანაზდად ჩამოხტა ის ცხენიდან, ააპყრო ხელები ცისადმი და იესო მაცხოვარს შველასა თხოვდა, და წარმოთქვა თუარა მონათვლის აღთქმა, წყვდიადი გაქრა [1]).

---

[1]) თეოფანეს მოწმობით ეს გარემოება მომხთარა 318 წელს, «ქართლის ცხოვრების» ჩვენებით კი – კოსტანტინე დიდის მეფობის ერთს იმ წელთაგანში, როცა 20 ივლისს შაბათი ყოფილა. ეს ცნობები ერთმანეთს შეუმოწმეს და (იმ გამოანგარიშებით, რომელიც ხავსკის ტაბულებით მოახთინეს) ამოჩნდა, რომ 20 ივლისს შაბათი ყოფილა

317 წელში იანვრისა და სეკტემბრის თვისაღრიცხვით ანუ 318 წელში მარტის თვისაღრიცხვით. რომ უფრო დარწმუნებულვიყავ ამ ცნობათა სინამდვილეში, მე ვფიქრობდი – მირიანის წყვდიადით გარემოცვა მზის დაბნელებით ამეხსნა, მაგრამ ბ-ნმა ასტრონომმა კნორემ მოწერილობით (28 მაისის 1868 წ. № 545-ით) მაცნობა, რომ მის მიერ მოხთენილ გაშოანგარიშებით, ივლიანეს კალენდრით,

მირიანმა შეკრიბა ამალა, გამოუცხადა მას თავისი აღთქმა და ისევ მცხეთას დაბრუნდა. ქალაქში კიდევაც შეეტყო ყველას ეს შემთხვევა და მირიანის განზრახვა. როდესაც მეფე ქალაქს მიუახლოვდა, მცხოვრებნი ყველანი გამოვიდენ მის შესაგებებლად. და მათ შორის იყო ნინოც. მირიანი მივიდა მასთან, ჩამოხტა ცხენიდან, მოიკეცა მის წინ მუხლი და მიიღო კურთხევა. რომ ის და მთელი მისი ხალხი ქრისტეს სარწმუნოებით განათლებულიყვენ.

მეორე დღეს სამეფო რჩევამ გადაწყვიტა: პირველი, გაეგზავნათ ელჩების ხელით წერილები მირიანისგან იმპერატორ კოსტანტინესთან და ნინოსგან დედოფალ ელენესთან და ეთხოვათ მათთვის ეპისკოპოზისა და ღვდლების გამოგზავნა ქართველ ხალხის მოსანათლავად და საეკლესიო წესების ასასრულებლად, მეორე – ნება მიეცათ ნინოსა და მის მოწაფეებისათვის, მოემზადებიათ ხალხი ახალ სარწმუნოების მისაღებად. და მესამე – დაეწყოთ ტაძრის შენება, რომელიც უნდა გაეთავებიათ საბერძნეთიდან საღვდელოების მოსვლამდი.

ნინომ და მისმა მოწაფეებმა დაიწყეს ხალხში ქადაგება და მოითხოვეს კერპების გამოხატულებათა

---

317 წელში მთვარის განახლება ყოფილა 7 ივლისს, მაშასადამე იმავე წლის 20 ივლისს მზის დაბნელება შეუძლებელი იქნებოდა. ხსენებულ წყვდიადით გარემოცვა კი შეიძლება მივაწეროთ ჭექა-ქუხილს, რომელიც ხანდახან იმგვარვე სიბნელეს მოფენს ხოლმე დედამიწას, როგორც მზის სრული დაბნელებაო.

დამხობა; მაშინ მცხეთელები აღრტვინდენ და დაიწ-
ყეს კითხვა: კერპების მაგიერ ვის უნდა ვსცეთ თა-
ყვანიო? მაშინ მოწაფეებმა აჩვენეს მათ ჯვარი, რო-
მელიც მათ მიერ არაგვის მარცხენა ნაპირის მაღ-
ლობზე იყო ამართული, სადაც ახლა მოჩანს წმ.
ჯვარის ძველი მონასტერი. რამდენმე დღეს შემდეგ
მცხოვრებლები, ეტყობოდა, დამშვიდდენ, და, როცა
ერთ დილას, ძველის ჩვეულებისამებრ, სალოცავათ
ავიდენ სახლების ბანებზე, ორმუზდის სტატუის მა-
გიერ თაყვანი სცეს ჯვარს [1]), თუმცა ბევრი მათგანი,
რომელსაც ახლოს ენახა ეს უბრალო ხის ჯვარი,
ამბობდა: განა ამისთანა სათაყვანო საგანი ცოტა
იპოება ყოველგან ჩვენს ტყეებშიო!

იმავე დროს, მირიანის ბძანებით, სამეფო ბა-
ღი გაჩეხეს და იქ დაიწყეს საქართველოს საქრის-
ტიანო პირველ ტაძრის შენება. ეს ტაძარი ხისგან
იყო აშენებული.

ამასობაში, როგორც „ქართლის ცხოვრები-
დან" სჩანს, კოსტანტინე დიდის კარზე დიდის აღ-
ტაცებით მიიღეს მირიანის გაქრისტიანების ამბავი.
იმპერატორის აზრით, ეს გარემოება არღვევდა სა-
ქართველოს მეფის კავშირს სპარსეთთან და სამუდა-
მოდ ამყარებდა იმპერიის გავლენას საქართველოზე.
ეს აზრი რამდენადმე მართლაც ჭეშმარიტი იყო,
რადგან ქართველები იმ დროიდან საბერძნეთისადმი

---

[1]) Истор. Моисея Хорен., кн. II гл. 86.

მეტ მიზიდულებას გრძნობდენ, ვიდრე სპარსეთისად-
მი. ამიტომაც მირიანის შვილი, ბაქარი, დაუყონებ-
ლივ გაათავისუფლეს ამანათობისაგან და მასთანვე
გაგზავნეს საქართველოს ერთი ეპისკოპოზი [1]) და
რამდენიმე ღვდელი და მათ გაატანეს მაცხოვ-

რის ხატი და წმ. ნაწილები. საღვდელოების მოსვლისათანავე ბძანება გასცეს, საქართველოს ყოველ კუთხიდან მცხეთაში შეკრებილიყვენ ერისთავები და მათი ხელქვეითნი, და ამგვარად აუარებელ ხალხის თანადასწრებით შეასრულეს ნათლისღება.

ამისთანა დიდის წარმატებით გამხნევებული „ნეტარი ნინო, – მოსე ხორენელის სიტყვით, – წავიდა, რომ საქართველოს სხვა მაზრებიც დაერიგებია თავის უპატიოსნეს ბაგით: ის ყოველგან მეტის მეტად უბრალო ტანისამოსით დადიოდა და ნამეტნავი მას არაფერი ქონია. ყოველივე ამ ქვეყნიური მისთვის უცნობი იყო და თავის ცხოვრებას, ჯვარცმულისაებრ, მუდმივის სიკვდილით განიცთიდა. და ამ სახით შესწირა მან თავისი თავი საღვთო სიტყვის აღსარებას, შეიქნა მოციქული და ავრცელებდა სარწმუნოებას ალანთა კარიდან მასაგეთამდი" [2]).

ამგვარად ქართველებმა ქრისტიანობა იმ დროს მიიღეს, როდესც არც სარწმუნოების დოგმატებს

---

[1]) „ქართლ. ცხოვრ" სიტყვით, იოანე ზოგიერთ სხვების თქმით – ევსტათი, რომელსაც პირველ მსოფლიო კრებაზე ანტიოქიის პატრიარქობა უბოძეს.

[2]) Моис. Хорен., кн. II, гл. 86, примѣч. 362.

და არც საეკლესიო წესებს არ ქონიათ გადაწყვეტილი სისტემა და ფორმა, და მხოლოდ შვიდ წელს შემდეგ, ე. ი. 325 წელში, საქართველოს ეკლესიამ მიიღო ნიკეს პირველ მსოფლიო კრების დადგენილობანი და მაშინ მიაწერეს ის ანტიოქიის საპატრიარქოს [1]).

---

[1]) Іосселіани, Истор. груз. Церкви. стр. 20.

IV

საქართველოს გაქრისტიანების შედეგი.

ქრისტიანობის, როგორც განათლების დასაწყისის, გავლენა ქართველებზე. – სამოქალაქო მართველობის დამორჩილება საღვდელოებისადმი და ამის გამო – საბერნეთის პოლიტიკისადმიც.

ქრისტიანთა სარწმუნოებამ, სადაც კი ის მიიღეს, ყოველგან დიდი ზნეობრივი ცვლილება მოახთინა; მაგრამ ძალიან საფუძვლიანი საფიქრებელია, რომ ამ მხრით უფრო დიდ სიკეთეს მოუტანდა ის იმისთანა პატარა სამეფოებს, როგორიც იყო საქართველო, რომელსაც განსაზღვრული კანონები არ ქონია. სახარება ქადაგებდა, შეერთებულიყვენ ყველანი ერთმანერთ შორის სიყვარულის კავშირით, ასწავლიდა, თუ რა არის ჭეშმარიტი სათნოება, და ცხადად ამხილებდა ბოროტებას. საღვდელოება თავის მხრით მტკიცედ იცავდა ამ მოძღვრებას და ამიტომაც მან იკისრა, გაფაციცებით ეგდო თვალყური ქრისტიანთა ყოფაქცევისათვის და მათის ოჯახობრივ ცხოვრების ზნეობრივ სიწმინდისათვის; ტაძართა სიმშვენიერემ კი და ღვთისმსახურების წესთა დიდებულებამ გაავითარეს ხალხის გემოვნება სიმშვენიერისადმი და შეიქნენ განათლების საძირკველნი.

საღვდელოება თანდათან ამდოვრებდა ხალხის დაბალისა და საშვალო საზოგადოების ველურ გუ-

ლისთქმას; ჯვრითა და სახარებით აღჭურვილმა, იკისრა მან ჩაგრულთა მფარველობა და ამნაირად თავისი გავლენა იქონია აგრეთვე უმაღლეს წოდებასა და სამოქალაქო მართველობაზე. მალე მირიანმაც

იგრძნო თავისი დამოკიდებულება საღვდელოებაზე, როცა გაიგო, რომ მისი სიძე ფეროზი არანს ქრისტიანობის შეტანის წინააღმდეგი იყო, მას უნდოდა – იარაღით აესრულებინებია მისთვის ეს საქმე; მაგრამ თვით ნინომ შეაჩერა მირიანის მებრძოლი მისწრაფება: ««ქრისტემ აკრძალა სარწმუნოებისათვის იარაღის აღება», უთხრა მან. ამნაირად მეფეები, რომელთაც კეთილმორწმუნეობის მიზეზით უნდოდათ თავიანთი მოქმედებანი სარწმუნოების პირობებისათვის შეეთანხმებიათ, იძულებულნი იყვენ-ყოველთვის ეკლესიის მოსამსახურეთათვის ეკითხათ რჩევა.

ამგვარად თავმოყრილ გარემოებათა ქონდათ თავისი ცუდი მხარეც. საღვდელოება, რომელმაც თავის ხელში ჩაიგდო საქართველის მართველობითი ხელმწიფება, თავის მხრით თვითონაც დამოკიდებული იყო საბერძნეთის სინკლიტზე. კოსტანტინესა და მის მემკვიდრეთა იმპერიას ქონდათ თავიანთ სინკლიტზე დამოუკიდებელი კანონები და პოლიტიკური განზრახულებანი. ეს იმპერია და მისი უმაღლესი მართველობა ანტიოქიის პატრიარქის შემწეობით ქართველ საღვდელოებაზე მოქმედებდენ და ისე წაიყვანეს საქმე, რომ საქართველოს მარ-

თველობას თავიანთ ნებაზედ ატრიალებდენ. შემდეგში თუმცა ჩვენ დავინახავთ, რომ ქართველები საბერძნეთ-რომის იმპერიასაც ეომებოდენ, მაგრამ ამ ომებს ორის ხალხის ერთმანერთთან მტრობის ხასიათი კი არ ქონია, არამედ – პირად მტრობისა, რომელიც ამ შემთხვევაში მეფეებს შეხებოდა, – და ესეც იშვიათი გარემოება იყო, შემთხვევით გამოწვეული.

საღვდელოებამ საქართველო სარწმუნოებრივ კავშირით იმპერიას დაუმეგობრა და მით მოსპო სპარსეთსა და მას შორის დამოკიდებულობა. სა-

ქართველოსა და სპარსეთს შორის საუკუნეებრივი კავშირი არსებობდა, რომელიც რამდენადმე დამყარებული იყო სარწმუნოების ერთობაზე ზოროასტრის მოძღვრებისამებრ, უფრო კი დინასტიების ერთობაზე. როცა კი ეს კავშირი დაირღვა, საქართველო სპარსეთისათვის სარწმუნოებითა და პოლიტიკით სრულიად უცხო სამეფოდ გადაიქცა. ეს სარწმუნოებრივი განსხვავება საქართველოსათვის საშიშარი არ იქნებოდა, საბერძნეთ-როშის სახელმწიფოს პოლიტიკას რომ არ დამორჩილებოდა. მაგრამ საქართველო შეიქნა ათასის წლის ბრძოლის მონაწილე, რომელიც ამ უკანასკნელ იმპერიას თავის დამხობამდი გაბმული ქონდა სპარსელებსა და თურქებთან, და ბოლოს ქრისტიან სამეფოთა შორის მარტოდ-მარტო დარჩა ის სპარსეთისა და თურქეთის მსხვერპლად.

პერიოდი

ქრისტეს სარწმუნობის მითიდან ვახტანგ გორგასლანამდი.

I

დრო მირიანის სიკვდილიდან სპარსელთ მიერ საქართველოს დაპყრობამდი.

მირიანის მოგზაურობა წმინდა ადგილების მიმართ. – ბაქარის მეფობა(342-364). – საბერძნეთის განათლების შემოტანა, ომი სპარსელებსა და სომხებთან. – მირდატ III-ის მეფობა (364-379). – იმპერატორთან მეგობრობა. – ვარაზ-ბაქარის (379-393), თარდატის

398-405), ფარსმან V-ის (405-408) და მირდატ IV-ის (408-410) მეფობა.

ნათლისღების შემდეგ მირიანი უმეტესად ღვთისმსახურების საქმეებს კიდებდა ხელს. ამგვარისავე მიზნით ის გაემგზავრა იერუსალიმს მაცხოვრის კუბოს თაყვანსაცემად და იქ იმპერატორისაგან ნებართვა მიიღო, თავის ხარჯით აეშენებია პატიოსანის ჯვრის ტაძარი, რომელიც ახლა არის ლოტის ნიშთან 1). როცა მოგზაურობიდან დაბრუნდა და რევის სიკვდილი გაიგო, რომელიც კახეთს მარ-

[1]) მოხილვა ტიმოთე მიტროპოლიტისა, 148. – ეს მოგზაური ამბობს აგრეთვე, რომ მირიანმა იერუსალიმში კოსტანტინე დიდი ინა-

თავდა, მირიანმა საქართველოს ეს ნაწილი მეტროპოლიას შეუერთა და მალე მომაკვდავმა მთელი თავისი სამეფო. ბაქარს გადასცა.

ეს მეფე ღვთისმოყვარებით არ ჩამოუვარდებოდა თავის მამას; ამასთანავე მან მოიწადინა – ქრისტიანობასთან გაევრცელებია საქართველოში აგრეთვე საბერძნეთის თანამედროვე განათლება, და ამ მიზნით მოიწვია საბერძნეთიდან სწავლულნი და ბძანა, ყოველგან, სადაც ეკლესიებს აშენებდენ, სკოლებიც აეშენებიათ. ამ სკოლებში მეცნიერებათა გარდა, რომელნიც ქართულ ენაზედ ისწავლებოდენ, ასწავლიდენ აგრეთვე ბერძნულსა და ასურულ ენებს. ბაქარის განკარგულებით მრავალი ტაძარი ააშენეს და გაამშვენიერეს და სარწმუნოების საუკეთესო მქადაგებელნი გაგზავნეს ყოველგან მეზობელ ქალაქების საზოგადოებებში. მალე ამ მქადაგებელთა წყალობით მიიღეს ქრისტიანობა: აფხაზებმა, ხევსურებმა და კავკასიის ზოგიერთმა სხვა ხალხებმაც. ამ მქადაგებელთ მხოლოდ არანში არ ქონიათ წარმატება, სადაც მართველად იყო ბაქარის სიძე ფეროზი.

ქართველთა მეფის დაჟინებულმა მოთხოვნამ
და გვარის მცხოვრებთა ჯიუტობამ იმ დროს,
როცა სრული მშვიდობიანობა სუფევდა ყოველგან,

ხულაო, მაგრამ ცნობილია, რომ მირიანის მეფობის უკანასკნელ წლებში კოსტანტინე დიდი ცოცხალი არ ყოფილა და ამასთანავე ეს იმპერატორი არც ყოფილა როდისმე იერუსალიმში.

წამოაყენა ორი პოლიტიკური საკითხი, რომლის
გადაწყვეტაც უომრად არ შეიძლებოდა. სპარსელებ-
მა არანს გაუწიეს ქომაგობა და დაიწყეს იქ გა-
ბატონებისათვის მეცადინობა; ამავე დროს სომხებმა
ისარგებლეს მით, რომ ბაქარი გაჭივრებულ მდგომა-
რეობაში იყო, და მოითხოვეს, საქართველოს ტახტი
სომეხთ მეფის თარდატის შვილის-შვილებს, რევის
შვილებს, გადაცემოდა. სპარსელები და სომხები შეე-
სიენ საქართველოს, მაგრამ ამ ომის მსვლელობის შე-
სახებ ჩვენ არავითარი ცნობები არა გვაქვს, იმ ფრიად
მცირესა და არეულ ცნობებს გარდა, რომელსაც
ვპოულობთ „ქართლის ცხოვრებაში" და მოსე ხო-
რენელის ნაწერებში. მხოლოდ ერთია ცხადი, სა-
ხელდობ რომ არანი, იმპერატორის შეამდგომლო-
ბის გამო, სპარსელთ უფლებაში გადავიდა; ფეროზ-
მა მიიღო ქრისტეს სარწმუნოება და ამასთანავე
მას ჩააბარეს სამფლობელოდ ხრამისა და ალგეთის
მდინარეებს შორის მდებარე ადგილები, სამშვილდის
ციხეს ზევით; სომხებთან კი პირობა შეკრეს, რომ-
ლის ძალითაც საქართველოს ტახტი ბაქარსა და მის
შთამომავალთ დარჩა, ხოლო რევის შვილებს კახეთი
უნდა ეფლოთ ქართველთ მეფის ერისთავის სახელით.

ბაქარს შემდეგ მეფობდა მისი შვილი მირდატ
III, რომელსაც ამიან მარცელინი მერიბანესს
უწოდებს [1]). მისი მეფობა მრავალს კეთილმსახუ-

[1]) Ammien – Marcellin, 1. LXX, ch. 6.

რებით მოღვაწეობას შეიცავს; დიდი მეგობრული დამოკიდებულება ქონდა მას იმპერატორ კოსტანცისთან, რომელიც სპარსეთის წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა და ამიტომაც ძვირფას საჩუქრებით მირდატის გულს იგებდა, რადგან სურდა – საქართველო მისი მომხრე ყოფილიყო [1]). ალბად მირდატის დროსვე ხელახლავ დაუჭერიათ ქართველებს რანი, რომელიც ბაქარმა სპარსელებს დაუთმო, იმიტომ რომ მის შვილის ვარაზ-ბაქარის მართველობის დროს, რომელსაც ამიაწი სახელად ასპაკურს უწოდებს, ეს მაზრა სპარსელებმა ხელახლავ წაართვეს ქართველებს და მასთან ერთად აგრეთვე კახეთის აღმოსავლეთის ნაწილებიც.

სპარსელებმა გაავრცელეს თავიანთი დაპყრობანი დასავლეთისაკენ და ამ დროსვე სომხეთსა და საქართველოს გადასახადი მოთხოვეს. სომხები ვარაზ-ბაქარს წინადადებას აძლევდენ – შეერთებოდა მათ, მოეწვიათ შემწედ კავკასიის სამხრეთის ტომები და ამ შეერთებულის ძალით შებრძოლებოდენ საერთო მტერს; მაგრამ მშიშარა ვარაზ-ბაქარმა არც სომხების თხოვნა შეისმინა და არც თავის ერისთავების რჩევა, არეულობის დროს ქართლიდან გაიქცა, რომ შეეფარებია თავი ერთ სიმაგრეში, სახელდობ კახეთის-ხევში. ამასობაში სპარსელებმა საქართველო დაიჭირეს და ახლანდელ თფილისის

[1]) Lebeau, hist du Bai – Empire, tom. II, 1 XI.

მახლობლად თავიანთ ჯარის თავშესაფარად ააშენეს შურის-ციხე; იმათ შეაიწროვეს ხალხი ქრისტეს

სარწმუნოების წესების ასრულებაში და ხარჯა და-
ადვეს მას. უკიდურის მდგომარეობაში ჩაყენებულ ა
ქართველთ მეფემ თავდამცირებით ითხოვა ზავი,
რომლის გამოც თავს ვალად იდვა სპარსელებისათვის
ხარკის ძლევა და ამასთანვე კახეთის აღმოსავლეთ
ნაწილისა და არანის დათმობა. სპარსელებმა, რაკი
თავიანთი სიამაყე და პატივმოყვარება დააკმა-
ყოფილეს. თან წაიყვანეს ამანათად ფეროზის შვი-
ლები, მირიანის ასულის წულები და გავიდენ სა-
ქართველოდან.

რომაელები ვარაზ-ბაქარის მოქმედების უკმა-
ყოფილონი შეიქნენ და შეუსიეს მას კლარჯელები;
ამათ შემწეობით დაიჭირეს თუხარისი და მთელი
კლარჯეთი ზღვის ნაპირად არსიანმდი და მართვე-
ლად იქ დააყენეს ბოსერორის ერთი თავადთაგანი, სა-
ვრომატი. მალე საფორმა გამოაგდო საქართველო-
დან სავრომატი და აადგინა ვარაზ-ბაქარის უფ-
ლებანი საქართველოს მთელ სამეფოს შესახებ. მა-
შინ იმპერატორმა ვალენტმა თავის სარდალს ტე-
რენცის მისცა თორმეტი ლეგიონი და უბძანა
საქართველოს ტახტზე სავრომატის აყვანა. როგორც
კი მიუახლოვდა ტერენცი მდინარე მტკვარს, უხა-
სიათო ვარაზ-ბაქარმა წინადადება მისცა მას, რომ
გაეყო სამეფო იმასა და სავრომატს შორის, და ამას-
თანავე ბოდიში მოიხადა: რომაელების მხარეს ვერ

დავიჭერ, რადგან ჩემი შვილი ამანათად ყავთ სპარ-
სელებსო. იმპერატორი ამ გაყოფაზე დათანხმდა, მაგ-
რამ იმ პირობით კი, რომ სავრომატის უფლებაში
ყოფილიყვენ ჭანეთი და მტკვრიდან სამხრეთისაკენ
მდებარე მიწები, ვარაზ-ბაქარისაში კი – ჩრდილოე-
თისაკენ მდებარენი და აგრეთვე ალბანია [1]).

საფორიც, თავის მხრით, ამგვარ გაყოფით
უკმაყოფილო იყო და ორის წლის განმავალობაში

განუწყვეტლივ ქონდა მოლაპარაკება ამის შესახებ
და თხოულობდა საქართველოდან სავრომატისა და
რომაელ ჯარების გადევნას და ვარაზ-ბაქარის აღი-
არებას მთელის საქართველოს ერთად-ერთ მეფედ.
ბოლოს ამისთვის გაგზავნეს სპარსეთის პირველი მი-
ნისტრი სურენა. ვალენტმა აღუთქვა, რომ გაიყვან-
და თავის ჯარებს, თუ რომ საფორი საქართველოს
გაყოფის დამტკიცებაზე დათანხმდებოდა. მაგრამ,
როცა დაინახა იმპერატორის ჯიუტობა, სპარსეთის
მეფემ ისარგებლა მით, რომ იმპერიას ამ დროს გო-
ტები შეესიენ, თავს დაესხა რომაელ ჯარებს, რო-
მელნიც საქართველოს საზღვრებში იყვენ მოთავსე-
ბულნი, ამოწყვიტა ისინი და სავრომატი გადევნა [2]).

---

[1]) Lebeau, tom III, liv.XVIII, რომელიც უჩვენებსAmmien-Marc.
1. XXVII, c. 12 და Themist. XI, p. 148; მაგრამ ეს გარემოება, რო-
მელიც ლებოს ჩვენებით 372 მომხათრა, არ ეთანხმება დროს 379-დან
393 წლამდი, რომელსაც აკადემიკოსი ბროსე ქართველთ დინასტიე-
ბის შესახებს სტატისტიკურ წერილებში მიაწერს ვარაზ-ბაქარის
მეფობას.

[2]) Ammien – Marc. XXVII, c. 12.

ვარაზ ბაქარის სიკვდილს შემდეგ დარჩა მი-
სი სამი მცირეწლოვანი ვაჟი, და ამიტომაც 393
წელს საქართველოს ტახტი მისმა სიმამრმა თარდატმა
დაიჭირა, – ეს იყო რევის შვილი, მირიანის ძის წული.
თარდატი ღრმა მოხუცებული კაცი იყო და იმდენათ
გამოცთილი, რომ მოახერხა – თანხმობა და მშვიდობია-
ნობა ჩამოეგდო სპარსეთსა და საქართველოს შორის,
ისე რომ ქართველთ ქრისტიანობრივ ცხოვრებისა-
თვის ამგვარი ურთერთობა მავნებელი არ ყოფილა.

თარდატს შემდეგ 405 წელს ტახტზედ ავიდა
ვარაზ-ბაქარის შვილთ, ფარსმან V. პოლიტიკურის
მხრით მისი მართველობა საქართველოსათვის შესა-
ნიშნავი იმით არის, რომ მოიშორა სპარსელთ
ბატონობა და სპარსეთს ხარკის ძლევა მოუსპო.

იმან ნხოლოდ სამ წელს იმეფა და მას შემდეგ მეფედ დაჯდა ძმა მისი, მირდატ V, მეტად თავის მოიმედე და წინდაუხედავი კაცი. ამან გამოაცხადა თავისი თავი დამოუკიდებელ მფლობელად და ამ დამოუკიდებლობის დასაცავად კი არავითარ საშვალებას არ ძებნიდა.

სპარსეთის მეფემ, რომელიც ფარსმანზედაც კი უკმაყოფილოდ იყო ხარკის გადაუხთელობისათვის, ახლა მირდატს მოთხოვა გადასახადი; და როცა ამანაც სრული უარი გააცხადა, 410 წელს წამოიყვანა მან საქართველოს წინააღმდეგ სპარსეთის მთელი სამხედრო ძალა. მირდატმა აჩქარებით მოაგროვა ერთი მუჭა ჯარი და მოინდომა მტრების შეჩერე-

ბა; მაგრამ პირველ შეხვედრისთანავე სპარსელებმა დაამარცხეს იგი და ტყვედ წაიყვანეს. საქართველო საშინლად ააოხრეს, ტაძრები ზოგი დაამხვეს და ზოგი ცეცხლთაყვანისმცემელთა ბომონებად აქციეს. მეფის ოჯახობამ და უმაღლესმა საღვდელოებამ თავის შესაფარად კახეთის-ხევს მიმართეს; თვით მირდატი კი ბაღდათს გაგზავნეს და იქვე მოკვდა. საქართველო დარჩა უმეფოდ და მიეცა ყოველგვარ უბედურებას, რაიცა მოსალოდნელია მტრის სამხედრო თვითნებობისაგან.

გარემოებანი 410 წლიდან ვახტანგ

გორგასლანამდი.

უმეფობა (410-413), არჩილი (413-434). – მირდატ

V (434-446). – დასრულება პერიოდისა მირდატის სიკვდილიდან ვახტანგ გორგასლანამდი.

ის სამწუხარო გარემოება, რომლითაც თანამომდევარი თავი დავასრულეთ, იმ დროს მოხდა, როცა სპარსეთში იეზდიგერდ I მეფობდა; ამ მეფეს ევროპის ისტორიკოსნი აგვიწერენ, როგორც მშვიდობის მოყვარესა და ქრისტიანთა მფარველ კაცს. რასაკვირველია, ეს აზრი უფრო იმაზედ არის დაფუძნებული, რომ იეზდიგერდ I-ს ხელი არ უხლია საბერძნეთის იმპერიისათვის, ხოლო რაც იმპერიის პროვინციების ქრისტიანებსა და სომხებს შეეხებათ, მათ შესახებ ეს მეფე მაინცდამაინც მშვიდობისმოყვარეობასა და მფარველობას არ იჩენდა. როდესაც იეზდიგერდის ბაბუამ, საფორმა, სომხეთი ორ ნაწილად გაყო, იმპერატორმა თეოდოსი II-მ სისწრაფით გამოაცხადა თანხმობა საფორის განკარგულებაზე, რომ არ მიეცა მისთვის იმპერიასთან ბრძოლის საბაბი: თეოდოსი ფიქრობდა, რომ სპარსეთის ხელმწიფეთა გულისთქმა დასავლეთში ამით გათავდებოდა. იმან სრული თავისუფლება მისცა საფორსა და მის მე-

მკვიდრეებს, ისე მოქცეულიყვენ აღმოსავლეთში, როგორც ეწადათ. საქართველოს კი ბერძნებმა სრულიად ხელი ააღეს მას შემდეგ, რაც იმპერატორ ვალენტის ჯარები დამარცხდა და სავრომატი საქართველოდან გაიდევნა. ამგვარად ბერძნები და სპარსელები, რომელთაც თავიანთი საკუთარი ხელმწიფეები ყავდათ და ერთმანერთში მშვიდობისმოყვარეობითი დამოკიდებულობა ქონდათ, სხვა ხალხების შესახებ თავიანთ მდგომარეობის მიხედვით სჯიდენ და თავს არ იწუხებდენ – მათ მდგომარეობას ჩაკვირვებოდენ.

სამის წლის განმავალობაში საქართველოს მეფე არ ყოლია და მას აოხრებდენ სპარსეთის სარდლე-

ბი და რანისა და ადარბადაგანის მართველები. დასასრულ, 413 წელს, როცა იეზდიგერდი სპარსეთის სახელმწიფოს სხვა საზღვრებზე ომობდა, საქართველოს თავად-აზნაურობას შემთხვევა მიეცა, შეკრებილიყო და ეთხოვა არჩილისათვის – ასულიყო თავის მამის, მირდატ IV-ის, ტახტზე. უპირველესად არჩილმა იმაზედ იზრუნა, რომ საბერძნეთის იმპერიასთან მეგობრული დამოკიდებულობა განეახლებია; ამისთვის მან ცოლად შეირთო იობიანთ ნათესავის დიდებულის ასული მარიამი [1]); მაგრამ ბიზანტიის კარს არ სურდა სპარსეთთან მშვიდობიანობის დარღვევა და ამიტომაც არაფერი ზომა მიუღია მას საქართველოს დასაფარავად იმ შემთხვევისათვის, რომ ვინიცობაა იეზდიგერდს ამ ქვეყნის წინააღმდეგ გა-

[1]) Brosset, hist. de la Georg. P. 145, not. 3.

ნეზრახა მოქმედება. ამის მიუხედავად, საქართველო იმისთანა მდგომარეობაში იყო, რომ არჩილი ვერას გზით ომს ვერ აშორდებოდა. ეკლესიებისა და ქრისტიანობრივ ღვთისმსახურების გაწმენდისა და აღდგინების დროს იმას აუცილებლად უნდა გაედევნა მოგვები, რომელნიც მრავლად მოსულიყვენ საქართველოს და ცთილობდენ ხალხში ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებას. მოგვების მთელი ბრბოები მიიქცენ სპარსეთის მოსაზღვრე მართველთან და იჩივლეს: ქართველთ მეფემ შეგვაიწროვა და მოგვაშველე სპარსეთის ჯარებიო. რანისა და ადარბადაგანის მართველმა, ბარზაბოდმა, შეკრიბა მთელი თავისი სამხედრო ძალ-ღონე და მიმართა საქართველოს, მაგრამ არჩილი დახვდა მას ბერდუჯის მდინარეზე, დაამარცხა და მისდია მას რანამდი. ამ მაზრის მცხოვრებნი მოუმზადებელნი იყვენ, რადგან მტერს არ ელოდენ. არჩილმა დიდი ალაფი იშოვნა

და მრავალი ტყვე დაიჭირა, დაბრუნდა თავის სამშობლოს და დიდის ამბით იდღესასწაულა თავისი გაამარჯვება, რომელიც მან ქრისტეს სარწმუნოების ძალას მიაწერა. ამ წარმატებათა მეოხებით და აგრეთვე იმის წყალობით, რომ იეზდიგერდს მთელი თავისი ყურადღება აჯანყებულ შვილის ბარამგურისაკენ ქონდა მიქცეული, საქართველო დიდხანს იყო დამშვიდებული. არჩილის მეფობის დასასრულს კი ხელახლავ საჭირო შეიქნა ბარზაბოდის წინააღმდეგ ომი, რომელშიაც წინამძღოლად იყო ახალგაზდა ბატონი-

შვილი, მირდატი. ბატონიშვილმა რამდენჯერმე ისახელა თავი ომში, და დასასრულ მისმა სიყვირულმა ბარზაბოდის ასულისადმი და მათმა დაქორწინებამ საფუძვლიანად შეაფერხეს საკმაოდ დაღალულის ორის ხალხის მტრობა.

არჩილის სიკვდილს შემდეგ 434 წელს ტახტზედ ავიდა მირდატ V. იმის მეფობის პირველის რვა წლის განმავლობაში საქართველოში მშვიდობიანობა სუფევდა, რომელსაც ხელს უწყობდა მისი ნათესაობრივი დამოკიდებულობა ბარზაბოდთან. მაგრამ როცა სპარსეთის ტახტი ბარამგურის შვილმა, სასტიკმა ფანატიკოსმა იეზდიგერდ II-მ დაიჭირა, საქართველოს ეწია ახალი საშინელი უბედურება, რომელიც ქრისტიანობას დამხობას უქადიდა. თავის მეფობის პირველ წელშივე იეზდიგერდმა საბერძნეთთან ზავი დაარღვია, თავს დაესხა ნიზიბისში მყოფს საბერძნეთის ჯარებს და გარეკა იქიდან. შემდეგ ადარბადაგანის მართველს უბძანა, სომხეთი და საქართველო დაეჭირა და გაეგზავნა ამ ქვეყნებში მრავალი მოგვი ზოროასტრის სარწმუნოების გასავრცელებლად; ამასთანავე გამოგზავნა წერილობითი ბძანება, რომლითაც ის სქართველთა და სომეხთ ჯარებს ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად იწვევ-

და და თავმოსაყრელი ალაგად ნაჩვენები ქონდა უშორესი მხარე ხვარასანი: ამ ბძანების მიზანი ალბად ის იყო, რომ მოგვებისათვის დაბრკოლებანი შეესუსტებია. ამისთანა გარემოებათა დროს, 446 წელს,

მოკვდა მირდატ V და თავის მემკვიდრედ დატოვა შვიდის წლის შვილი თვისი – ვახტანგი.

პერიოდი მირიანის სიკვდილიდან მოკიდებული ვახტანგის გამეფებამდი წარმოადგენს საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებისა და საბერძნეთის თანამედროვე განათლების გადმოტანის პირველ საუკუნეს. პოლიტიკური გარემოებანი, ხალხის მშვიდობიანობის შემარყეველნი, ქრისტიანობის მხოლოდ გარეგან მხრის განვითარებაზედ ახთენდენცუდ გავლენას. ეკლესიების გაცარცვასა და აოხრებას და ღვთისმსახურების დიდებულად ასრულების დაბრკოლებას არ შეეძლოთ – რაიმე დაეკლოთ სარწმუნოებისათვის, რომელიც დამყარებული იყო სახარების ჭეშმარიტებათა საფუძვლიანად შესწავლაზე. 318 წლიდან მოკიდებული თითქმის ნახევარ საუკუნის განმავალობაში, მირიანის, ბაქარ 1-ისა და მირდატ III-ის მეფობის დროს, ეპისკოპოზების იოანეს, იაკობისა და იობის და სხვა სწავლულ პირთა შემწეობით, რომელნიც ამ მეფეთაგან იყვენ საბერძნეთიდან გამოწვეულნი, იმისთანა საფუძვლიანი ზომები მიიღეს ხალხისთვის ქრისტეს სარწმუნოების ჩასაგონებლად, რომ ვერავითარმა გარეგანმა დაბრკოლებამ ვერ ავნო მის ცნობიერ მხარეს. ხალხისა და მის მწყემსთა გულმოდგინების მეოხებით, თარდატისა და ფარსმანის დროს ხელახლად აშენდენ ეკლესიები და სკოლები, რომელნიც სპარსელებმა დაანგრიეს ვარაზ-ბაქარისა და მირდატ IV-ის

დროს. ხალხს სწამდა ჯვრის ცხოველმყოფელობა და ყოველთვის, როცა მტერი გამოჩნდებოდა საქართველოს საზღვრებზე, დიდის მეცადინეობით იფარავდა მს შეგინებისაგან. ამგვარად, მე-IV საუკუნას დასასრულს ქრისტიანობა სრულის თავის ძლიერებით დამკვიდრდა საქართველოში.

ამავე დროს ეკუთვნის საეკლესიო ანბანის, „ხუცურის", შემოღება საქართველოში. მის გამოგონებას მიაწერენ წმ. მესრობს, რომელიც ორჯერ იყო ამ ქვეყანაში: ბაქარის მეფობის დასასრულს და არჩილის მართველობის დასაწყისში [1]). ქორიუნი, მესრობის მოწაფე და ბიოგრაფი, ამბობს, რომ ეს ანბანი შეადგინა მან საქართველოში ბაქარის მეფობის დროს, ადგილობრივ სწავლულის ჯაგის [2]) ანუ, როგორც ისტორიკოსი ვარდანი უწოდებს მას – ჯაყელის შემწეობითო. მოსე ხორენელი ამოწმებს ქორიუნის ამ ჩვენებას. ანბანი „ხუცური“ შედგენილია „მხედრულის“ რიგზე, ასოთა რიცხვიც ერთი და იგივეა; ამასთანავე თითქმის ყოველ ასოში დაცულია ძველის ანბანის თანაბარ ასოს მსგავსება გამოხატულობაში; განსხვავება ის არის, რომ ,,მხედრულის“ ყველა ასო რგვალის მოყვანილობისაა, „ხუცურისა" კი – კუთხიანისა, რომელიც სომხურ ანბანებს ჩამოგავს, ე. ი. „მხედრულისა" და „ხუ-

---

[1]) Моис. Хорен. кн. III, гл. 55 и 60.

[2]) Corioun, vie de St. Mesrob, p. 15

ცურის” ასოებს შორის იმგვარივე განსხვავებაა, როგორიც ლათინურსა და გერმანულ ანბანთა ასოებს შორის.

ვახტანგ გორგასლანის მეფობა (446-499).

I

გარემოებანი მირდატ V-ის სიკვდილიდან ვახტანგ გორგასლანის მიერ ტახტზე ასვლამდი (446-454).

საქართველოს გაჭივრებული მდგომარეობა ვახტანგის მცირეწლოვანობის დროს. – სომხეთისა და ალბანიის მდგომიარობა. – დედოფლის სუნდუხტას მოგზაურობა თავის მამას ბარზაბოდთან. – ოსების შემოსევა. – იეზდიგერდის სისასტიკენი. – მობიდაგის ღალატი და მისი განყენება ეკლესიიდან. – ბერძნები იპყრობენ აფხაზეთსა და სამეგრელოს ნაწილს.

თანამომდევარ თავში ჩვენ ვნახეთ, რომ მირდატი იმ დროს მოკვდა, როცა იეზდიგერდ II-მ ქართველებს ჰუნების წინააღმდეგ ჯარები სთხოვა და ბძანა, აევსოთ საქართველო სპარსელთ ჯარებითა და მოგვებით, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობა გაევრცელებიათ იქ. მირდატის ცოლმა სუნდუხტამ, თავის შვილის ვახტანგის მცირეწლოვანების გამო, სამეფო მართვა თვითონ იკისრა; მაგრამ მალე შენიშნა, რომ მარტო თავის საკუთარ საშვალებით საქართველოს არ შეეძლო, მშვიდობიანობის აღორძინება მეზობელ ქრისტიან ხალხების – სომხებისა

და ალბანელების – დახმარების იმედი ტყუილი იყო,

რადგან ისინი თვითონ უფრო გაჭივრებულ მდგომარეობაში იყვენ. როცა სომეხთა სამეფო დაეცა და ბერძნებმა და სპარსელებმა ის გაინაწილეს, უდიდესი და უკეთესი ნაწილი სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში და ესენი მართავდენ მას მარზაპანების საშვალებით, რომელთაც ხანდახან სომხებისაგან ირჩევდენ. თუმცა სომხეთი სპარსეთის საზღვრებში იყო მოქცეული, მაგრამ მაინც ვერ აიშორა სპარსელთაგან ის აოხრება და უბედურება, რომელიც სჭირდა მას თავის უკანასკნელ მეფობის დროს. ქრისტიანობის დევნა აღელვებდა შეძლებულ გვარების წარმომადგენელთ; ამ აღელვებას ხელს უწყობდა კოსტანტინეპოლის კარის პოლიტიკური ინტერესებიც, ასე რომ ის აღელვება ხშირად გადაიქცეოდა ხოლმე სპარსთა წინააღმდეგ თავგანწირულ აჯანყებად. სპარსელებს სომხეთში თავის სარწმუნოებისა და პოლიტიკის მომხრენიც ყავდათ, და ყოველთვის ისინი ამ ორ დასს შეატაკებდენ ხოლმე ერთმანერთს და მათისვე ხელით ხოცავდენ მათ. ამგვარ მდგომარეობაში იყო სომხეთი, ვიდრე იეზდიგერდი ავიდოდა ტახტზე და ვიდრე იმის მართველად დაინიშნებოდა სიუნის თავადი ვასაკი, ვეხ-მირ-შაპურის, ვართანისა და ვაჰან ამატუნის მაგიერ; ესენი იყვენ კეთილისმდომი თავადნი და ენერგიულად იცავდენ სომხებს სრულის დაღუპვისაგან, რომელიც მათ დაუცხრომელ ინტრიგების გამო მოელოდა. სომხე-

თის დამხობისათანავე სომხების სამეფოც დაეცა. I საუკუნეში სომხეთს, ვგონებ, დღევანდელ მაზრების: ნუხის, შემახიის, ყუბანისა და ბაქოს ტერიტორია ეჭირა. ქრისტიანობა იმაში გავრცელდა ურნაირის გამგეობის დროს, დაახლოებით იმ დროსვე, როცა საქართველოში დამყარდა ის. ალბანიას მართავდენ მემკვიდრეობითი მეფეები: იავჩაგანი, მეროვანი, სა-

ტო, ასა, ესუაგენი და ვაჩე. იმას ძლიერ ხშირად ესეოდენ დაღისტნის ხალხები; ესუაგენის მართველობის დროს კი, მე-V საუკუნის დასაწყისში, ალბანიას დაუწყეს რბევა სხვა ხალხებმაც, რომელნიც თავმოყრილი იყვენ ვოლგის შესართავიდან სამხრეთისაკენ. სანამ სომხეთს თავისი საკუთარი ჯარები ყავდა, ალბანიაც, იმასთან კავშირშეკრული, როგორც იყო, აჩერებდა ჩრდილოეთის ხალხების შემოსევას; მაგრამ, როცა სომხეთმა ავტონომია დაკარგა, მარტო ალბანელებმა ვერ შესძლეს იმათი შეჩერება და გაიდევნენ თავიანთ საზოგადოებიდან მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. აქ, ვაჩეს მართველობის დროს, ისინი სპარსეთთან იმგვარვე დამოკიდებულებაში შევიდენ, როგორშიაც იყვენ საბრალო სომხები, და ყოველივე, რასაც იეზდიგერდი საქართველოს შესახებ განიზრახავდა, ეხებოდა აგრეთვე სომხეთსაცა და ალბანიასაც, სადაც მისი განკარგულებანი უფრო ადვილად და უმეტეს სიფიცხით სრულდებოდენ.

ამგვარ უკიდურეს გარემოებათა დროს სუსტ

ხასიათის იმპერატორი თეოდოსი კიდევ უფრო ნაკლებად საიმედო იყო; ამიტომაც დედოფალმა განიზრახა, თავის მამის ბარზაბოდისათვის ეთხოვა დახმარება; ეს იყო რანისა და ადარბადაგანის მართველი – და იეზდიგერდს იმისთვის მიენდო თავის მძვინვარე წადილის ასრულება. დედოფალმა შეკრიბა მცხეთაში ყველა ერისთავი და დიდებული, გამოუცხადა მათ თავისი განზრახვა, ჩააბარა მამულის სვე-ბედი და თავისი შვილები და წავიდა ქალაქ ბარდას. სუნდუხტა იმ დროს მივიდა იქ, როდესაც ბარზაბოდი მზათ იყო სპარსეთის ჯარებიანად საქართველოსკენ გასალაშქრებლად და თან მოგვებიც მოყავდა. ის გამოეცხადა თავის მამას, როგორც

მორჩილი ასული, მოალბილა მოხუცებულ წარმართის გული და ამგვარად გამოითხოვა მისგან, პირველი: საქართველოს გათავისუფლება სპარსეთის ჯარების შემოსევისაგან, და მეორე: ქრისტიანულ წირვა-ლოცვის თავისუფლად ასრულება. თავის მხრით სუნდუხტა დაპირდა ჰუნების წინააღმდეგ ჯარების მიშველებას და აღუთქვა, რომ არცერთ ქართველს არ დავუშლი იმ სარწმუნოების მიღებას, რომელსაც თვითონ აირჩევსო.

რაკი ქართველთ მეფის ოჯახობამ ამგვარი დამოკიდებულობა დაიჭირა ადარბადაგანის მართველთან, საქართველოს ამით დიდი საღავათი მიეცა ყველა ქრისტიან ხალხთა შორის, რომელნიც სპარსეთის საზღვრებზედ იყვენ. თუმცა ბარზაბოდი მა-

ლე მოკვდა, მაგრამ ადარბადაგანის მართველობა მის შვილის, დედოფლის სუნდუხტას მკვიდრ ძმის ვარაზბაქარის ხელში გადავიდა, რომელსაც სენ-მარტენი ვარაზვაგანს უწოდებს [1]), და ამიტომაც საქართველოს მშვიდობიანობა დაცულიქნა იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იეზდიგერდის დროს.

მაგრამ აი რა ქნა თვით იეზდიგერდმა ანუ რა მოხთა მის მოქმედებათა მეოხებით.

პირველი: 449 წელს ოსებმა, რომელთაც ალბად სცოდნიათ ქართველთ ჯარების წასვლა, ისარგებლეს ამ შემთხვევით და საშინლად ააოხრეს ქართლი, თან წაიყვანეს ურიცხვი ტყვე, რომელთ შორისაც მოხვდა აგრეთვე მირდატის სამის წლის ასული. აქიდან ოსები რანსა და ალბანიას შევიდენ, ააოხრეს ეს ქვეყნები და დაღისტნით თავიანთ მხარეს დაბრუნდენ.

მეორე: სხვა ქრისტიან ხალხების ჯარებთან იეზდიგერდმა ამოსწყვიტა ქართველი ჯარიც, რომელიც თითქმის ორის წლის განმავალობაში განსა-

კუთრებულ ვაჟკაცობით ემსახურებოდა მის დრო-
შას ჰუნების წინააღმდეგ ომში, – ამოსწყვიტა იმი-
ტომ, რომ მათ უარყვეს ზოროასტრის სარწმუნოე-
ბის მიღება.

და მესამე: იეზდიგერდმა არ დაუსწავლა ქრი-
სტიანებს არავითარი სამსახური და 450 წელს მი-

---

[1]) Mémmoires sur l'Arménie, tom, 1, 322

ანდო თავის ვეზირს, გაეგზავნა სომხებისათვის მიწე-
რილობა და მით ვალად დაედვა მათთვის, აესრუ-
ლებიათ მოგვების სწავლის ძირითადი კანონები,
რომელიც მიწერილობაში იყო გამოთქმული.

პატრიარქმა იოსებმა ამ შემთხვევის გამო მიი-
წვია არტაშადს კრება, რომელმაც ერთხმად უარი
გამოუცხადა სპარსეთის ვეზირს. ამით გაჯავრებულ-
მა იეზდიგერდმა მოინდომა – ქრისტიანთა ჯიუტო-
ბისათვის ბოლო მოეღო, დაიბარა თავის წინაშე
საქართველოს, სომხეთისა და ალბანიის წარჩინებუ-
ლი დიდებულნი და საშინელის ტანჯვით მოაკვლე-
ვინა მათ შორის ისინი, რომელთაც არ ისურვეს
ქრისტეს სარწმუნოების უარყოფა.

იეზდიგერდის მიერ გამოგზავნილი მოგვები,
მუბადის ბინქარის თაოსნობით, გატაცებით ქადა-
გებდენ ცეცხლთაყვანისცემას; მეორე სპარსმა, სახე-
ლად მობიდაღმა (ალბად ესეც მუბადი იყო), რო-
მელსაც ქრისტიანობა მიეღო და საქართველოს არ-
ქიეპისკოპოსობა ეშოვნა, თავის ახალ წესების შე-
მოღებით დაიწყო ეკლესიის წესების დარღვევა. სა-
ქართველოს დაბალი ხალხი ფიქრობდა, რომ სარ-
წმუნოების საფუძველი ეკლესიის გარეგან წესებში
მდგომარეობდა, და რაკი, ერთის მხრით, ამ წესების,
სისუსტე დაინახა და, მეორე მხრით, მოგვების მა-
ტყუარობითაც მოხიბლული იყო, ამიტომ თანდათან

იწყო ქრისტიანობისაგან განდგომა. ამ ახალმა ში-
შის ზარმა აიძულა დედოფალი, მოეწვია საბერძნეთი-

დან ერთი სწავლული ეპისკოპოსი, მიქელი, და მის-
თვის დაევალებია არქიეპისკოპოსის მოქმედებისა და
მოძღვრების განხილვა. დედოფლისაგან გამხნევე-
ბულმა მიქელმა დაუყოვნებლივ მიიწვია კრება, ამ-
ხილა მობიდაღს მისგან გავრცელებულ მოძღვრების
სიყალბე, ხელი ააღებია მას საეკლესიო მართველო-
ბაზე და თვითონ ის შეაჩვენა, მისი თხზულებანი-კი
ცეცხლში დასწვა. ამას შემდეგ საქართველოს ეკლე-
სიის უფროსად მიქელი დაინიშნა.

ყველა ამ უბედურებას, სპარსეთით მოვლინე-
ბულს, ზედ დაემატა კიდევ საბერძნეთის მხრით შე-
ურაცხყოფა: დაახლოებით 452 წელს საბერძნეთის
ჯარებმა დაიჭირეს აფხაზეთი, სადაც ისინი ძველა-
დანვე ნებაზე ბატონობდენ და მასთან სამეგ-
რელოს ნაწილიც ჩაიგდეს. ამგვარ მდგომა-
რეობაში იყო საქართველო რვა წლის განმავლო-
ბაში, ვიდრე ვახტანგი ტახტზედ ავიდოდა.

II

ომი ჩრდილოეთის ხალხებთან.

ვახტანგის აზრდა. – მისი ასვლა ტახტზე. – მზადება ოსებთან საბრძოლად. – მისი გალაშქრება ოსეთსა, ჩერ-ქეზეთსა და პეჩენეგების მხარეებში. – მისი დაბრუნება და სპარსეთის მეფის ასულთან დაქორწინება.

564 წელს, როდესაც ვახტანგს 15 წელი შე-
უსრულდა, თვით ავიდა თავის ტახტზე და დაიწყო
სამეფოს მართვა. ხალხის გადმოცემაში ამ შესანიშ-
ნავ მეფის სახელი ფარნავაზისა და მირიანის სა-
ხელებს ეთანასწორება, და ნაკლებად სახელოვანი
არც მისი მოქმედებანი იქნებოდენ, თუ რომ ამის
დროს ბევრად მეტი დამაბრკოლებელი გარემოება
არ ყოფილიყო, ვიდრე იმათ დროს იყო. როდესაც
ისტორია დიდებულ მოღვაწეთა ეპოქის აწერას ხელს
კიდებს, თავის მოთხრობისათვის თხოულობს დაწვრი-
ლებით სასარგებლო ცნობებს. სამწუხაროდ, ვახტან-
გის ცხოვრებისა და მეფობის შესახები ცნობები ისე
ცოტაა და ზღაპრული, რომ ჩვენ არა გვაქვს ღო-
ნისძიება ამ პირობის საკმაოდ ასრულებისათვის;
ხოლო მატიანიდან ვიცით, რომ დაბადების ცოტა
ხანს შემდეგ ვახტანგი მამა-მისმა მირდატმა, ხალ-
ხის ძველ ჩვეულებისამებრ, უცხო სახლში მიაბარა.
ეს ჩვეულება დღემდისაც არსებობს კავკასიის მრავალ
ხალხს შორის. მისი პირველი ამზრდელი იყო ქართ-

ლის ერისთავი, საქართველოს სპასპეტი საურმაგი;
ამის სიკვდილს შემდეგ სეფეწულის აზრდა იკისრეს
ახალმა სპასპეტმა ჯუანშერმა და არქიეპისკოპოსმა
მიქელმა. ეს ამზრდელნი ცთილობდენ თავიანთ
მოწაფის ფიზიკურად განვითარებას და საღვთო მე-
ცნიერებაში მის განსწავლას, მაგრამ ვახტანგისათვის
უდიდესი სარგებლობა უნდა მოეტანა სპასალარისა
და ეკლესიის უფროსის საუბარს ხალხის მრავალ-
გვარს მუდმივ უბედურებაზე და იმათ თათფირს იმ
ზომების შესახებ, რომლითაც შეიძლებოდა ამ გაჭივ-
რებულ მდგომარეობისაგან ხალხის გამოხსნა.

ვახტანგი თვალად ლამაზი იყო, ტანად მაღა-
ლი და მაგარ აგებულობისა. მისი გამჭრიახი ჭკუა
გამოჩნდა ტახტზე მის ასვლის დროსვე სეფესიტყვა-

ში, რომელიც მან წარმოთქვა, და იმ მოხერხებაში, რომლითაც ის სპარსეთის წარმომადგენელს ბინ-ქარს მოექცა. როდესაც ყველა იქ მყოფნი ფეხზედ იდგენ, ვახტანგმა ის და არქიეპისკოპოსი მიქელი, როგორც საქართველოს ორის უმთავრეს სარწმუნოე-ბის წარმომადგენელნი, თავის გვერდით დაისვა და ამასთანავე გამოუცხადა მათ, ოსების წინააღმდეგ უნდა გავილაშქრო და ქართლის აოხრებისათვის მაგიერი გადავუხადოვო. ამასთანავე სთქვა, რომ კრძალ-ვით უნდა მოვითმინოთ ის უბედურება, რომელიც საქართველოს შეემთხვა სპარსეთისა და საბერძნეთის მხრით, ვინაიდან ის თვით ღმერთმა მოუვლინა ხალხს ცოდვების გამოვო. მაგრამ, თუ რამდენად

გულწრფელი იყო ეს სიტყვები და საზოგადოდ მისი ყოფაქცევა, ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ.

ოსების წინააღმდეგ ლაშქრობის მზადება 455 წლის ბოლოს მოიყვანეს სისრულეში. სალაშქროდ გამოიწვიეს ყველა ის ხალხები, რომელთაც გამოე-ცალათ მათგან აოხრება, მათ შორის რანის სპარ-სელნიც. ყველანი გატაცებით მიისწრაფოდენ ახალ-გაზდა მეფის დროშებისაკენ. ჯარების კრება დანიშ-ნული იყო მუხრანის დიდ მინდორზე, მდინარე არაგვის ორვე ნაპირზე. დიდი ხანი იყო, საქართ-ველოს ასე დიდი ლაშქარი არ ენახა. როცა ჯა-რების რაზმებს ათვალიერებდა, ვახტანგი აღტაცე-ბაში მოვიდა იმათი აუარებელ რიცხვისა და საერთო მხნეობისა, მშვენიერ აღჭურვილობისა და სალაშქრო ნივთების სიმრავლის გამო.

დედოფალი, ვახტანგის დედა, უწინდლურად საქართველოს მართველად დარჩა. აღთქმისამებრ, ვახტანგმა შვიდის დღის განმავალობაში იმარხულა და ილოცა; შემდეგ ჯარებს მთებით გამგზავრება უბძანა, და ისინი დაუშვენ დარიალის ხეობაში.

ამ ხეობის ნაპირები, თერგის ორცე მხრით, ეჭირათ ოსებისა და ხაზარების ბრბოებს, რომელ ნიც ქართველებს უდარაჯებდენ. ბრძოლა, ძველ ხალხების ჩვეულებისამებრ, ორთაბრძოლით დაიწყო, რომელ-საც ზედ ურთავდენ ხოლმე საყვირთა ხმასთან და დაფდაფთა გრიალთან შეერთებულს მოწონების კი-ჟინას. ბოლოს თვით ვახტანგმა ორი უპირველესი

მეომარი, ხაზარი თარხანი და ოსი ბაყათარი, დასცა და ჯარებს წინ გაწევა უბძანა. რაკი ოსები და ხა-ზარები მინდვრად გარეკეს, ვახტანგის ჯარებმა ცეცხლითა და მახვილით დაუწყეს მუსვრა ყოველფერს, რაც-კი იმათ საშინელ სრბოლას ეწინააღმდეგებოდა. ვახტანგი უკუნ მიყვებოდა გაქცეულ ხალხებს, და ამასობაში პეჩენეგების ძლიერისა და დიდძალ ხალ-ხის, საზღვრებში შევიდა; დაიმორჩილა ისინი, დიდი ხარაჯა გადაახთევინა და დაბრუნდა კავკასიისკენ. როცა ხელახლავ ხაზარების, ოსებისა და ადიგეების საზღვრები გამოიარა, დაიბრუნა მათგან თავისი და ყველა ტყვე, რომელნიც მათ ქართლის აოხრების დროს წაიყვანეს; ამასთანავე ხარჯად გადაახთევინა ცხენებისა და საქონლის აუარებელი რიცხვი; მან გამოიარა აფხაზეთი და დაბრუნდა საქართველოს იმავე გზებით, რომლითაც 270 წლით იმის წინად იმგზავრა ამზასპმა.

ეროვნულ მატიანეთა გარდა, ამ ბრწყინვალე ლაშქრობის შესახებ ამბობს აგრეთვე წარწერა, რო-მელიც აქამდის დარჩენილა ოსეთში, ეკლესიის კე-დელზე, ნუზალში. ეს წარწერა მოწმობს, რომ ოსეთში მართლა ყოფილა ძლიერი მართველი ბაყათა-რი, რომ მას ტყვედ წაუყვანია ვახტანგ მეფის და და შემდეგ ის დაღუპულა ამ მეფის ცფიერებით [1])

---

[1]) ეს წარწერა, როცა ოს ბაყათარსა და მის

შთამომავლობას შეეხება, ამ სიტყვებით თავდება:

„კავკასიონი დავიპყარ, ოთხს სამეფოს ხმალი ვკარი;

– 54 –

როცა ვახტანგი საქართველოს მოვიდა, უხვად დაასაჩუქრა ჯარები და დაითხოვა; ამას შემდეგ დაუყოვნებლივ გაუყო ალაფი და ტყვეები თავის ბიძას, რანის მართველს ვარაზ-ბაქარს, და სპარსეთის მეფეს ორმუზდს, იეზდიგერდის მემკვიდრეს, რომელიც (იეზდიგერდი) 458 წელს მოკვდა. სპარსეთის კარის ძღვენი მუბადს ბინქარს გაატანა და მასვე მიანდო, მოეხსენებია ორმუზდისათვის, რომ ვახტანგს სურდა იმის ასულის შერთვა. სპარსეთის მეფე ვახტანგის ძლიერ კმაყოფილი დარჩა, და, რადგანაც მის ვაჟკაცობას პატივისცემით შეყურებდა, მისწერა თავისი თანხმობა და უწოდა მას «ათ მეფეთა შორის უდიდესად»(?).

ეს ქორწინება თავმდები იყო იმისა, რომ სპარსეთის მხრით საქართველოს შიში აღარ მოელოდა, და ამ გარემოებამ ქართველ ხალხის დაცემული სული აადგინა: .ახალმა გამარჯვებამ წარსული უბედურებანი სრულიად დაავიწყა ერს.

ქართველს ბატონს და მოსტაცე, არ დავაგდე ჩემი გვარი; მომწვდა, ფიცით მიღალატა, დაიდვა ჩემი ბრალი. – ბაყათარ წყალსა მიეცა, აღიხოცა ოსთა ჯარი.“

Топограф. и статист. счерки объ Осетіи – Головина вѣ уавуав. календ. на 1854 годъ.

III

ომი საბერძნეთთან.

ბერძენთ მდგომარეობა საქართველოს დასავლეთის ნაწილებში. – გუბაძე. – ორმუზდი ქართველთ ჯარებს. უერთებს სპარსელთა, სომეხთა და ალბანელთ ჯარების ნაწილს და თხოვს ვახტანგს, წაიყვანოს ისინი ბერძენთ წინააღმდეგ. – ვახტანგის წარმატებანი. – მისი ორაზროვანი ყოფა-ქცევა. – სასარგებლო ზავი ბერძნებთან: ბერძნებისაგან წართმეულ მაზრების დაბრუნება. – მათში ქართველთ მართველობის განახლება.

ჩრდილოეთის ხალხთა წინააღმდეგ ლაშქრობის გათავების შემდეგ ქართელი მატიანეებისაბერძნეთის იმპერიასთან ომზე გადადიან.

ვარაზ-ბაქარის მეფობის დროს, მე-IV საუკუნის ბოლოს, ბერძნები ცთილობდენ, საქართველოზე გავლენა ხელიდან არ გაეშვათ; ამ აზრით დაიპყრეს დასავლეთი საქართველო და მის მართველად სავრომატი დააყენეს. თუმცა საფორმა სავრომატი ბერძნების ჯარებიანად განდევნა იქიდან, მაგრამ შემდეგ ბერძნები მაინც არ ეშვებოდენ კლარჯეთის, ოძრხისა და წუნდის საერისთოებს. დაახლოებით 452 წელს ვიღაც გუბაძემ (ალბად ერთი იქაურ ერისთავთაგანი იყო) მოინდომა მეფის ხარისხის შოვნა, ბერძნების შემწეობით სამეგრელოს ნაწილი დაიპყრო

და განსაკუთრებული სამეფო დაიარსა, რომელსაც სახელად ლაზების (ჭანების) სამეფო ეწოდა. ამ ხარისხში გუბაძე დაიმტკიცა ბიზანტიის კარისაგან და შემდეგში ისე გაძლიერდა, რომ სვანეთს თავს დაესხა.

ამასობაში ბერძნებმა სპარსეთის დასავლეთის ნაწილებს შიში მიაყენეს.

ორმუზდმა თავსი ასული ვახტანგს რომ მიათხოვა, ამას შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია – მახ-

ტანგს შეატყობია სპარსეთის საზღვრებში ბერძნების შესევის განზრახვა და სთხოვა, დაესწრო მათთვის და პირიქით შესეოდა ეს წინადადება რომ მართალი უნდა იყოს, იმისგან სჩანს, რომ ორმუზდს 458 წლიდან მის ძმის ფეროზის აჯანყება აჩერებდა [1]), და სხვის ვისი იმედი ექნებოდა, თუ არა თავის ძლევა-მოსილ სიძისა, რომელიც ბერძნებს კიდევაც ემ-დუროდა, რადგან მათ სამეგრელოს ნაწილი დაიჭი-რეს და გუბაძესაც შემწეობას აძლევდენ.

კავკასიის ყველა ხალხი: სომხები, ალბანელები და ადარბადაგანის სპარსელები ვახტანგის ხელქვეშ შეერთდენ. მეფემ კარაფხალის ციხეს მიმართა, გარშემოერტყა, მაგრამ იერიშით ვერ აიღო; ამიტო-მაც რამდენიმე ჯარი დატოვა მის მახლობლად, და თვითონ კი პონტოსკენ გაემართა. გუბაძე 466 წელს დიდ საშიშროებაში ჩააგდეს, ამიტომ ის წავიდა

---

[1]) L. Dubenx, la Perse, p. 321.

კოსტანტინეპოლს, ქართველებსა და სპარსელებზე საჩივარი შეიტანა და იმპერატორს ლეონ დიდს შემწეობა სთხოვა [1]). გზა-გზა, კარაფხალიდან ქალაქ კოსტანტინამდის, ვახტანგმა აიღო: არზიანძორი, ეკლეცი და სტერი. მაგრამ მისი სწრაფი მოძრაობა კვლავ შეაჩერა კოსტანტინის სიმაგრეებმა. როცა ჯარი გარსშემოარტყა, ვახტანგმა შენიშნა, რომ სპარ-სელები ეკლესიის მოსამსახურე პირებს ხოცავდენ და ქრისტიანთ ტაძრებს მუსრავდენ. სასტიკად აუკრ-ძალია მათ მკვლელობისა და აოხრების გაგრძობა და უბძანა, რომ ყველა ღვდელი, რომელნიც ტყვედ ჩაუვარდებოდათ, მისთვის წარედგინათ. ამასობაში ბერძნებს მომხმარე ჯარები თანდათან ძალას უმა-ტებდა: აუარებელი ლეგიონი გამოვიდა ზღვის ნაპი-რად ამ ქალაქის დასაცველად. ვახტანგმა დაინახა,

რომ მისი გაჭივრება მატულობდა, გაათავისუფლა დატყვევებული დედლები და ქალაქთან გამართა ზავის შესახებ მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკებაში დიდი მონაწილეობა მიიღო ქალაქის საღვდელოებამ; თავის აზრებს ის სხვადასხვა სიზმრებზედ ამყარებდა და აღუთქვა ვახტანგს საბერძნეთთან მტკიცე ზავი, ბერძნებისაგან დაპყრობილის მის ადგილების დაბრუნება და იმპერატორ ლეონის ასულის შერთვა, თუ რომ გარშემორტყმაზე ხელს აიღებდა. ვახტანგი გაიტაცა ხუცების წინასწარმეტყველებამ; მიიწვია მან

---

[1]) Brosset, hist. de la Géorgie, p. 173.

სამხედრო რჩევა, ეს დაპირებანი დაუფარა მას და მოკავშირეებს წარუდგინა მრავალი დაბრკოლება, რომელიც ვითომ ადვილად გადაუჭრიდა მათ გზას საქართველოსა და სპარსეთისაკენ, –ასე რომ ჯარების უფროსებს გარშემორტყმისათვის თავი დაანებებია და სომხეთისკენ უკან დაწევა ურჩია. ისინი დაეთანხმენ და ხუთის დღის სავალზე უკან დაიწიეს. სიხარულით მოცულმა ქალაქ კოსტანტინის მცხოვრებლებმა გაუგზავნეს ვახტანგს 1000 ლიტრა ოქრო და 500 თოფი ძვირფასი ფარჩა.

როცა იმპერატორმა ვახტანგის ამგვარი საქციელი გაიგო, თავის მხრითაც მისცა სიტყვა, რომ საღვდელოების დაპირებას აასრულებდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ მეფეს მისთვის სპარსელები გაეცა. იმავე დროს ბერძნების ჯარებს უბძანა, წინ წაიწიეთ და ვახტანგის ბანაკის პირისპირ გაჩერდითო; ჩხუბი კი არ დაიწყოთ, ვიდრე განსაკუთრებულ განკარგულებას არ მოვახთენო. ბერძნებსა და ვახტანგს შორის ამ პირობის შესახებ ახალი მოლაპარაკება გაიმართა და, თუმცა, როგორც მემატიანეები გვარწმუნებენ, ვახტანგი სპარსელთა გაცემას არ თანხმდე-

ბოდა, მაგრამ ამათმა იჭვიანობამ და ცხადმა აჯან-
ყებამ იქამდის მიიყვანეს, რომ, მეტი გზა არ ქონდა,
მათ ნებაზე მიუშვა ისინი და ქართველი ჯარები
გააცალკევა მათგან. მაშინ ბერძნები თავს დაესხენ
სპარსელებსა და სომხებს და თითქმის სრულიად
მოწყვიტეს. ვახტანგმა ბერძნების დაღალულობით

ისარგებლა, შეიყვანა ბრძოლაში თავისი მოსვენებუ-
ლი ჯარი და იმპერატორის ჯარები სრულიად დაა-
მარცხა; ამით, ალბად, უნდოდა თავის საქციელის
გამართლება სპარსეთის კარის წინაშე. ქართველთა-
გან დევნილი ბერძნები ზღვის ნაპირისკენ გაიქცენ
და მხოლოდ ისინი გადარჩენ, რომელთაც გემებში
ჩაჯდომა მოასწრეს. ამ დროს ლეონი მივიდა პონ-
ტოს, და, როცა ეს გარემოება შეიტყო, განცვიფრდა;
მაგრამ იმ დროსვე ვახტანგისაგან წერილი მიიღო,
რომელშიც ის ყოველფერს აბრალებდა ბრძოლაში
მოკლულს ბერძენთ ჯარის უფროსს პოლიკარტოსს
და აცნობებდა მას ყველა ტყვის გათავისუფლებას;
იმპერატორი კმაყოფილი დარჩა და მოიწვია ვახტანგი
ზავის შესაკრავად. ამ ზავის პირობით საქართველოს
დაუბრუნდა ყველა მისი მიწები, გუბაძე იძულებული
შეიქნა – თავის ხარისხზე ხელი აეღო და კოსტანტინე-
პოლს წასულიყო, მოახთინეს ვახტანგის მიერ იმპე-
რატორის ასულის დაუსწრებელი დანიშვნა და აფხა-
ზეთი მზითვად დაუნიშნეს იმპერატორის ასულს,
როცა მას საქართველოს წამოიყვანდენ.

როდესაც ამგვარად გაათავა საბერძნეთთან ომი,
ვახტანგმა თავისი ჯარები სომხეთით გაუშვა, და
თვითონ კი ახალ სამფლობელოთა მოსაწყობად გა-
ემგზავრა. ყოველგან დანიშნა მართველები, მოახთინა
განკარგულებანი, რომელნიც შეეხებოდენ ხსენებულ
სამფლობელოებში წესწყობილების დაფუძნებას, ცი-
ხეების განახლებასა და მონასტრების აშენებას. ამას

შემდეგ უკანასკნელ გამარჯვებით განცხრომილი ვახტანგი თავის სატახტო ქალაქში დაბრუნდა.

IV

კავშირის გაწყვეტა და ომი სპარსეთთან

სპარსეთის კარის ვახტანგისადმი მეგობრულ განწყობილების გაგრილება. – საქართველოს მზადება თავის დასაცავად. – მოგვების გასდევნა. – ვახტანგი აქეზებს სომხებს სპარსელთ წინააღმდეგ აჯანყებისათვის. – სომეხთა წარმატებანი და მათი საშიშარი მდგომარეობა. – ვახტანგის ოინები. – სპარსელთა შემოსევა. – ბერძენთა შემწეობა. – ზავი საქართველოს, სპარსეთსა და საბერძნეთს შორის.

ამასობაში სპარსეთში მოკვდა ორმუზდი, ვახტანგის სიმამრი, და ტახტი ფეროზმა დაიჭირა. ამ გარემოებას თავისთავად შეეძლო სპარსეთისადმი ქართველთ მეფის განწყობილების შესუსტება. თუკი ეს უკანასკნელი მართლა არსებობდა როდისმე. მეორეს მხრით, სპარსელებს არ შეეძლოთ – ეპატიებიათ ვახტანგისათვის მისი ყოფა-ქცევა ბერძნებთან ჩხუბის დროს და მათთან დაახლოება. მეფეს ყველა ეს კარგად ესმოდა, და, რადგან წინდაწინვე იცოდა, თუ ამისთანა ურთერთობას რა შედეგი ექნებოდა, შეუდგა მზადებას საქართველოს დასაცველად. ყოველგან ციხეებს აშენებდა,მხედრებს დიდისმეცადინეობით იარაღს ურიგებდა და ციხეებში აყენებდა მეციხოვნეთა საკმაო

რაცხვს. რამდენიმე წელი გავიდა ამ მზადებაში, მაგ-

რამ სპარსელები ჯერ კიდევ არაფერს აპირობდენ: ნევტალიტ ჰუნებთან ომი აჩერებდა მათ. როცა-კი ორმუზდის ასული ვაჟის დარჩილის მშობიარობის გამო მოკვდა და ვახტანგმა იმპერატორის ასულის შერთვის სურვილი გაამჟღავნა, მაშინ ბინქარმა და მოგვებმა, რომელნიც საქართველოში თავიანთ მომავალ მდგომარეობისათვის შიშობდენ, გამართეს სპარსეთის კართან საიდუმლო მიწერ-მოწერა; ისინი სპარსეთის მეფეს სთხოვდენ, შემოესია ჯარი საქართველოსათვის და გამოეხსნა ზოროასტრის სარწმუნოება იმ შერყეულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ამ ქვეყანაში დღითიდღე უფროდაუფრო ვარდებოდა. ეს მიწერ-მოწერა გამოაშკარავდა, ბინქარი საპყრობილეში ჩააგდეს, მოგვები ყველანი განდევნეს და ცეცხლმსახურების ბომონები შემუსრეს.

ვახტანგს ესმოდა, რომ, რამდენათაც ის თავის საქციელით სპარსეთს თანდათან უფროდაუფრო მტრულად ეპყრობოდა, იმდენათ უფროდაუფრო ამძვინვარებდა ფეროზის შურისძიებას და მით დიდ განსაცთელს უმზადებდა თავის სამშობლოს. თავისი ძალ-ღონე რომ მტრის ძალ-ღონისათვის რამდენადმე მაინც შეეთანასწორებია, ვახტანგმა სპარსეთის წინააღმდეგ სომხებიც გამოიწვია და საიმედოდ აღუთქვა მათ,ჰუნებიც დაგვეხმარებიანო; ჰუნებს როდისღაც მისთვის ფიცი მიეცათ და მით ვალდებულად გაეხადათ თავი, პირველ მოწვევისათანავე მისდა სამსახურად მზად ყოფილიყვენ. მაგრამ სომხები დიდ-

ხანს ყოყმანობდენ, განსაკუთრებით მათი სარდალი ვაჰან მამიკონიანი, რომელიც საიდუმლოდ ცეცხლ-

მსახურების მიმდევარი იყო. ბოლოს დროს იმანც დაუთმო თავის მემამულეთა უმეტესობის სურვილს: იმათ ერთმანერთს შეფიცეს, ან ერთიანად გავსწყდეთ და ან სპარსელთ მონობიდან თავი დავიხსნათო.

ვაჰანმა ომი იმით დაიწყო, რომ ანის ციხის კედლებთან სპარსელებზე გაიმარჯვა, შემდეგ დვინი აიღო, არტაშადს ჯარი გარშემოარტყა და ბოლოს, სოფელ აქორის მახლობლად, რიცხვით 300 სომეხმა 7000 სპარსელი დაამარცხა.

ლაზრე ფარბელისა და ეღიშეს მოწმობით, ვახტანგის ყოფა-ქცევიდან სჩანს, რომ მას სრულიადაც არ სურვებია ომის დაწყება, არამედ ნდომებია, მხოლოდ ძალ-ღონე მოემზადებია იმ შემთხვევისათვის, თუ რომ სპარსელები შემოესეოდენ. სომხებმა-კი მის მიზანს არ მიხედეს და მარტოდ მარტონი შეესიენ სპარსელებს, და მალე, რამდენმე უმნიშვნელო გამარჯვებას შემდეგ, იგრძნეს, რომ იმდენად ძლიერნი არ იყვენ, ქართველების დაუხმარებლად განეგრძოთ ომი ისე, როგორც დაიწყეს. ამიტომაც მოაგონეს ვახტანგს მისი დაპირება და შემწეობა სთხოვეს. საქართველოს მეფეს ეძნელებოდა გადაწყვეტა – თავისი პლანი უარეყო, თუ სომხებთან კავშირი გაეწყვიტა. ამასთანავე ჰუნების ჯარები, რომელნიც მან მოიწვია, ჯერ კიდევ საქართველოს არ მოსულიყვენ. თავის ყოყმანობის დასაფარავად ვახ-

ტანგმა სომხებთან მოლაპარაკება გამართა და შემდეგ გაგზავნა მათთან 400 ჰუნი, რომელნიც ერთს თვეს შემდეგ უკანვე მოიწვია თავის საზამთრო ბანაკებში. სომხები-კი, როგორც სჩანს, შეშინდენ ამით, მიატოვეს თავიანთი საზღვრები სპარსეთის მხრით და წამოვიდენ დასავლეთს, ეფრატის სათავეებისაკენ. ვახტანგმა როცა დაინახა, რომ სომხებმა დასცალეს მთელი ის სივრცე, რომლითაც სპარსელებს საქართ-

ველოსთვის უნდა მიემართათ, სთხოვა მათ, მოშორ-
დით მაგ ადგილს, გუგარკის მაზრაში შედით და იქ
შეგიერთთებითო. სომხები მივიდენ იქ, მაგრამ მინ-
დვრად არ გამოდიოდენ და მთების მახლობლად იყვენ.
ბოლოს, ვახტანგის დაჟინებულ მოთხოვნისამებრ,
დადგენ იქ, სადაც ნაჩვენები ქონდათ, მაგრამ პირ-
ველვე ბრძოლაში სრულიად დამარცხდენ, და სპარ-
სელთა მრავალრიცხოვანმა ჯარმა, სომხეთის ნაწი-
ლისა და ალბანიის აოხრების შემდეგ საქართვე-
ლოს მიმართა.

როცა სპარსელები საქართველოს უახლოვდე-
ბოდენ, ვახტანგმა მაშინვე იმპერატორ ლეონს
აცნობა ეს ამბავი და სთხოვა შემწეობა, მაგრამ ელ -
ჩებმა სატახტო ქალაქში ლეონს ვერ მოუსწრეს: ის
ჰუნებთან საომრად წასულიყო. ამასობაში, სანამ გა-
გზავნილები იმპერატორთან მივიდოდენ და იმპერა-
ტორი შემწეობის მიშველების განკარგულებას მო-
ახთენდა, მტერი კიდევაც შემოვიდა საქრთველოს.
სპარსელებს ამ ქვეყანაში ყოველგან, ძლიერის მე-

ციხოვნე ჯარებით გამაგრებულ ციხეებს გარდა, კი-
დევ ორი დიდი რეზერვი დაუხვდათ: ერთი მცხეთის
მახლობლად იდგა, და მეორე-კი – არმაზთან. ოთ-
ხის თვის განმავლობაში, საითკენაც კი მიმართავდენ,
ყოველგან საშინელ წინააღმდეგობას ხვთებოდენ
ქართველების მხრით. ქართველთ რაზმები და უახლოეს
ციხეთა ჯარები სისწრაფით შველიოდენ ერთმანერთს.
ბოლოს ვახტანგმა იმპერატორისაგან წერილი მიიღო,
რომლითაც ის ატყობინებდა, 80,000 მომხმარე ჯარი
გამოგიგზავნე და ამასთანავე ყველა მცხოვრებს, მე-
ლიტენიდან მოკიდებული ლამდასა და კარნუ-ქა-
ლაქამდის, ამ ომის გათავებამდი სრულიად შენ გი-
მორჩილებო. ეს რომ ფეროზმა შეიტყო, მანც გამო-
უგზავნა ვახტანგს წერილი, რომელშიც ზავის შე-

კვრის წინადადებას აძლევდა იმ პირობით, რომ საქართველოში ხელახლად აღედგინა ცეცხლმსახურება, მაგრამ, რა-კი ვახტანგმა ეს პირობა უარყო, სპარსეთის მეფემ საჩუქრები და ძვირფასი გვირგვინი გაუგზავნა და მიიწვია ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად. ეს გვირგვინი ყეინმა ალბად ქართველ მეფის დამოუკიდებლობის ნიშნად გამოგზავნა. ვახტანგმა გვირგვინი მიიღო და თავის მხრით გაუგზავნა ფეროზს 500 მონა, 1000 მხევალი, 500 თოფი ძვირფასი ფარჩა და მრავალი სხვა განძი; შემდეგ წავიდა ყეინის სანახავად და თან იახლა თავისი დიდებულნი და ბერძენთ სარდალი ლეონ ანტიპატრიკი.

ეს ნახულობა იმით გათავდა, რომ საქართველომ

და სპარსეთმა შეკრეს ერთმანერთ შორის ზავი, რომლის ძალითაც საქართველო პოლიტიკისა და სარწმუნოების მხრით სპარსეთისაგან დამოუკიდებელ სამეფოდ იქნა აღსარებული, და მეფეთა შორის მეგობრობის სიმტკიცისათვის ფეროზი ვახტანგის დაზე დააქორწინეს. მაგრამ ვახტანგს უნდოდა, ეს პირობები უზრუნველეყო სხვადასხვა შემთხვევის დავისაგან, რომელიც შეიძლება მომხთარიყო სპარსეთსა და საბერძნეთის იმპერიას შუა; ამიტომ იშვამფგომლა იმპერიის საზღვრების განახლება ნიზიბისის ხელშეკრულობის ძალით, რომელიც 296 წელს დიოკლეტიანემ და სპარსეთის მეფემ ნარცეზმა მოახთინეს. ფეროზმა, ყველას სასიხარულოდ, მიიღო ვახტანგის შვამდგომლობა, და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხელახლად ჩამოვარდა მშვიდობიანობა. თავის მხრით ქართველთ მეფე ვალდებული გახთა, სპარსეთს წასულიყო და ფეროზს დახმარებოდა ინდოეთის ლაშქრობაში, რომლისათვისაც ის ემზადებოდა მაშინ.

———

V

გარემოებანი სპარსეთთან ვახტანგის პირველ ომის დასასრულიდან მეორემდი.

საქართველოს შინაგანი და გარეგანი მოწყობილობა. – იერუსალიმს მოგზაურობა და ინდოეთს გალაშქრება. – სასულიერო მოწყობილობა. – სირიელ მამათა სოსვლა. – ვახტანგის დაქორწინება იმპერატორ ლეონის ასულზე. – თფილისის დაფუძნება.

რაკი ვახტანგმა საქართველოს ყველა მისი მიწები დაუბრუნა, მისი დამოუკიდებლობა აღადგინა და სპარსეთსა და საბერძნეთთან შეკრული პირობანი ორვე სახელმწიფოს მბრძანებლებთან ნათესაობრივ კავშირით გაამაგრა, – ამას შემდეგ თავისი სახელმწიფო ათ საერისთაოდ გაყო. ამ საერისთაოების მართვა საქართველოს უპირველეს დიდებულთ მიანდო, რომელთაც ჩრდილოეთის ხალხებსა, ბერძნებსა და სპარსელებთან ომებში სახელი გამოიჩინეს [1]); მას შემდეგ ვახტანგი მოემზადა იერუსალიმს გასამგზავრებლად, საიდანაც სპარსეთს უნდა წასუ-

[1]) ქართლი სპასპეტ ჯუანშერს დაუტოვა, კახეთი და კუხეთი დიმიტრის მიანდო, ჰერეთი – გრიგოლს, ხუნანი –ნერსარანს, სამშვილდე – ადარნასეს, სამეგრელო და სვანეთი – სამანგარს, მარგვი და თაკვერი – ბაკურს, კლარჯეთი – არტავაზს, წუნდა – ნასარს და ოძრხე –ბივრიტიანს.

ლიყო ყეინის მისახმარებლად ინდოეთის წინააღმდეგ. რადგანაც საქართველოს დიდი ხნით ტოვებდა, ვახტანგმა თავის მცირეწლოვან შვილს დარჩილს უკურ-

თხა გვირგვინი, მიანდო იმაზე ზრუნვა ერისთავებს, გამოეთხოვა მათ, გაემგზავრა და თან წაიყვანა 10,000 რჩეული ჯარი. იერუსალიმიდან ვახტანგი სპარსეთს მივიდა და მონაწილეობას იღებდა ინდოსტანის სხვადასხვა ხალხებთან ომში. იმ სიმდიდრეს შორის, რომელიც სპარსელებმა და ქართველებმა მოიპოვეს ამ ქვეყანაში, ალბად აბრეშუმის თესლიც იყო; ამის ხმარება საქართველოში იუსტინიანე დიდის დროის ბევრად უფრო ადრე იცოდენ, და ევროპაში კი აბრეშუმის მოყვანა იუსტინიანე დიდმა გაავრცელა.

როცა ვახტანგი სპარსეთიდან დაბრუნდა, საქართველოს მართვას ისევ ხელი მიყო და მის განკარგებაზე ზრუნავდა. იმას უნდოდა, თავისი სამეფო სრულიად დამოუკიდებელი გაეხადა და ეკლესიაზედაც უცხოელთ ყოველივე გავლენა მოესპო, – ამიტომ თავისთვის საკუთარი დამოუკიდებელი პატრიარქობა დააწესა. საქართველო თორმეტ ეპარქიად დაყო, პატრიარქის უმთავრეს ზედამხედველობით, და საბერძნეთიდან იმისთანა სასულიერო პირნი დაიბარა, რომელნიც ეკლესიის უფროსობისა და ღვდელმთავრობის ღირსნი იყვენ. სასულიერო პირნი რომ საქართველოს მოვიდენ, თან მოიყვანეს იმპერატორ ლეონის ასული ელენე.

ამავე ხანებში სირიიდან მოვიდა ცამეტი ბერი,

ეგრედ წოდებულნი სირიელი მამანი. ეს მოღვაწენი იყვენ: იოანე, აბიბოსი, ანტონი, დავითი, ზენონი, ისიდორე, იესე (ისე), იოსები, მიხეილი, პიროსი, სტეფანე, შიო და თადეოზი (თათე). იმათ მეოხებით აშენდა შემდეგი მონასტრები: ზედსადენისა ანუ ზედაძნისა, ნეკრესისა, მარტყოფისა, გარეჯისა, იყალთოსი, სამთავისა, წალკანისა, ულუმბოსი, ბრეთისა, ხირსისა, მღვიმისა და სტეფანწმინდისა. აქიდან ეს ბერები თავიანთ ქადაგებითა და წმინდა

ცხოვრებით მთელ საქართველოში ავრცელებდენ სარწმუნოებრივ განათლებას და ისე გაამტკიცეს სარწმუნოება, რომ მას შემდეგ ცეცხლმსახურების ყოველგვარი წინააღმდეგობა ამაოდ რჩებოდა.

თუმცა „ქართლის ცხოვრება“ სირიელ მამათა მოსვლას მიაწერს ფარსმან VII-ის მეფობას (542-570), მაგრამ ამ ჩვენების წინააღმდეგია შემდეგი საფუძვლები: 1) თუ რომ ეს ბერები სვიმონ მესვეტის მოწაფეები იყვენ, როგორც მათ უწოდებენ, იმ შემთხვევაში შეუძლებელია, თავიანთ მოძღვრის სიკვდილს შემდეგ, როცა თითქმის ერთმა საუკუნემ განვლო, საქართველოს მოსულიყვენ და იმისთანა სამძიმო მოღვაწეობანი ჩაედინათ, როგორთაც მათ საეკლესიო ისტორია მიაწერს. სვიმონ მესვეტე დაიბადა 390 წელში და გადაიცვალა 459 ანუ 460-ში [1]); და 2) მარტოყოფის მონასტრის დაფუძნებას

[1]) Diction. Univ. d'host. Et géorg. Par. Bouillet, p. 1666. Никифоръ, кн. XIV, гл. 51.

მიაწერენ ერთს ამ მამათაგანს, ანტონს, და გორგასლანს, რაიცა სჩანს ამ მეფის გამოხატულებისაგან, რომელიც არის მონასტრის კედელზე, და იმამ-ყულიხანისა და მის დის, მეფის ასულის მარიამის, ხელნაწერ სიგელიდან [2]).

ამგვარად, როცა ვახტანგმა საქართველო პოლიტიკურად ფრიად მაღლა დააყენა, შემდეგ თავის მეფობის დანარჩენი დრო ქალაქების აშენებას, ტაძრების აგებას და საზოგადოდ ქვეყნის გამშვენიერებას მოანდომა. მისს ამისთანა შესანიშნავ მოქმედებათა რიცხვს ეკუთვნის მცხეთის საპატრიარქო ტაძრისა და ქალაქ თფილისის დაფუძვნება. გადმოცემა ამბობს, რომ იქ, სადაც ახლა თფილისია, იმ დროს შეუვალი ტყეები იყო, და ერთხელ ვახტანგმა,

როცა ამ ტყეებში ნადირობდა, თავისი ქორი ხოხობს მიუტია, და ქორი და ხოხობი ხევში დაიმალენო. მეფე და მისი ამალა ხევისკენ გაექანენ და ნახეს, რომ ქორი და ხოხობი მდინარე ცხელ წამალში მოხარშულიყვენ. ის ადგილები რომ დაათვალიერა და ამ წყაროების სარგებლობა რომ ასწონა, მეფემ ბძანა, აეშენებიათ იქ ქალაქი; ამ ქალაქს, იქაურ წყლების თვისებისა გამო, სახელად თფილისი დაერქვა.

როცა ამ საქმეებში იყო ვახტანგი გართული და წარსულთან აწმყოს შედარებით სრულის სიმართლით შეეძლო, ეფიქრა, რომ ჩემის მოღვაწეო-

[1]) Описаніе Марткобскаго монастыря Іосселіани, стр. 17 и 25.

ბით საქართველოს მშვიდობიანი მომავალი გავუმზადეთ, სწორედ ამ დროს თურმე სვებედი საიდუმლოდ მრავალს ახალ განსაცთელს უმზადებდა ამ სამეფოს, და მალე კიდევაც იჩინეს მათ თავი.

VI

მეორე ომი სპარსეთთან და ვახტანგ გორგასლანის სიკვდილი.

საშიშროებანი სპარსეთის მხრით და ვახტანგის მზადებანი. – სპარსელთა შემოსევა. – ვახტაწგის სიკვდილი.

როცა ვახტანგი თფილისის გაშენების საქმეში იყო გართული, შეატყობიეს, რომ სპარსეთის ახალ

მეფისგან ელჩები მოვიდენო. ეს იყო დაახლოებით 499 წელს. ამ დრომდის, როგორც საბერძნეთში, ისე სპარსეთშიც ბევრი ცვლილება მოხთა; ჩვენთვის ფრიად საჭიროა –ვიცოდეთ, რომ საბერძნეთში, ლეონისა და მის მემკვიდრის ზენონის სიკვდილს შემდეგ, 491 წლიდან, იმპერატორად მართლმადიდებლობის მტერი ანასტასი იყო [1]), სპარსეთში კი 485 წლიდან ბალაშის მემკვიდრე, ფეროზის შვილი კობადი მეფობდა [2]), რომელიც სპარსეთის ძველ-ძლიერების აღდგენას ცთილობდა. კობადმა, ძლევა-მოსილობით თუ ცფიერობით, მოიმხრო ჰუნები და არაბები [3]) და მოთხოვა ვახტანგს, საბერძნეთის

---

[1]) Веберъ, Всеобщ. истор. томъ II, стр. 64.

[2]) L. Dubeux, la Perse, p. 288.

[3]) Gibon; hist be la décadence et de chute de l'empire Roman, ch. XL.

წინააღმდეგ შემიერთდიო. როდესაც კობადის ელ-ჩებმა ფრიად მეგობრულისა და პირმოთნე სიტყვებით ეს ამბავი ვახტანგს გამოუცხადეს, ვახტანგმა უთხრა მათ: „თქვენი მეფის თხოვნა მესმის, – იმას უნდა, რომ მე გავულესო იარაღი, რომლითაც სურს უფრო ადვილად ჩემივე დამარცხებაო. უთხარით მას, ჯერ პირდაპირ ჩემზე მოვიდეს და მერმე საბერძნეთს მიმართოსო.“

ვახტანგმა ელჩები გაისტუმრა და, რადგან იცოდა, რომ კობადს დიდი მზადება ქონდა ომი-სათვის, და ამასთანავე იმედი არა ქონდა, რომ ქართ-ველები შეიძლებდენ თავიანთ ქალაქებსა და ცი-ხეებში გამაგრებას, – ამიტომ ბძანა, ციხე-ქალაქები მიეტოვებიათ და კავკასიის მთებსა და კახეთის შე-უვალ ტყეებში შეეფარათ თავი. ჯარები თავისთან დაიტოვა და გაჩერდა უჯარმოზე; მასთან იყვენ

ერისთავები ჯუანშერი და ადარნასე; ერისთავებს დიმიტრის, ნერსესა და ბივრიტიანს-კი მცხეთის დაცვა მიანდო. ეს განკარგულება რო მოახთინა, იმავე დროს იმპერატორ ანასტასის შეატყობია ელჩის პირით კარს მომდგარი თავისი გასაჭირი.

კობადი საქართველოს შემოესია. იმან დაიჭირა ქიზიყი, ახლანდელი სიღნაღის მაზრა; მისმა რაზმებმა აიღეს სიმაგრეები: ჭერმის-ციხე და ველყოს-ციხე, და სპარსელთ უმთავრესი ჯარები-კი იორზე დაბანაკდენ. ვახტანგი დარპაკის ციხესთან გაჩერდა, მტრის თვალწინ. აქ მოხთა გაცხარებული ბრძოლა და სისხ-

ლის ღვრა, როომელიც, მატიანეთა ჩვენებით, სამ დღეს გაგრძელდა და რომელშიც ორვე მხრით მრავალი დაიხოცა. ერთ ღამეს, როცა ჯარები დასვენებული იყვენ, ვახტანგმა კათალიკოსი პეტრე მიიწვია თავისთან და აცნობა, რომ კობადი მარტო ხარჯის დასადებად კი არ შემოგვსევია, არამედ საქართველოში ცეცხლმსახურების გავრცელებაც სწადიაო, და ამიტომ მე გადავწყვიტე, ან გავიმარჯვო და ან გავწირო ჩემი თავი და მთელი ჩემი ჯარი ქრისტეს სარწმუნოებისათვისო. ეს განზრახვა ძლიერ მოუწონა ღვდელმთავარმა და მის სიტყვებით გამხნევებული ვახტანგი მეორე დღეს გათენებისას სისწრაფით თავს დაესხა ანაზდად სპარსელთა ბანაკს და თვით კობადის კარვამდის ისეთ სიჩქარით მივიდა, რომ იქ მოუსწრო მის შვილს, რომელიც იმ ალიაქოთში დროზე ვერ გამოსულიყო გარედ. ვახტანგმა მოკლა ის, მაგრამ იმავე წუთს თვითონაც მძიმედ დაიჭრა გულში. გაცხარებული ბრძოლა შვადღემდი გაგრძელდა, და თუმცა სპარსელები რიცხვით ბეიარად მეტი იყვენ, მაგრამ მაინც დამარცხდენ და იძულებული შეიქნენ – რუსთავისკენ გაბრუნებულიყვენა გამარჯვებულებს აუარებელი ალაფი დარჩათ.

მაგრამ, რაკი შეიტყვეს, ვახტანგი მძიმედ დაჭრილიაო და ქართველ ჯარების წინამძღოლობაზე ხელი აიღოვო, სპარსელები ხელახლად გამხნევდენ და ქართველებს თავს დაესხენ. ისინი გავიდენ მდინარე მტკვარში, დააქციეს. ახლად მოშენებული თფილისი,

ძველი ქალაქი არმაზ-ციხე ნანგრევებად აქციეს და დაიჭიროს ქართლი, გარდა მცხეთისა, რომელიც გმირულად დაიცვეს ერისთავებმა დიმიტრიმ, ნერსემ და ბივრიტიანმა.

ამასობაში ქართველთ საუბედუროდ, ვახტანგის ჭრილობა სასიკვდილო ამოჩნდა. ვახტანგმა დასწერა ანდერძი, ტახტი დარჩილს დაუტოვა და მოკვდა 499 წელს. ეს გმირი საერთოდ იგლოვა ყველა ქართველმა და, ღრმა მწუხარების ნიშნად, თავზე ფერფლი და ნაცარი დაიყარეს [1]), და შემდეგ , მისი გვამი, „ქართლის ცხოვრების" მოწმობით, მცხეთის ტაძარში დამარხეს და მის საფლავს ქვა დაადვეს, რომელზედაც მისი ნამდვილი სახე იყო გამოხატული.

თავის ანდერძში ვახტანგი ქართველებს თხოვდა, მტკიცედ მდგარიყვენ ქრისტეს სარწმუნოებაზე, მისი შთამომავლობა არ დაუვიწყებიათ და საბერძნეთის სახელმწიფოსთან კავშირი დაეცვათ. მეფის უფლება და ხარისხი თავის უფროს შვილს დარჩილს გადასცა; ამასთანავე თავის ორ შვილს, ლივონსა და მირდატს, რომელნიც მეორე ცოლის ელენეს ხელში შეეძინა, დაუნიშნა მზრუნველებად ერისთავები არტავაზი, ნასარი და ბივრიტიანი და დაუტოვა მაზრები: ტაშის-კარი, წუნდა და აფხაზეთი. ამ ორ შვილსაც მიანიჭა ერისთავთა ხარისხი და დაუმორჩილა ისინი დარჩილსა და იმის შთამომავლობას.

---

[1]) ეს-ჩვეულება ძველად ყოფილა ეგვიპტეში ფარაონების დასაფლავების დროს (Веберъ, Всемірная. исторія, стр. 161).

კავკასიაში

სპარსელთ გატონობის პერიოდი.

I

კობადის ომი იმპერატორ ანასტასისთან 500-დან 505 წლამდი.

სპარსელების ომი და ზავი ბერძნებთან. – სპარსელთ გარნიზონის მიერ დარიალის ხეობის დაჭერა. – საქართველოს მფლობა საარსელთაგან.

კობადმა, რომელსაც ქართლი ეჭირა, შეიტყო – ბერძენთ ჯარები კარნუ-ქალაქისაკენ მოიწევიანო, და გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. ის მივიდა კარნიფორამდი, სადაც ორივე მხარე შეხვდა ერთმანერთს ომში სისხლის დასაღვრელად. ორივე ლაშქარი მეტისმეტად დამარცხდა, და ამ გარემოებამ აიძულა სპარსელებიცა და ბერძნებიც – თავი დაენებებიათ ბრძოლისათვის. ბერძნები ქართლს დაბრუნდენ.

ამით თავდება: „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობა საქართველოსა და საბერძნეთის წინააღმდეგ კობადის ომის შესახებ. მსოფლიო ისტორია ამ ომს სხვანაირად გვიხატავს: გიბონი ამბობს, რომ კობადმა მოიწვია სპარსეთის დროშებს ქვეშ ჰუნები და არა-

ბები და მესოპოტამიისა და სომხეთის სიმაგრეები ნანგრევებად აქციაო. ქალაქი თეოდოსია (თეოდოსიო-პოლი) დაემორჩილა მას, რადგან წარმატებით თავის დაცვა არ შეეძლო. მხოლოდ ქალაქ ამიდამ გაითქვა სახელი მით, რომ გარშემორტყმას დიდხანს გაუძლო. მტერები ათიათასობით დაიმარხენ მის კედლებს ქვეშ. კობადმა გარშემორტყმის წარმატების იმედი თითქმის დაკარგაო. მოგვებმა მარჩიელობას მიყვეს ხელი, გარ-შემორტყმულები კი თავის უმშვენიერეს ქალებს ნა-მუსზე ხელს აღებიებდენ და ძალას ატანდენ, სანგ-ლების სიმაღლიდან დაენახვებიათ შემოსეულთათვის თავიანთი საიდუმლო სიტურფენიო [1]) ბოლოს, ერთის დღესასწაულის შვაღამის ხანს, სპარსელეზბ გამოჩნდენ ქალაქის ერთ კოშკზე, რომელსაც იცავდა მხოლოდ რამდენიმე მთვლემარე მთვრალი ბერიო. განთიადის ხანს მიიტანეს საერთო იერიში; კობადის თანადა-სწრებამ, მისმა ბძანებაბ და მახვილმა, რომლითაც ის მხთალებს ემუქრებოდა, მოიგეს ომიო. ქალაქი აიღეს, და 80,000 ტყვემ გამოიყიდა ცოდვები თავის სისხ-ლით იმ ზარალისათვის, რაც სპარსელებს ამ გარ-შემორტყმით მიცემოდათ. ომმა კიდევ სამ წელს გასტანა. ანასტასიმ ერთობ გვიან მიაწოდა მტერს ოქრო: მან დაკარგა თავისი საუკეთესო ჯარები; ბრძოლის ველი უდაბნოდ გადაიქცა, და მკვდარნი და ცოცხალნი ველურ ნადირთა მსხვერპლნი შე-

[1]) ეს ზომა შემოსეულთა უკუსაქცევად დღემდისაც არსებობს აზიისა და კავკასიის მრავალგანუვითარებელ ხალხებს შორის.

იქნენო, ედესის წინააღმდეგობამ და ალაფის ნაკლუ-ლევანებამ ბოლოს დაიყოლიეს კობადი ზავისათვის. ომს შემდეგ ორ სახელმწიფოს შორის იგივე სა-ზღვრები დარჩაო. ანასტასის უნდოდა – შემდეგისა-

თვის თავიდან მოეშორებია ამგვარი უბედურებანი, და ამიტომ გადაწყვიტაო – აეშენებია გამაგრებული კოლონია დარი, სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვრებზე, იმ მიზნით, რომ საიმედო სიმაგრე ყოფილიყო ის მცირეაზიის პროვინციებისათვის, როცა სპარსელები ძლიერნი იქნებოდენ და მათ მტრობას მოიწადინებდენო. ამასთანავე, არა წაკლებ საყურადღებო ალაგი იყო დარიალის გასავალი (იბერიის ჭიშკარი), რომელიც იკეტებოდა ციხე-სიმაგრით. ეს ციხე-სიმაგრე იმ დროს ეკუთვნოდა ჰუნების ერთს თავადს, სახელად ამბაზუკს [1]), რომელიც იმას უთმობდა იმპერატორს მცირე ფასად; მაგრამ ანასტასი რომ ყიდვის სჯაში იყო და მანძილსა და სხვადასხვა პირობებს ანგარიშობდა, მისმა ფხიზელმა და გამჭრიახმა მეტოქმა კობადმა კიდევაც დაიჭირა კავკასიის ეს გასავალი. ამ გასავალის საჭიროებასა და სარგებლობაზე ლაპარაკიც არა ღირს: იმის წყალობით სპარსელებმა ხელში ჩაიგდეს ომისა და ზავის კლიტეები და მათზევე იყო დამოკიდებული იმპერიის მცირეაზიის კოლონიებში სკვითების ტომთა შესევაო [2]).

---

[1]) Procop. De Bello Persico, p. 46.

[2]) Gibbon, ch. XL.

– 79 –

რადგან ქართულ მატიანეთაგან არა სჩანს, თუ რა მიზნით მოსულან სპარსელნი ხელმეორედ ქართლს ან რამდენხანს დარჩენილან ისინი ამ მხარეში; არც ისა, თუ როგორი შედეგი ქონია ამ ომს სპარსელთ მეფეთა ყოფაქცევისათვის საქართველოს შესახებ, – ამიტომ ჩვენ მოგვყას აქ ცნობები გიბონის ისტორიიდან იმ განზრახვით, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, აგვეხსნა ეს კითხვები: pირველი, სჩანს, რომ კობადის ქართლს შემობრუნებას, რო-

მელიც „ქართლის ცხოვრებაში“ ნაჩვენებია საბერძ-
ნეთთან ომს შემდეგ, მიზნაუ ქონია დარიალის
ხეობის დაპყრობა; მეორე, თუ მთელი ქართლი არ
ყოფილა დიდხანს დაჭერილი სპარსელთ ჯარებისგან,
ყოველ შემთხვევაში არაგვის ხეობა მაინც იქნებოდა
იმათ უფლებაში მთელის იმ დროის განმავლობაში,
სანამ იმათ დარიალი ეჭირათ, და მესამე, რაკი ეს
ხეობანი დაიჭირეს, სპარსელები ალბად საქართველოს
შვაგულშიც გაბატონდენ, და დარჩილი იმ დროი-
დან აღარ ყოფილა დამოუკიდებელი მეფე, როგორც
მამა მისი ვახტანგ გორგასლანი. ამითვე აიხსნება ის
გარემოებაც, რომ დარჩილმა საქართაელოს ტახტი
არაგვის ნაპირებიდან თფილისს გადაიტანა. თუმცა
ეს ქალაქი არ ყოფილა აშორებული იმ გზას, რომ-
ლითაც დარიალის გარნიზონი სპარსეთს მიდიოდა,
მაგრამ ამ გარნიზონის მუდამ სამყოფ ადგილიდან
კი ბევრად უფრო შორს იყო, ვიდრემცხეთა.

II

შეხედულობა საქართველოს შინაურ მდგომია-
რობაზე ვახტანგის შემდგომ მეფეების დროს
გურამ ბაგრატიონამდი

(505-დან 583 წლამდი).

დარჩილისგან დაწყებულო, ვახტანგის მემკვიდ-
რეებს არ ქონიათ არც შემთხვევა და არც ნიჭი,
რომ საქართველო იმ სიმაღლეზე დაეყენებიათ, რო-
მელზედაც მე-V საუკუნის მეორე ნახევარში იდგა.
ამ მეფეებმა, დარჩილის ტახტზედ ასვლისათანავე,

დაკარგეს საქართველოს დასავლეთ ნაწილზე გავლენა, ერთის მხრით იმიტომ, რომ ეს ნაწილი, ვახტანგის ანდერძით, მის მეორე ცოლსა და იმის შვილებს ხვდა; მეორეს მხრით იმიტომ, რომ ის მიკრული იყო საბერძნეთის პროვინციებზე და საბერძნეთსა და სპარსეთს შორის სადავო საგანს შეადგენდა. ამიტომაც ხსენებული მეფეები მოქმედებდენ ვიწროდ შემოფარგულს თავიანთ საკუთარს თავისუფალ სამფლობელოებში: ქართლსა, სომხეთსა, კახეთსა და იმერეთში, და თან კიდევ სპარსეთის მეფეების ეშინოდათ.

დარჩილის (499-514), ბაქარ II-ის (514-528), ფარსმან VI-ის (528-542), ფარსმან VII-ის

(542-570) და ბაქარ III-ის (570-583) მეფობის მატიანეები მხოლოდ იმას მოგვითხრობს, რომ ამ მეფეებს დაუცხრომლად უზრუნვიათ ხალხის სარწმუნოების წმინდად დაცვისათვის და ეკლესიების აშენებისა და გამშვენიერებისათვის. დარჩილმა თავისი ტახტი თფილისს გადაიტანა და ეს ქალაქი ქვის კედლით შემოზღუდა, მცხეთა-კი კათალიკოსთა საცხოვრებელ ადგილად დანიშნა. იმ ხანებში გავრცელებულ მიმართულებას, ე. ი. მხოლოდ სარწმუნოების საქმეებზე ზრუნვას, ძლიერ უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ სპარსელთ სარწმუნოებრივ გავლენის ეშინოდათ; სპარსელებს ხანგრძლივი ომები ქონდათ იმპერიასთან, და ამიტომ ხშირად გაატარებდენ ხოლმე თავიანთ ჯარებს საქრთელოზე.

ამ ხანებში შესანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართველთ არისტოკრატიამ გამოიჩინა რამდენადმე ძლიერება. შენიშნულია შემდეგი გარემოება: როდესაც რომელმე სახელმწიფოში მეფე დიდად ნიჭიერი გამოდგება და თავის სამეფოს ჩვეულებრივზედ უმაღლესად ასწევს, მეფისა და სამეფოს დიდებასთან მისი თანამოღვაწეებიც გაძლიერდებიან ხოლმე, მაგ-

რამ ამ უკანასკნელთ ძალა იმავე დამოკიდებულებაში
რჩება მათ განმაძლიერებელთან, როგორშიაც წინად
იყო, ხოლო ამგვარი დამოკიდებულება მარტო იმ
დრომდი გრძელდება, ვიდრე ისინი თავიანთ ამაღლე-
ბულ ძლიერების დაცემას არ შეამჩნევენ, ან თვით იმ
მეფის და ან მის მემკვიდრეების დროს. მაშინ-კი

ეს დამოკიდებულება იმგვარი ხთება, როგორიც არის
ხოლმე ძლიერ ვასალებსა და სუსტ მეფეებს შორის.
ალბად საქართველოშიაც, ვახტანგ გორგასლანის სი-
კვდილს შემდეგ, ამგვარივე გარემოება იყო. ვახტან-
გის მეფობის მე-V თავ ში ჩვენ მოვიხსენიეთ ათი კაცი,
რომელთაც მრავალ ომში სახელში გაითქვეს და რო-
მელნიც მეფემ ფრიად დიდ ადგილებით, ესრედ წო-
დებულ საერისთოებით, დაასაჩუქრა. როდესაც ბერძენ-
რომაელთ ისტორიკოსები ვახტანგის სუსტ მემკვი-
დრეების დროინდელ საქართველოს გარემოებას მოგვი-
თხრობენ, ჩვენ იმდენად თვით მეფეებს კი ვერ ვა-
მჩნევთ, რამდენადაც ადგილობრივს ზოგიერთს დი-
დებულ პირებს. ჭანეთის მთავრებზე თუგინდ ნურა-
ფერს ვიტყვით, რადგან ისინი კოსტანტინეპოლის
კარის განსაკუთრებულის პოლიტიკურ მოსაზრებათა
გამო გაძლიერდენ. ამათ გარდა, სხვათა შორის, ეს
ისტორიკოსები ბერგენსა და ზამანარსეზს (ეგებ
სვანეთის ერისთავი სამნგირი ყავდათ მხედველო-
ბაში) ახსენებენ, რომელთაც კოსტანტინეპოლში
მეფესავით პატივსა სცემდენ. ქსნის და არაგვის
ერისთავებზე გადმოცემები მოგვითხრობს, თუ რა
დიდ ყურადღებას აქცევდა მათ იუსტინიანე: ეს გად-
მოცემები ჩვენს აზრს ამტკიცებს, რომ იმ დროინ-
დელ საქართველოს არისტოკრატიას შესამჩნევი პო-
ლიტიკური ძალა ქონია.

რადგან ჩვენის ისტორიის პროგრამისათვის მეტი
არ იქნება იმ გვარების შთამომავლობის ცოდნა,

რომელსაც საყურადღებო ადგილი ეჭირება საქართ-
ველოს სამეფოს ვითარების შემდეგ აწერილობაში,
ამისთვის, ჩვენის აზრით, საჭირო იყო – აქვე აღგვე-
ნიშნა ვახტანგ გორგასლანის ათის ერისთავის მო-
მდინარეობა და მათ შთამომავალთა გენეალოგური
თანდისთანობა, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს ამისთვის
საკმაოდ სარწმუნო მასალები. გვგონია-კი, რომ
უმეტესად ისინი სომეხთ მეფეების ანუ სომეხთ სა-
მეფოს არსებობის უკასკნელ დროის დიდებულთა
შთამომავალნი ყოფილან. ქსნისა და არაგვის ერის-
თავთა შესახებ-კი, რომელთა გვარტომობის შტო
ჩვენ უკედ ვიცით, არსებობს შემდეგი, ამ პერიოდის
შესახები გადმოცემა. მდინარეების არაგვისა და ქსნის
ხეობათა მცხოვრებლები, როცა წმ. გიორგის ეკლე-
სიის დღეობას დღესასწაულობდენ ხოლმე (ეს ეკლესია
აშენებულია იმ ქედის ერთ მაღლობთაგანზე, რომელიც
ამ ორ ხეობას ყოფს), ყოველთვის იმაზე დაობდენ,
თუ რა ადგილი და რა უფლებანი დაეჭირა თითოეულ
მათგანს ამ დღესასწაულობის დროს, და ამ დავას
ყოველწლივ თან მოყვებოდა საშინელი სისხლის
ღვრა; მაგრამ ერთს ამგვარ დღესასწაულობის დროს,
გარეშე მლოცავთა შორის, მოვიდა ორი ძმა, ოსეთის
თავადები დუდარუკები და მოსპეს ამ ორ საზო-
გადოების დავა და მათ შორის ზავის პირობანი
დასდვეს. ეს თავადები სიდამონი და როსტომი, პა-

[1]) დუდარუკები დღეს აბაზელთა თავადები არიან; ოსეთში-კი

ტივისცემის ნიშნად, პირველი არაგვის საზოგადოებამ
მიიწვია და მეორე – ქსნისამ თავიანთ ხეობათა მამა-
სახლისებად; ქართველთ მეფემ კი მათი სხვა ნამსა-

ხურობა და მომდინარეობაც მიიღო მხედველობაში და ერისთავების ხარისხი მიანიჭა მათ.

ასე იწყება ამ ორის თავადთა გვარეულობის კავშირი საქართველოსთან; შემდგომს ამ ქვეყნის ბედ-იღბალთან მათ დამოკიდებულებას ჩვენ აღვნიშნავთ თავ-თავის დროზე ჩვენის ისტორიის განმავალობაში, აგრედვე ვაჩვენებთ სხვა არისტოკრატულ გვარეულობათა დამოკიდებულებასაც, რომელთაც გავლენა ქონიათ ამ ქვეყნის ისტორიულ გარემოებათა მსვლელობაზე.

დუდარები არიან, თაგაურელი ალდარები, რომელნიც ხარისხით ქართველთ აზნაურებს უდრიან.

III

ცვლილებანი რომელნიც ხთებოდენ ჭანეთში მე-VI საუკუნის პირველ ნახევარში.

ჭანეთი. – ჭანთა სამეფოს აღდგენა. – პირველი ომი ჭანეთის გამო. – ბერძნებისაგან ჭანეთისა და კოლხიდის მცხოვრებთა შეიწროება.

ჭანეთი (ლაზისტანი) ამ საუკუნეში მარტო იმ მხარეს კი არ ეწოდებოდა, რომელიც ჭანებით იყო მოსახლებული, არამედ მთელ გურიასა და სამეგრელოსაც. ამის მიზეზი ის იყო, რომ, როცა ვახტანგმა გუბაძე აიძულა – კოსტანტინეპოლს გაქცეულიყო, ბერძნებმა მიიღეს იგი თავიანთ მფარველობას ქვეშ, თუმცა მისი საბძანებელი კი ქართველთ მეფეს დაუთმეს; მაგრამ, გარემოებათა შეცვლისათანავე, მოიწადინეს – აღედგინათ ჭანთა სამეფო და

მათის მეოხებით გაევრცელებიათ თავიანთი ბძანებლობა გურიისა და სამეგრელოს მთელ მანძილზე ჭანეთის სახელით, რომლის მეფეებიც მათ მფარველობას მიენდვენ. ეს ცვლილება მოხთა ვახტანგის სიკვდილსა და იმპერატორ ანასტასის მიერ კობადთან ზავის შეკვრის შემდეგ, როცა სუსტი დარჩილი ვერ ბედავდა, რაიმე ზომა მიეღო იმ დროს ორის უძლი-

ერეს სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ.

ამ გარემოებებით ისარგებლა გუბაძის მონაცვალემ დამნაძემ და დაბრუნდა ჭანეთს; იმის სიკვდილს შემდეგ მისმა შვილმა ცატებ დაიჭირა მამის ადგილი [1]). ცატემ შენიშნა, რომ იმპერია დიდ ყურადღებას აღარ აქცევდა ჭანების ბედ-იღბალს და მასთანვე ამ დროს მისი ძალ-ღონე მიქცეული იყო დასავლეთის ხალხებთან ბრძოლისაკენ, –ამიტომ, თავისთავის უზრუნველყოფისათვის, იწყო კობადის მფარველობის ძიება, მაგრამ, როცა სპარსეთის მეფის ინვესტიტურა მოიპოვა, უეცრად გონს მოვიდა და მიხვდა, რომ სპარსეთის მეფის მფარველობით მან ჩააგდო თავისი თავი და თავისი ხალხი საშიშარ მდგომარეობაში – მოგვების გავლენაში [2]). ცატე თუმცა ქრისტიანულ წეს-რიგზედ იყო აზრდილი, მაგრამ მონათლული არ ყოფილა, და ამიტომ წავიდა ის კოსტანტინეპოლს, მოინათლა მართლმადიდებელთა წესზე, ცოლად შეირთო ბერძნების ერთის დიდებულთაგანის ასული ვალერიანა [3]) – და მით მოიპოვა იუსტინე I-ის კეთილგანწყობილება. იმპერატორმა დიდის ამბით დაადგა მას დიადიმა, მოახურა თვისი მოსასხამი და გაგზავნა ჭანეთს, თანაც მისცა მას თავის ძლიერის მფარველობის იმედი [4])

---

[1]) Brosset, additions et eclaircissements à l'hist, de la Géorg

[2]) Gibbon, ch. XLII.

[3]) Gibbon, ch. XLII; Brosset, addit. Et eclaireis. À l'hist., p. 84.
[4]) Ihid.

ცატეს მოსვლას შემდეგ გავიდა ცოტა ხანი, და ჭანები აჯანყდენ სპარსელთ პროტეკტორობის წინააღმდეგ, დაიჭირეს 60 მილის სიგრძე კედელი, რომლითაც იკეტებოდა კავკასიის გასავალები, და ბერძნებს ვალდებულნი გაუხთენ – დაეცვათ ხოლმე იმპერიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის საზღვარი [1]). იმპერატორმა იუსტინემ ისარგებლა ამით, და ალბად იმ მიზნით, რომ მოეპოებია საქართველოში მეგობრობა და შემწეობა, თავის დეკრეტით ეს ქვეყანა დამოუკიდებელ სამეფოდ აღიარა [2]). ჭანეთიდან განდევნილმა სპარსელებმა აცნობეს ეს ამბავი თავიანთ მართველობას, და 523 წელს სპარსეთის მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა გასწია საქართველოს საზღვრებით აჯანყებულ ჭანების დასაცხრობად. ბერძნები ამ უკანასკნელთ იცავდენ, და სამხედრო მდგომარეობის მთელი სიმძიმე საქართველოს დააწვა. ადგილობრივი თავადები ვერ პოულობდენ მოსვენებას თავიანთ სამთავროებში, და რადგან სუსტ მეფეებისაგანაც არ მოელოდენ დაცვას, ამიტომ ბევრი მათგანი დედაწულიანად გაიქცა საბერძნეთს; იმპერატორის კარზე ისინი წყალობით მიიღეს და ამიტომაც რამდენიმე მათგანი იქვე დარჩა [3]). ეს ომი ათ წელს

---

[1]) Gibbon, ch. XLII. კედლის შესახებ მოგვითხრობს აგრეთვე პატერ ლამბერტიც (Relation de diver. Voyag. Curieux, par The-Venot, tom 1, p. 310.

[2]) Addit. Et eclairicis., p. 85.

[3]) გურგელესი და ზამალარსესი მეფეებივით მიიღეს (Additions Et eclaircis sements à l'hist. de la Géorg., p. 85).

გაგრძელდა. საერთო შფოთის დროს 528 წელს მოკვდა ცატე, ჭანეთი გადავიდა მის შვილის გუბაძე II-ის ხელში; დასასრულ, 533 წელს, იუსტინესა და კობადის მონაცვალეებმა, იუსტინიანემ და ხოსრო ნუშირვანმა, შეკრეს ზავი – და ამან რამდენმე ხნით საქართველოში დაამყარა მშვიდობიანობა. სპარსელები გავიდენ იქიდან, ბერძნები-კი ჭანეთში დარჩენ.

ამ დროიდან ბერძნები აღარ მალავდენ თავიანთ განზრახვებს ჭანეთის შესახებ. იმპერიის მოადგილემ ამ მხარეში, იოანე ციბუსმა, წინადადება მისცა მთავრობას – აეშენებია აქ ციხე შავის ზღვის აღმოსავლეთის ნაპირად ბერძენთ მფლობელობის გასამაგრებლად [1]). ციხე ააშენეს ზღვის განაპირა კლდეზე და უწოდეს მას სახელად პეტრა; თავის მოკლე ხნის არსებობაში ამ ციხემ სახელი გაითქვა გარშემორტყმითა და თავდაცვით, რომელმაც მსოფლიო ისტორიის ყურადღება დაიმსახურა. ბერძნებმა ხელთ იგდეს ადგილობრივ მცხოვრებთა მთელი მეურნეობა და აღებ-მიცემობა [2]), და უკიდურესად ტირანული მონოპოლია დაადვეს ცხოვრებაში აუცილებლად საჭიროსაგნებსაც – პურსა და მარილს. ჭანები მოტყუვდენ ბერძნების ქრისტიანობრიულ

---

[1]) Gibbon ch. XLII; Addit. et éclair., p. 86.

[1]) იუსტინიანეს კანონები მის ქვეშევრდომთა განსაკუთრებულ უფლებაზე მდინარეებს რიონსა და მტკვარზე გემთა ნაოსნობის სარგებლობის შესახებ-(კანონმდებ., წიგ . № 1 და წიგ. №, 1).

სათნოებაში; ბოლოს ისინი ერთობ გაარისხა ბერძენთა თვითნებობამ და მრავალმა შეურაცხყოფამ, რომელსაც ისინი აყენებდენ ამათ მეფეებსა და აზნაურობას ყველა ურთერთობის დროს. რვა წლის ამგვარმა მოქცევამ ჭანებში გამოიწვია მხოლოდ საიდუმლო დრტვინვა მათ მფარველთა შესახებ; მაგრამ

ბოლოს შეიტყვეს, რომ მათი ელჩები, რომელნიც კოსტანტინეპოლს გაგზავნეს ადგილობრივ მართებლობისაგან შეიწროების გამო საჩივლელად დაეტოვებიათ იქ ამანათად; მაშინ ჭანებმა სპარსელთ მეფეს მიმართეს და შველა თხოვეს [1]).

ცნობისმოყვარეობისათვის და ამ გარემოებათა უმფრო გამოსარკვევად ჩვენ მოვიყვანთ აქ პროკოფის ნაამბობს. ეს ისტორიკოსი ამბობს: „ჭანები რომაელთ ხელმწიფებას ქვეშ მხოლოდ იმიტომ ითვლებოდენ, რომ იმათ მეფის სიკვდილს შემდეგ რომაელთა ხელმწიფე მის მონაცვალეს უმაღლეს ხელმწიფის მოკაზმულობას უგზავნიდაო. ხოლო ჭანელნი რომაელებს არავითარ ხარკს არ აძლევდენ და არც ემორჩილებოდენ იმათო. ჭანთა მეფე ვალდებული იყო – თავის ქვეშევრდომთა საშვალებით საზღვრები დაეცვა და არ მიეცა ნება, რომ მოსისხლე მტრები –ჰუნები შესეოდენ რომაელთ საბძანებელს ჭანეთით, კავკასიიდან, მათის ქვეყნის მოსაზღვრე მხარედან. ჭანები იცავდენ საზღვრებს

[1]) Gibbon, ch. XLII.

და ამისთვის არც ფულს იღებდენ რომაელთაგან და არც ჯარებსო; სალაშქროდ ისინი არ მიყვებოდენ მათ, აღებ-მიცემობა კი ქონდათ ზღვაზე გამართული პონტოსთან მცხოვრებ რომაელებთანო. ჭანებს არ აქვთ არც მარილი, არც პური და არც მიწის სხვა ჭირნახულიო; ისინი მიყიდიან ხოლმე სხვა ხალხებს ტყავებს, ბეწვეულსა და მონებს და მით შოულობენ თავისთვის საჭირო საგნებსო. ჭანეთში რომაელთ ჯარის ყოფნა (533 წლიდან) არ ესიამოვნებოდა მცხოვრებლებს, მაგრამ ყველაზედ უფრო სარდლის პეტრეს უკმაყოფილონი იყვენ: იგი იყო მეტის-მეტად ფულის ხარბი და ყველას ერთობ თავხედად

ექცეოდაო".

„შემდეგში იუსტინიანემ გაგზავნა ჭანეთს ზოგიერთი სხვა უფროსები, სხვათა შორის იოანე ციბუსიც, რომელიც დაბალისა და უცნობ შთამომავლობიდან დაწინაურდა და მხედართმთავრობა მხოლოდ იმით მიიღო, რომ ის იყო ფრიად ცუდი კაცი, აგრეთვე ფრიად ნიჭიერი იმაში, რომ გამოეძებნა საშვალება უკანონო სარგებლობის მისაღებად. იოანემ არია და დაფუშა რომაელთა და ჭანთა საქმეები, მანვე ურჩია იუსტინიანეს – აეშენებია ჭანეთში ზღვისპირის ქალაქი, პეტრად წოდებული. აქ ის ცხოვრობდა, როგორც ციხე-დარბაზში, და ცარცვავდა ჭანებს. ვაჭრებს წაართვეს ნება –ეზიდათ კოლხიდას მარილი და სხვა საქონელი,ჭანთათვის აუცილებლად საჭირო, ან ამათგან ეყიდათ რამე. იოანემ შემოიღო პატრა-

ში ეგრედ წოდებული მონოპოლია, გადაიქცა ბაზაზად, ყველაფერს ვაჭრობდა, ყველაფერს თვითონ ყიდულობდა და აძლევდა ფასად კოლხებს, მაგრამ ჩვეულებრივ ფასად კი არა, არამედ ისე, როგორც თვით მოისურვებდა. ამას გარდა ჭანები უკმაყოფილონი იყვნენ კიდევ იმისაც, რომ მათ შორის იყო რომაელთა ჯარი, რაიცა წინად არ ყოფილა. იმათ ვეღარ აიტანეს მეტად ეს შეიწროებანი და გადაწყვიტეს – მისცემოდენ ხოსროს, და ამ განზრახვის ასასრულებლად რომაელთათვის საიდუმლოდ გაგზავნეს მასთან ელჩები. ამათ ნაბძანები ქონდათ, გამოერთმიათ ხოსროსათვის სიტყვა, რომ იმას არ მიეცა ჭანები მათდა უნებურად რომაელებისათვის და შემდეგ დაბრუნებულიყო თავის ქვეყანას სპარსელთ ჯარიანად.“

„სპარსეთს რო მივიდენ, ელჩები საიდუმლოდ წარსდგენ ხოსროს წინაშე და მოახსენეს შემდეგი: „თუ რომელიმე ხალხი, ვალდებულების წინააღმდეგ,

თავის უწინდელ მეგობრებს მოშორდა და უცხოელთ მიეკედლა, და შემდეგ კი თავისივე სურვილით საკეთილდღეო ბედის მეოხებით, ისევ ძველ მეგობრებს დაუბრუნდა, – უწყოდე, უდიდებულესო მეფევ, რომ ესენი არიან ჭანნი, კოლხნი და სპარსელნიო; ისინი ყოფილან დიდის ხნის მოკავშირენი და ერთმანერთისათვის მრავალგზის გაუწევიათ სამსახური, რასაც ამტკიცებს მრავალი დაწერილი საბუთი, რომელიც ჩვენშიც მოიპოება და დღემდის არის შენს

სასახლეშიაცო. შემდეგში ჩვენმა წინაპრებმა, – იმ მიზეზით, რომ თქვენ მათზედ აღარ ზრუნავდით, თუ სხვა რაიმე მიზეზით, ჩვენ ამის შესახებ დასაბუთებულს ვერაფერს მოგახსენებთ, – შეკრეს კავშირი რომაელებთანო. აწ ჩვენცა და ჭანეთის მეფეც მოვილტვით თქვენდამი და გაძლევთ ჩვენს ქვეყანას სრულს თქვენს განკარგულებაშიო. ჩვენ მხოლოდ გთხოვთ, განსაჯოთ შემდეგი: კოლხებს რომ არავითარი შეურაცხყოფა არ მოდგომოდათ რომაელთაგან და მხოლოდ თავიანთ უგუნურებით გეძლეოდენ თქვენ, მაშინ შეგეძლოთ მათის თხოვნის უარყოფა – იმ აზრით, რომ ისინი არაოდეს არ იქნებოდენ თქვენი ერდგულნიო: როცა ვინმე ძველ მეგობრობას არღვევს, ეს გარემო ჭეშმარიტი საბუთია იმისა, თუ სხვებთანაც როგორ დაიცავენ ისინი მეგობრულ განწყობილებასო. მაგრამ, თუ რომ მხოლოდ სახელად ყოფილვართ ჩვენ რომაელთა მეგობარნი, ნამდვილად-კი მათი მონები, და თუ ჩვენ მათგან, ვითარცა ტირანთაგან, საშინელი შეიწროებანი აგვიტანია, –იმ შემთხვევაში გთხოვთ – მიგვიღოთ ჩვენ, უწინდელი თქვენი მოკავშირენი, ეუფლოთ, ვითარცა მონებს, იმათ, რომელნიც წინად თქვენი მეგობარნი იყვენ; გამოაჩინეთ თქვენი სრული სიძულვილი სასტიკ ტირანობისადმი, რომელიც

ჩვენმა მეზობლებმა ჩვენს წინააღმდეგ ჩაიდინესო. ამით თქვენ აღასრულებთ მოვალეობას სიმართლი-სადმი, რომელსაც ჩვეულებრივ იცავენ სპარსელნიო.

– 93 –

ჯერ კიდევ არ შეიძლება – ვუწოდოთ ნუშირვანი (სამართლიანი), ვინც, თავის-თავად თუმცა არავის ჩაგრავს, მაგრამ არც იცავს სხვებისაგან დაჩაგრულთ, როცა ეს მისგან შესაძლებელიაო. საჭიროა, აქვე მო-ვიხსენოთ იმ წყეულ რომაელთა ბოროტმოქმედებანი ჩვენს წინააღმდეგო. ჩვენს მეფეს იმათ დაუტოვეს მეფურ ღირსების მხოლოდ-ღა სახე, და ხელმწიფება კი ყველა საქმეში თვით ჩაიგდეს ხელშიო. მეფე მსა-ხურის ხვედრში ჩავარდა – და მბძანებელ მოურავის ეშინიაო. მრავალრიცხოვანი ჯარი ჩამოგვიყენეს ჩვენ იმათ, იმისთვის კი არა, რომ ჩვენი მხარე მის მაოხართაგან დაიცვან (აბა რომელს შეუძლია ჩვენი შეწუხება მეზობელ ხალხთაგანს, რომაელთ გარდა?), არამედ იმისთვის, რომ ჩვენ საკანში გვამყოფონ და ჩვენი ავლა-დიდება ხელში ჩაიგდონო. მათ დაიწყეს უსასტიკეს საშვალებათა ძებნა, რომ წაერთმიათ ჩვენთვის ჩვენი საკუთრება, და აი, ხელმწიფევ, რა მოიგონეს ცხოვრების აუცილებელ საჭიროებათა შე-სახებ: ისინი გვაიძულებენ, ჩვენის ნების წინააღმდეგ, ვიყიდოთ მათგან ყველაფერი, რაც მათთვის გარდა-მეტია და საჭირო არ არის, და მათთვის უსაჭირო-ესს – ჭანეთის ნაჭირნახულევს-კი ისინი ყიდულო-ბენ ჩვენგან, მაგრამ მხოლოდ სიტყვით, რადგან, როგორც გასაყიდელის, ისე მათ-მიერ საყიდელ ნივთების ფასებს აწესებენ თვით ისინი, ეს ჩვენი მართველებიო. ამგვარად ისინი ჩვენ გვართმევენ უსაჭიროეს ნივთებს და მასთან ყველა ოქროსაც,

და ამისთანა მოქმედებას ისინი კეთილშობილურ სახელწოდებას აძლევენ – აღებ-მიცემობას, როცა ნამდვილად ეს არის თვითნებობითი დაქალდატანებითი საქციელიო. ჩვენი უფროსია ამ ჟამად ბაზაზი, რომელიც თავის ხელმწიფების ძალით, ვითომდა აღებ-მიცემობის წესით, ჩვენის სიღარიბით სარგებლობსო. აი, ეს გახლავთ რომაელთა წინააღმდეგ ჩვენის აჯანყების მიზეზებიო. თვით ამ მიზეზებში იმყოფება მათი გასამართლებელი საბუთებიო. აწ ჩვენ მოვახსენებთ, რა სარგებლობასაც მიიღებთ თქვენ, თუ ჭანთა თხოვნას შეიწყნარებთო. სპარსეთის საბძანებელს თქვენ შეუერთებთ უძველეს სამეფოს და მით გააძლიერებთ თქვენის ბატონობის მნიშვნელობას. ჩვენის ქვეყნით თქვენ შეგეძლებათ, გამართოთ მიმოსვლა თქუენსა და რომაელთ ზღვას შუა, და თუ ამ ზღვაში გემებს ჩაუშვებ, შენ ძლიერ ადვილად შეგეძლება, ხელმწიფევ, ბიზანტიის მეფის კარამდის მისვლა; იქამდი შენ არ შეგხვდება არავითარი დაბრკოლებაო. ამას დავსძინოთ ისიც, რომ ამას შემდეგ თქვენზედ იქნება დამოკიდებული, რათა მეზობელ ბარბაროსებმა ყოველწლივ ააოხრონ ხოლმე რომაელთ ქვეყნებიო. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჭანთა ქვეყანა იმათთვის იყო ზღუდე პავკასიის მთების მხრით. ამგვარად, როცა სიმართლეც მოითხოვს და სარგებლობაც ცხადია, – ჩვენის აზრით, ჩვენის თხოვნის შეუწყნარებლობა თქვენის მხრით არ იქნება გომიერიო“.

– 95 –

„ხოსრო კმაყოფილებით ისმენდა ელჩთა სიტყეებს; ის დაპირდა ჭანებს, დაგიცავთო, და გამოკითხა მათ, შეიძლება თუ არა – მრავალრიცხოვან ჯარიანად შევიდე კოლხიდასო; იმას ბევრისგან ქონდა გაგონილი, რომ უტვირთო თითოეულ კაცისათვისაც ძნელი იყო ამ ქვეყანაში გავდლა, რადგან ერ-

თობ მთიანია იგი და ხშირითა და გაუვალ ტყეებით დაფარულია დიდ მანძილზეო. ელჩები არწმუნებდენ მას, რომ სპარსელთ მთელის ჯარისათვის გზა ჩვენ-კენ ძლიერ ადვილი იქნება, თუ გავჭრით ხვებს და გავდებთ იმათ ძნელად გასავალ ადგილებზე კლდეებს შორისო. იმათ პირობა მისცეს სპარსელთ, გზებს ჩვეს გიჩვენებთ, წინდაწინვე მივიღებთ ყველა საჭირო ზომებს და ყოველგვარ დახმარებას ამოგიჩენთ ამ საქმეშიო. ამ სიტყვებმა ხოსროს დიდი იმედი მისცეს წარმატებისათვის; იმან დაიწყო ძლიერის ჯარის გროვება და კოლხიდისკენ გასალაშქრებლად მზადე-ბა. თავისი განზრახვა მას არ გაუმჟღავნებია, გამო-უცხადა ის მხოლოდ იმათ, ვისაც ჩვეულებრივ უზო არებდა ხოლმე თავის ხვაშიადებს. ელჩებს უბძანა, არავისთვის გაემხილათ ეს საქმეები და ხმა გაავრცე-ლა, ვითომ მას უნდოდა ივერიას შესვლა იქაურ საქმეთა მოსაწყობად, და კიდევ ვითომ იქითა მხრი-დან სპარსეთის საბძანებელს შემოსეოდენ ჰუნთა ხალხი“ [1]).

---

[1]) Прокопій. Война перс. кн. II, гл. XV.

IV.

ხოსრო ნუშირვანის ურთერთობანი კავკასიის ხალხებთან და მისი განზრახვანი.

ნუშირვანი. – კავკასიის აღმოსავლეთის ნაწილებში მის მიერ სპარსელთ სავასალოთა დაწესება. – მისი პლანე-ბი, რომელიც, იმის აზრით, კავკასიაში მფლობელო-ბიდან გამომდინარებდა.

ხოსრო ანუ ქასრე უფრო ნუშივრვანად (სა-მართლიანი) წოდებული, კობადის შვილში, ავიდა

სპარსეთის ტახტზე 531წელს. ჯერ კიდევ მამა მისი ცოცხალი იყო, როცა იმან დიდი პოლიტიკური ნიჭი გამოიჩინა და განსაკუთრებული თავისი ყურადღება მიაქცია ძველ ალბანიის მიწებს, დარუბანდის ვიწრო გასავალსა და დაღისტანს. მთელი საუკუნე გასულიყო მას შემდეგ, რაც ალბანიის სამეფო მოსპობილიყო, ხალხი კი თავის ტერიტორიიდან მტკვრის მარჯვენა ნაპირს გამოსულიყო და სხვა ხალხებს შერეოდა. იმ დროიდან მოკიდებული კობადის მეფობამდი მთელ მნძილზე, ამა მდინარის მარცხენა ნაპირიდან დარუბანდსა და ჩრდილოეთ აღმოსავლეთის დაღისტნამდი, ყოველ მხრით განუწყვეტლივ ხთებოდენ ხოლმე ცვლილებანი: თურქთა ნათესავის

ველურ ურდოთა გადასახლებანი და შესევანი, მაგალ, ხაზართა, ჰუნთა, ავართა და სხვა მრავალთა. როცა კობადი საბერძნეთის იმპერიას ეომებოდა, იმ დროსვე ნუშირვანი აკავებდა ჩრდილოეთის ბარბაროსთა მისწრაფებას სპარსეთის მაზრებისაკენ. იმან დაამარცხა თურქთა ტომნი და განიზრახა დარუბანდის სიმაგრის განახლება [1]) და სხვადასხვა მხარეებში, რომელიც ამ საყურადღებო ადგილის საზღვრად მდებარებდა, სპარსეთის სავასალოთა დაწესება მემკვიდრეობით შახთა მართველობას ქვეშ [2]); ამ უკანასკნელთ თავიანთ საკუთარ ინტერესებისათვის უნდა დაეცვათ ამ მხრით სპარსეთის საზღვრები [3]).

ნუშირვანმა გამოითხოვა თავის მამისაგან ნებართვა და დააფუძნა სამი საყეინო: ტაბასარანის, დარუბანდისა და შირვანის; მათ მფლობელთა უწოდა სახელად ტაბასარან-შახი, ფილან-შახი და შირვან-შახი [1])უკანასკნელი სავასალო შეიცავდა ალბანიას გარდა აგრეთვე რანისა, ახლანდელ ელიზავეტპოლისა (განჯისა) და ყარაბახის ველის ნაწილებსაც. ნუშირვანმა გაამრავლა დარუბანდის მოსახლეობა

და ააშენა უზარმაზარი ქვიტკირის კედელი. ამ ქალაქის კედლები, ციხის კედლებთან შეერთებული, ერთის მხრით კასპიის ზღვამდი მიიყვანა, მეორე მხრით – კავ-

---

[1]) Исторія Элъ-Бенакети) Хамза Исфаган и.

[2]) Extraits d'Ali Sehir, p. 97.

[3]) Донъ. Опытъ истори Ширванскаго ханства.

კასიის მთებსა [1]) და ტაბასარანის ციხემდი [2]). ამ კედლების მთელ სიგრძეზე იმან დააყენა მცველები. თითქმის ამგვარივე მზრუნველობა ამოუჩინა შირვანის საყეინოს, სადაც ააგო შირვანის-ციხე [3]).

საზოგადოდ კავკასიაში ბატონობას საყურადღებო საქმედ სთვლიდა ნურიშვანი სპარსეთის სამეფოს მშვიდობიანობისა და დიდებისათვის. და როცა ჭანებმა მიმართეს მას და სთხოვეს ბერძნების წინააღმდეგ შემწეობა, მისმა განზრახვებმა ფრთა შეისხა. იმან განიზრახა ჭანეთის დაპყრობის შემდეგ რიონის შესართავისა და შავის ზღვის ხელთ ჩაგდებაც, აგრეთვე პონტოსი და ბითინიას აოხრება და კოსტანტინეპოლის თავსდასხმა [4]).

ამ განზრახვებით გატაცებულმა ნუშირვანმა 541 წელს სიამოვნებით უარყო იუსტინიანესთან შეკრული ზავი და დათანხმდა ჭანების თხოვნაზე.

---

[1]) Хамдула Казвини.

[2]) Масуди.

[3]) დარუბანდ-ნემე.

[4]) Gibbon; ch. XLII.

V.

მეორე და მესამე ომი ჭანეთისათვის.

სპარსთაგან საქართველოს გალაშქრება. – პეტრას აღება. – ზავი ბერძნებთან. – სპარსთაგან ჭანების შეიწროება. – გუბაძის გაქცევა. – მესამე ომი: ბერძნებისაგან პეტრას გარშემორტყმა; სპარსელების სარდალთა მარცხები; პეტრას ჩაბარება. – მოქმედებანი სამეგრელოსა, წებელდასა და იმერეთში. – გუბაძის მოკვლა. – ზავი იუსტინიანესა და ნუშირვანს შორის.

ნუშირვანს არ გამოუცხადებია ომი ბერძნებისათვის – ისე გაიარა საქართველო და გაილაშქრა ჭანეთის საზღვრებისაკენ. ჭანთა ელჩები წინ მიუძღოდენ სპარსეთის ლაშქარს. სპარსელები ხედავდენ, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდებოდათ წინ, ისინი ჭრიდენ მაღალსა და სქლად შემოსილ ხეებს, რომელიც აზრდილიყო კლდე-ღრეებში და რომლის წყალობითაც ჯარს სრულიად არ შეეძლო გზაზე გავლა, ამხობდენ მათ ხრამებში, აწვენდენ გზებზე და მით ასწორებდენ მთის გასავალებს.როცა სპარსელნი სამეგრელოს მივიდენ, გუბაძე გამოეცხადა ნუშირვანს, მიანდო მის სულგრძელებას თავისი თავი და თავისი სკიპტრაც გადასცა მას. ხოსრომ მისწია თავისი ჯარები ქალაქ პეტრასკენ და ანია-

ბედის წინამძღოლობით გაგზავნა რაზმი ქალაქის ასაღქებად. თუმცა პეტრას გარნიზონი მოუმზადებელი იყო და საბერძნეთის მხრითაც არაფერ შველას მოელოდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა – გარშემორტყმას მედგრად დახვედროდა. იოანე ციბუსმა ჯარისკაცებს აუკრძალა – სპარსელებს არ დაენახვოთო, შეჭურვა ისინი და შიგ შესავალ ჭიშკართან დააყენა, თანაც ბძანა – სრული სიჩუმე დაეცვათ. რა-კი ანიაბედმი ვერავის შეხვდა და არც ხმა ესმოდა არსაიდან, იფიქრა, უთუოდ ბერძნებს ქალაქი დაუცლიათ და

მიუტოვებიათო. ის მიუახლოვდა კედელს, და როცა უნდოდა – კიბეები აეყუდებია ქალაქში შესავალად, ჯერ ხოსროს აცნობა ეს გარემოება. ნუშირვანმა დაიჯერა ანიაბედის სიტყვები და უბძანა თავის დანარჩენ ჯარებსაც – წასულიყვენ, დაემტვრიათ ჭიშკარი ტარანებით და შესულიყვენ პეტრას. თვითონ-კი იჯდა ბორცვზე, რომელიც ქალაქს ზევით იყო ამაღლებული, და უცთიდა მის დაჭერას. მაგრამ უცებ ბერძნებმა გააღეს ჭიშკარი და თავს დაესხენ სპარსელებს, რომელნიც ამას სრულიადაც არ მოელოდენ, და გასწყვიტეს თითქმის ყველანი, რომელნიც ტარანს აწყობდენ. სპარსელებმა არ იცოდენ თავსდამსხმელ მტრის რიცხვი – ამიტომაც გაიქცენ ქალაქიდან და ვიწრო გზაზე ერთმანერთს ჟლეტდენ. ნუშირვანმა ყველა ეს რო დაინახა, განრისხდა და ბძანა – იმ წამსვე ჯვარს ეცვათ ანიაბედი, რადგან ის მოატყუა სამხედრო ცფიერობით იმის-

თანა ბაზაზმა, როგორიც იყო იოანე ციბუსი, და თვითონ წაუძღვა ჯარს პეტრას კედლების ასაღებად; დაათვალიერა ისინი და დარწმუნდა, რომ მაგარი არ იყვენ, და გადაწყვიტა იერიშის მიტანა. შემოარტყა ქალაქს ჯარი ყოველ მხრით და ბძანა, დაეშინათ ისრები ქალაქში და კოშკს ქვეშ ნაღმები გაეთხარათ. იოანე ციბუსი მოკლეს ისრით – და ბერძნები დაეცენ სულით, მაგრამ, როცა ერთი უძლიერესი კოშკი დააქციეს, იმათ გამართეს სპარსელებთან მოლაპარაკება და დაყარეს იარაღი. რა-კი პეტრა დაიმორჩილა და იოანეს ავლა-დიდება ხელთ ჩაიგდო, ხოსრომ ბერძენთ გარნიზონის მაგიერ სპარსელთ გარნიზონი დააყენა, წაიყვანა თან ბერძნები და წავიდა სპარსეთს, რომელსაც ეფრატის მხრით ველიზარი შესეოდა. ერთნაირმა წარმატებამ – სპარსელებისამ ჭანეთში და ბერძნებისამ სპარსეთის აღმოსავ-

ლეთის საზღვარზე – აიძულეს იუსტინიანე და ნუშირ-
ვანი 545 წელს, ოთხის წლით ზავი შეეკრათ ერთ-
მანერთ შორის [1]). ამასობაში მხურვალე ცეცხლის
მსახურმა ნუშირვანმა მოგვებს ნება მისცა – გაევრცე-
ლებიათ მის მიერ დაპყრობილ მხარეში თავიანთი
სარწმუნოება. ამ გარემოებამ ადგილობრივ მცხოვ-
რებთა შორის ქრისტიანობისადმი ერდგულება გამო-
იწვია. ხოსრო განრისხებული იყო მით, რომ მოგვთა
მოძღვრების წინააღმდეგნი საქართველოს მიივლტო-

[1]) Прокоп. Война перс. кн. II, гл. XVII.

დენ და მით იფარაკდენ თავს დევნისაგან; ისინი აქ
პოულობდენ მფარველობას ქართველთ ღვთისმოყვა-
რე მეფეთა მხრით. დროებითის ზავის ვადა ის იყო
თავდებოდა, როცა ნუშირვანმა გადაწყვიტა, სისრუ-
ლეში მოეყვანა დიდის ხნის მოფიქრებული თავისი
საზარელი განზრახვა: ებძანებია გუბაძის მოკვლა,
მისი ხალხი დაესახლებია თავის სახელმწიფოს უშო-
რეს კუთხეებში და, როცა ამნაირად ჭანებთან ან-
გარიშს გასწმენდდა, შემდეგ რიონის ნაპირზე მო-
ეშენებია სპარსეთის სამხედრო კოლონიები. მაგრამ
გუბაძეს აცნობეს მოსალოდნელი საშიშროება, და
იმან დააწვევინა მთელი ხე-ტყე რომელიც სპარსელებს
ფლოტის ასაშენებლად მოუმზადებიათ, – ამ ფლოტს
შავ ზღვაზე უნდა ემოქმედნა [1]), – მიიქცა სინანუ-
ლით იუსტინიანეს წინაშე და შემწეობა შეევედრა.
იმპერატორმა გაუგზავნა მას ფული ალანთა დასა-
ქირავებლად და ამას შემდეგ დაუყონებლივ გაგზავნა
სარდალი დაგისტეუსი, რომელსაც თან გაატანა
7,000 ბერძენი და 1,000 დაქირავებული ზანი; იმას
ნაბძანები ქონდა, გაედევნა სპარსელები შავი ზღვის
პირებიდან.

549 წელს დაიწყო პეტრას სახელოვანი თავ-

დაცვა, რომლის წვრილმანებსაც არაფერი კავშირი
აქვს საქართველოს ისტორიასთან. სამხედრო ხელო-

---

[1]) პროკოფი ამბობს, რომ ხე-ტყის მთელი საწყობი ელვისაგან
დაიწვაო (кн. II, гл. XXIX.

ვნება და ვაჟკაცობა, რომელმაც ამ შემთხვევაში
თავი იჩინა, მხოლოდ ბერძნებსა და სპარსელებს
ეკუთვნის, და ამიტომაც ამის შესახებ აქ ლაპარაკი
მეტად მიგვაჩნია. დაგისტეუსი მალე დააყრევინებდა
იარაღს პეტრას გარნიზონს, მაგრამ ხელი შეუშალა
ერთმა გარემოებამ: როცა ტაშის-კარში სპარსეთის
ჯარი დამარცხდა მერმეროზის წინამძღოლობით, და-
გისტეუსმა თავის წინდაუხედაობით დრო მისცა ამ
უკანასკნელს – მოემზადებია გარნიზონისათვის დიდის
ხნის საყოფი სურსათი. მაგრამ ამას შემდეგ, იმავე
წელში, მერმეროზი, ჭანთაგან დევნილი, ორჯერ
დამარცხდა მათგან და იძულებული შეიქნა – გასულ-
იყო ჭანეთიდან.

550 წელს სპარსელებმა გამოგზავნეს მეშველი
ჯარები ერთის თავის სარდალთაგანის ხორიანის
წინამძღოლობით; მაგრამ ჭანთა და ბერძენთა შე-
ერთებულმა ჯარებმა დაამარცხეს ისიც მუხირისის
მიდვრებში და ბრძოლაში მოკლეს კიდევაც.

551 წელს, ორის წლის თავგადადებულ თავ-
დაცვას შემდეგ, პეტრა დაემორჩილა ბერძნებს. ამა-
სობაში სპარსელები ორ რაზმად გაიყვენ და ჭანე-
თის სხვადასხვა ნაწილებში მოქმედებდენ ერთმან-
ერთზე დამოუკიდებელად. ერთმა მათგანმა ნაბედის
წინამძღოლობით აფხაზეთი და წებელდა დაიპყრო,
მაგრამ იქაურ მფლობელის თარდატის ცოლის ცთუ-
ნებამ ააჯანყა მცხოვრებლები – და იმათ სულ ერ-
თიანად ამოსწყვიტეს სპარსელები. მეორე რაზმმა,

რომელიც მერმეროზის წინამძღოლობით პეტრას საშველად მიდიოდა, შეიტყო პირველის დამარცხება, გავიდა რიონს გაღმა და გაემართა არხეოპოლისისაკენ. ბერძნებსაც ორი რაზმი ყავდათ: ერთი ძლიერი – ამავე ადგილას, მეორე კი – რიონის მარცხენა მხარეზე, სადაც ის ზღვას შეერთვის.

ჭანებმა დაანგრიეს შორაპნის, ვარდციხისა და სკანდას სიმაგრენი, რომელნიც იმათ მხარეს შესავალთან მდებარებდენ, იმ მიზნით, რომ არ დასჭირებოდათ მათი დაცვა და შეძლებოდათ მინდორზე შეერთება, და ბერძნებს კი არ ქონებოდათ ამ ადგილებში ფეხმოსაკიდებელი ალაგები. მაგრამ, დატოვეს ჭანებმა სკანდა თუ არა, მერმეროზმა დაიჭირა ის და ხელახლავ გაამაგრა სპარსელთ გარნიზონისათვის; შემდეგ მიმართა ბერძენთა ბანაკს რიონის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ დაცარიელებული ნახა ის და არხეოპოლისსავე შემობრუნდა, იქიდან ქუთაისისაკენ გაეშურა და იქ დაბანაკდა საზამთროდ.

თუმცა მაშინვე ხელახლავ შეკრეს დროებითი ზავი, მაგრამ მერმეროზმა გაამაგრა ქუთაისი და შორაპანი და 552 წელს ისარგებლა ერთის ჭანელ აზნაურის ღალატით და აიღო უხიმირონის-ციხე, რომელიც მდებარებდა ქუთაისიდან სვანეთს მიმავალ გზაზე, და ამგვარად 554 წლამდი თითქმის მთელი იმერეთი დაიპყრო. გუბაძე ჩაეკეტა თავის მთა-ადგილებში და არ უნდოდა არავითარ კავშირის დაჭერა სპარსელებთან, თუმცა ზოგიერთმა ბერძნების

უკმაყოფილო ჭანებმა შადგინეს მომხრეები სპარსელთ სასარგებლოდ.

554 წელს მერმეროზი ავად გახდა. მოიყვანეს ის მცხეთას და იქ მოკვდა [1]). როცა ეს ამბავი სპარ-

სეთს მივიდა, ხოსრომ ჭანეთში ჯარების წინამძღოლობა ნიკორაღანს მიანდო. იმის დანიშვნისთანავე ასტყდა ომები. პირველად ის თავს დაესხა ბერძენთა ბანაკს, მაგრმ დიდის ზარალით უკუაქციეს; მას შემდეგ, ამ დამარცხების მიუხედავად, იმან გაილაშქრა ბერძენთ ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ, რომელიც რიონის შესართავთან მდებარებდა. ეს ლაშქრობა გათავდა სპარსელთა ხელახალის საშინელ დამარცხებით. ნიკორაღანმა უკან დახევის დროს 10,000 კაცზე მეტი დაკარგა და თვითონაც ძლივს გადაირჩინა თავი გაქცევით. მტრისაგან გადარჩა და ოლხიდიდან გავიდა, მაგრამ შემდეგ ნუშირვანის მართლმსაჯულების ხელში ჩავარდა. ამ მეფემ ბძანა, გაეძროთ მისთვის ცოცხალისათვის ტყავი, გაეტენათ მატყლით და გამოეფინათ ხალხის საჩვენებლად, რომ ყველას დაენახა, თუ რა მოელოდა მათ, ვინც არ აფასებდა მის, ნუშირვანის, ნდობასა და სპარსეთის პატივს.

ნუშირვანი დარწმუნდა ამდენ დამარცხებას შემდეგ, რომ ამ საჭირბოროტო ომებიდან არაფერი სიკეთე გამოვიდოდა, ის მიხვდა, რომ ქვეყნის სიშორე და ადგილობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგობა იყო

---

[1]) Lebean, hist. du Bas-Emp., tom. IX, p. 312.

სპარსელთ ბრძოლის წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი, თუმცა სპარსელთ ჯარისკაცთა რიცხვი 85,000-მდის ადიოდა, ბერძენთა-კი 50,000-მდის; ამიტომაც მისი ენერგია ნელ-ნელა სუსტდებოდა. მუხთალმა ბერძნებმა ამით ისარგებლეს და განიზრახეს – გაეწმინდათ ანგარიში გუბაძესთან, რომ, სპარსეთთან ზავის შეკვრის შემდეგ, ჭანეთში აღარავინ ყოლოდათ მეტოქი. იმას ცილი დასწამეს და იუსტინიანესთან დააბეზღეს, თითქო ხელახლავ განეზრახოს მას ბერძნებისაგან გადგომა; გამოითხოვეს იმპერატორისაგან ბძანება, შეეპყროთ

ის და კოსტანტინეპოლს მიეყვანათ, და თუ ვინიცობაა წინააღმდეგობას გასწევდა – კიდევაც მოეკლათ. ერთხელ, როდესაც უიარაღო გუბაძე ერთს მათ შეკრებილებაში იყო, რომელსაც ის მეგობრულად თვლიდა, სრულიად არავითარი ეჭვი ქონია ბერძენთ განზრახვაზედ – ისე დაკლეს იგი ხანჯლით. ამ საზარელ საქმის პირველ წამებში მთელი მხარე აჯანყდა. ჭანებმა ფიცი დასდვეს, გაეწირათ თავის თავი და სამშობლო ყოველგვარ უბედურების ასატანად, ოღონდ-კი მაგიერი გადაეხადათ ბერძნებისათვის; მაგრამ ზოგიერთთა გონიერ კაცთა რჩევამ შეაჩერა იმათი სამართლიანი განრისხება, რომელსაც თან უნდა მოყოლოდენ კიდეც ახალი უბედურებანი. იმპერატორმა მოიპოვა საშვალება, თავი გაემართლებია ამ საზიზღარ მკვლელობაში. იმან დანიშნა ერთი სენატორი გუბაძის ყოფაქცევისა და მოკვლის გამოსაძიებლად და გასასამართლებლად. სენატორი ავი-

და ტრიბუნაზე, რომელსაც გარშემორტყმოდენ მსაჯულები და ჯალათები, – იმას უნდოდა, ჭანებისა და ბერძნების წარმომადგენელთა თანადასწრებით, გამოეჩინა მართლმსაჯულება და მით დაეკმაყოფილებია შეურაცხყოფილი ხალხი, – დამნაშავეებად იცნო დაბალ წოდების რომდენიმე ბერძენი და მიუსაჯა მათ სიკვდილი.

ბოლოს, 561 წელს, იუსტინიანესა და ნუშირვანს შორის შეიკრა ზავი. საქართველოსათვის ყველაზედ უფრო საყურადღებო ამ ხელშეკრულობაში ის მუხლი იყო, რომლითაც აღსარებული იყო ვაჭრობისა და სარწმუნოების თავისუფლება; იმპერატორისა და მეფეთა მეფის მეკავშირეებს უნდა განეგოთ ეს ხელშეკრულობა და აესრულებიათ ზავშეკრულ მხარეთა ვალდებულებანი [1]). ამავე ხელშეკრულობის ძალით ჯერ ბერძნებმა დაუთმეს სპარსე-

ლებს ჭანეთი [2]). მაგრამ შემდეგ ნუშირვანი ნებას დაიყოლიეს, უარეყო ამ დათმობის შესახები მუხლი და თვით მას აეღო ხელი ამ ქვეყნის ბატონობაზე [3]). ამგვარად საქართველოს მიწების შესახებ სპარსეთის მეფეს შერჩა მხოლოდ უფლება, დაეცვა დარიალის ხეობა [4]) თავის საკუთარ საშვალებით; მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მთელს აღმოსავლეთ-

---

[1]) Gibbon, ch.XLII.

[2]) Шлоссеръ, т. V, стр. 7.

[3]) Gibbon, ch.XLII.

[4]) Procop. De Bello Persico, p. 112.

ში მას დიდძალი სიმდიდრე მოეხვეჭა, ამ დათმობის სასყიდლად მან გამოითხოვა იუსტინიანესაგან იმპერიის წლიური შემოსავალი, რომელიც შეადგენდა ოცდაათი ათას ოქროს [1]).

---

[1]) Gibbon, ch.XLII.

VI.

სპარსელთ ბრძანებლობის პერიოდის დასრულება.

ნუშირვანი დარწმუნდა რომ შავ-ზღვის ნაპირებზე თავის ბრძანებლობის დაცვა არ შეეძლო; და ამიტომ, როცა საბერძნეთმა მისი პატივისმოყვარეობა და ფულის სიხარბე მომეტებულად დააკმაყოფილა ოქროთი, მაშინ სიამოვნებით დათანხმდა, თავისუფალი გაეხადა სარწმუნოება. საქართ-

ველოსაც მხოლოd ეს სჭიროდა. შემდეგ ამისა სპარსეთის მხრით მას შიში აღარ ექნებოდა. ამასთანავე საქართველოს მეორე უფლებაც მიენიჭა: თავსუფალი ვაჭრობა; თუმცა ამ უკანსკნელს მაშინდელ დროის ქართველებისათვის ისე დიდი მნიშვნელობა არ ქონია, როგორც პირველს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ათავისუფლებდა მას საბერძნეთის მონოპოლიისაგან, რომელიც სამეგრელოსათვის დიდათ სამძიმო იყო; ორივე ეს პირობა იუსტინი-

ანემ თავის ხმლითა და ოქროთი მოუპოვა საქართველოს და თავისივე ნებით დაუთმო მას; ამიტომ ამ იმპერატორის სახელი საქართველოში და მთელ დასავლეთის კავკასიაში საყვარელი შეიქმნა. იუსტინიანემ, რა თქმა უნდა, კარგად ისარგებლა ამ მდგომარეობით, მაგრამ ამასთანავე თავის გავლენასაც მოხერხებულად იფარავდა: დაუთმობდა ხოლმე საქართველოს რასმე იმისთანას, რომელიც მისთვის არაფერს შედგენდა და ქართველებისთვის-კი თვალსაჩინო საქმე იყო. მან ნება დართო, კათალიკოსები მკვიდრ ქართველებისგან ამოერჩიათ, – იმ დრომდის-კი ბერძნებისაგან ინიშნებოდენ. იუსტინიანე ალერსით ეპყრობოდა ქართველ არისტოკრატიას და მფარველობდა მას. ზოგიერთ გვარეულობას დღემდისაც შეუნახავს ამის შესახებ გადმოცემა. ქსნისა და არაგვის ერისთავების წინაპრებს, რომელნიც ჩერქეზეთიდან მოსულან და მის დროს დასახლებულან საქართველოში, საპატიო ტანისამოსი და ღერბები მიუღიათ მისგან. ამგვარად იცავდა და აძლიერებდა იუსტინიანე თავის გავლენას საქართველოზე, ვიდრე დასავლეთ კავკასიის ხალხები არ დაიმორჩილა. მან დაიპყრო აფხაზეთი, ააშენა იქ ბიჭვინთის უდიდესი ტაძარი [1]) და ამით საუკუნოდ დასტოვა თავისი სახელი ამ მხარეში; ჩერქეზების ზეპირგადმოცემაშიც

მისი სახელი დარჩენილა, როგორც მათ შორის ქრისტეს გამავრცელებელისა [2]).

მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობამ სპარ-

---

[1]) იუსტინიანეს მიერ ამ ტაძრის აშენებას, „ქართლოს ცხოვრებას" გარდა, მოწმობს დგრეთვე პროკოფიც: de Bello Persico, I II, და კედრენი, p. 393.

[2]) Исторя Адихейскаго народа Шары Ногмы, гл. III.

ხვთისაგან ხსენებულ ტრაქტატის ძალით მხოლოდ 577 წლამდის გასტანა. იუსტინიანეს სუსტმა მემკვიდრემ, იუსტინე II-მ, ეს ქვეყანა ნუშირვანს ხელში ჩაუგდო [1]) 583 წელს-კი ბაქარ III მოკვდა და ორი მცირეწლოვანი შვილი დასტოვა; ამათ არ ყოლიათ ძლიერი მზრუნველი, რომ მათის ტახტის უფლებანი დაეცვა. ეს გარემოება გამოიყენა თავის სასარგებლოდ სპარსეთის მეფემ, ნუშირვანის მემკვიდრემ, – ორმუზდმა [2]), და გაგზავნა თავისი შვილი ამბარვეზი (პარვიზი), რომ საქართველოში უმეფობა გაეგრძელებინა და ამ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებს შორის კავშირი დაერღვია. ამ აზრით ამბარვეზმა გამართა ერისთავებთან მოლაპარაკება: მან დაუმტკიცა თითოეულს მათგანს საშვილიშვილოდ თავიანთ საერისთოების დამოუკიდებელ მფლობელობის უფლება და ამისთვის ვალად დასდვა მათ, მხოლოდ სპარსეთის მეფის ხელმწიფება აღეარებიათ და მისთვის ეძლიათ ხარკი. ეს უმეფობა გაგრძელდა, ვიდრე სპარსეთს ერთის მხრით თურქების ტომები შეესეოდენ და მეორეს მხრით –ბერძნები. მაშინ ამბარვეზმა საქართველო მიატოვა და თავის მამის დასახმარებლათ წავიდა; 586 წელს ქართველებმა იმპერატორ მავრიკის მიმართეს და სთხოვეს, ვახტანგ გორგასლანის შთამომავლობისაგან მათთვის

---

[1]) Lebeau, hist. du Bas-Emp., tom. X.

[2]) ორმუზდი ტახტზედ ავიდა 579 წელსა (La Perse, par L. Dubeux, p. 330).

მეფე მიეცა. იმპერატორმა აუსრულა მათ ეს თხოვნა და საქართველოს ტახტზე აიყვანა თავისი კურატპალატი, კლარჯეთისა და ჯავახეთის მთავარი გურამი, ვახტანგის შვილისშვილი. გურამის დედა იყო ვახტანგის ასული, რომელიც შეეძინა მას მეორე ცოლის, საბერძნეთის ხელმწიფის ქალის, ელენეს ხელში.

მოგვთა მოძღვრების უკანასკნელ ბრძოლის პერიოდი მის დაცემამდი.

I.

გურამ ბაგრატიონის მართველობა.

ბაგრატიონთა შთამომავლობა – გურამის განკარგულებანი და განზრახვანი ახალ ერისთავთა დანიშვნის შესახებ. – სპარსეთს გალაშქრება. – ცვლილებანი სპარსეთში და მავრიკის მიერ პარვიზთან პირობის შეკვრა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. – სიონისა და წმ. ჯვარის ტაძართა დაფუძნება.

ბაგრატიონები ებრაელთა უძველეს მეფეთაგან მიმდინარეობენ. დავითისა და სოლომონის შორეულ ჩამომავალთა ეწვიათ თავიანთ ხალხის საერთო ხვედრი და უცხო მხარეებში გადასახლების დროს, დაემკვიდრენ სომხეთში და იქ ხელახლავ მოიპოვეს შესამჩნევი მდგომარეობა [1]). შემდეგში მიიღეს მათ ქრისტეს სარწმუნოება; მე-VI საუკუნის დასაწყისში

კი ერთმა მათგანმა ცოლად შეირთო ვახტანგ გორგ-
ასლანის ასული, იმპერატორის ლეონ დიდის შვი-
ლისშვილი, და ამ ქორწინების მეოხებით კლარჯე-
თისა და ჯავახეთის მფლობელი შეიქნა. შემდეგში

---

[1]) Моис. Хорен., кн. II, гл. XLIII.

მისი შვილი გურამი საქართველოს მეფედ ანუ მე-
მკვიდრეობით მართველად დაინიშნა – და ის შეიქნა
ქართველთ ბაგრატიონთა მამამთავრად.

გურამის მეფობის დასაწყისში კახეთი ორ ნა-
წილად იყო გაყოფილი: კავკასიის უმთავრეს ქედზე
მოდებული ყველა ადგილი და ალაზნის მთელი მა-
რცხენა ნაპირი დანიშნული იყვენ ბაქარ III-ის
შვილებისათვის, და ამ მდინარის მარჯვენა ნაპირი,
ახლანდელი ქიზიყი (ძველ გეოგრაფების მიერ კამ-
ბეჩოვანად ანუ კამბიზენად წოდებული), სპარსეთის
მართველს ვეზანს წაართვეს და გურამის ძმებს ჩა-
აბარეს სამართავად. „ქართლის ცხოვრების" ერთის
ადგილის აზრით უნდა ვიფიქროთ, რომ გურამს გან-
ზრახვა ქონია, წაერთმია საზოგადოდ ძველის ერის-
თავებისათვის მათი უფლებანი, მაგრამ ამაში მისთვის
ხელი შეუშლია კოსტანტინეპოლის იმპერატორთა
და სპარსეთის მეფეთა მტკიცე საბუთებს, რომლის
ძალითაც ერისთავებს თავიანთ მაზრებში მემკვიდრეო-
ბითი მფლობელობა ქონდათ მინიჭებული.

როცა კახეთის საქმეები მოაწყო, იმპერატორ-
მა დიდძალი ფული გამოუგზავნა გურამს და წინა-
დადება მისცა, მოეწვია ქირით მთებიდან ჩრდილოე-
თის ველური ტომები, შეეერთებია მათთან ქართველი
ჯარები და სპარსეთს შესეოდა. გურამმა მოიწვია
ოსები, ძურძუკელები და დიდოელები და გაგზავნა
ისინი და ქართველნი ადარბადაგანისაკენ. იმათ
ააოხრეს ეს ქვეყანა, და მთელი სპარსეთი შიშის

ზარით იყო მოცულო, სანამ იმპერატორის მეკავში-
რეებს სპარსეთის სახელოვანი სარდალი ბარამ-ჩუ-
ბინი შეხვდებოდა. ბარამ-ჩუბინმა გადაიხადა ომი
თურქებთან, რომელნიც ამ დროს სპარსეთს თავს
ესხმოდენ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით, სრუ-
ლიად დაამარცხა ისინი და შემდეგ ქართველებზედაც
გაიმარჯვა და უკუაქცია ისინი. დაქირავებულნი
დაუყოვნებლივ წავიდენ თავიანთ მთებში, და გურამმა,
რაკი სპარსელთაგან შურისძიებას მოელოდა, დაიწყო
საქართველოს მზადება თავდასაცველად. მაგრამ,
„ქართლის ცხოვრების" რწმუნებით, საქართველო
გათავისუფლდა მით, რომ ბარამ-ჩუბინი გაუდგა თა-
ვის მეფეს და დაიპყრო მისი ტახტი, ასე რომ სპარ-
სელები თავიანთ სახელმწიფოში ცვლილებათა შე-
სახებ ზრუნვას უნდებოდენ და გარეშე ომებისათვის
არ ეცალათ. ხოლო სხვა წყაროებიდან ჩვენ ვიცით,
რომ ორმუზდის მეფობის უკანასკნელ წელში (590
წელს) ბარამ-ჩუბინი სვანეთამდისაც მისულა [1]).

ორმუზდმა შურის თვალით დაუწყო ყურება თავის
სარდლის სახელს და ამიტომაც, როცა მისი ტახტი
უშიშარ მდგომარეობაში იყო, იწყო შემთხვევის ძებ-
ნა, რომ დაუმცირებია სახელოვანი სარდალი სპარ-
სელების თვალში. 590 წელს ორმუზდმა ბძანა, მი-
ეტანათ ბარამ-ჩუბინისათვის თითისტარი და ჯაჭვი,
გამოუცხადებიათ მისთვის, რომ მას დედაკაცების

[1]) Lebeau, hist. du Bas-Emp., tom. X, p. 280.

ხელსაქნარს გარდა აღარაფერი შეეძლო, და დაე-
ბორკილებიათ იგი მის ყოფა-ქცევისათვის. ამით
სპარსეთის ჯარები არა ნაკლებ იყვენ შეურაცხყო-

ფილნი, ვიდრე მათი სარდალი. ბარამ-ჩუბინმა მო-
ინდომა უმადურ მეფის შურისძიება და მოახთინა
განხეთქილება იმასა და მის შვილს პარვიზს შორის
მით, რომ ბძანება გასცა, ფული პარვიზის სახისა და
სახელის გამოხატულებით მოეჭრათ. ორმუზდმა იფიქ-
რა, რომ მისი შვილი მის წინააღმდეგ შეთქმულო-
ბაში ერია, და ამიტომ ბძანა მისი დაჭერა, მაგრამ
პარვიზი გაიქცა. მეფისწულის გაქცევამ ორმუზდის
რისხვა პარვიზის დედის ნათესავებზე გადაიტანა, მაგ-
რამ ისინი, თავიანთ სიცოცხლის დასაცველად იძუ-
ლებულნი შეიქნენ – შეეგროვებიათ ჯარები, და
რათ თვითონ ორმუზდი და მისთვის თვალები ამო-
ეთხარათ. ბარამ-ჩუბინმა პარვიზის უფლებანი უარყო
და თვით დაიფლო სპარსეთის უმაღლესი ხელმწიფება.
პარვიზი კოსტანტინეპოლს წავიდა, მიიქცა იმპე-
რატორ მავრიკის წინაშე და თხოვა მას შემწეობა
თავის უფლებათა დასაცავად. მავრიკიმ პატივით მი-
იღო ის, მიათხოვა მას თავისი ასული მარიამი [1]) და
გაატანა სპარსეთს საბერძნეთის ჯარი, რითაც მისცა
მას შეძლება – დაებრუნებია თავისთვის სამკვიდრო
ტახტი. „ქართლის ცხოვრება" ეთანხმება ამ ცნო-
ბებს და ამბობს, რომ მავრიკის მიერ ამბარვეზთან

---

[1]) Dubeanx, la Perse, p. 332.

შეკრულს ნათესაო.ბრივ მეგობრობის პირობათა შო-
რის დადგენილი იყო, იმ დროიდან საქართველო
დამოუკიდებელი ყოფილიყო იმპერიასა და სპარსეთ-
ზე, მავრიკის, როგორც ქრისტიან ხალხთა საერთოდ
დამცველის პირად მფარველობას ქვეშ.

გურამის მეფობა იშესანიშნავია თფილისის სი-
ონის ტაძრისა და აგრეთვე წმ. ჯვრის ტაძრის აშე-
ნებით მტკვრისა და არაგვის შეერთების მახლობ-
ლად, იმავე მაღლობზე, სადაც მირიანის მეფობის

დროს მცხეთის პირდაპირ პირველი ჯვარი იყო ამართული. გურამის დროსვე შენიშნულია მცხეთისა და განსაკუთრებით არმაზის-ციხის მოსახლეობის დაცემა, მაგრამ იმათ მაგიერ თფილისმა და იმის ციხემ კალამ იწყეს აყვავება.

გურამი მოკვდა 600 წელს და მას შემდეგ მისი უფროსი შვილი სტეფანოზ I გამეფდა.

II.

სტეფანოზ ბაგრატიონისა და ადარნასე სასანიანის მართველობათა დრო.

მორჩილება სპარსელებისადმი. – მიზეზები.– იმპერატორ ირაკლის მოქმედებანი. – ხაზარები საქართველოში. – ადარნასეს მიერ თფილისის აღება და მისი ტახტზედ ასვლა – ეკლესიის საქმეები. – პირველი ხმები არაბების შესახებ.

გავიდა სტეფანოზის მართველობის რამდენიმე წელიწადი, და ეს მართველობა არაფრით ყოფილა შესანიშნავი; სტეფანოზმა მხოლოდ გონებაში წარმოდგენილ საშიშროების გამო შეარყია საქართველოს დამოუკიდებლობა და სპარსელთ ბატონობას დაუმორჩილა ის. მის შიშის მიზეზი იყვნენ ის გარემოებანი, რომელნიც საბერძნეთის იმპერიაში მოხთენ, და სპარსელთ ომი იმპერიასთან.

მავრიკის უნდოდა – ახალი წყობილება დაეწესებია თავის ჯარებში და აედგინა მათში დისციპლინა; ამით მან ჩაათესლა ძველ მხედართა გულში უკმაყოფილება, რომელიც მალე ცხად აჯანყებად გადაიქცა. 602 წელს იმათ ამოირჩიეს წინამძღოლად ერთი თავის სარდალთაგანი, სახელად ფოკა, და გაილაშქრეს კოსტანტინეპოლზე, მოახთინეს საცხოვრებელ ქალაქში საერთო აჯანყება, ჩამოაგდეს ტახ-

– 119 –

ტიდან მავრიკი და ზედ აიყვანეს ფოკა. ამ ტირანის პირველი განკარგულება იყო – იმპერატორის მოკვდინება და მის ოჯახობის ამოწყვეტა. პარვიზმა შეიტყო ეს და ფიცი დადვა – გადაეხადა მაგიერი ბერძნებისათვის, რადგან ისინი ასე უმოწყალოდ მოექცენ მის მონათესავე ოჯახობას. სპარსელნი გაემართენ მცირე აზიას; იმათ ააოხრეს ეს მხარე, დაიპყრეს სირია, ანტიოქია და იერუსალიმი და შევიდენ ჩრდილოეთის არაბეთსა და ეგვიპტეს. 14 წლის ომების განმავალობაში პარვიზმა იმპერია იმისთანა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა, რომ კოსტანტინეპოლის კარი ფიქრობდა, ახალი იმპერატორი ირაკლი, გარყვნილ ფოკას შემდეგ ტახტზედ ასული, მიატოვებდა სატახტო ქალაქს და აფრიკას გაიქცეოდა.

პარვიზის ამგვარ წარმატებათა გამო სტეფანოზმა გადაწყვიტა – ნებით დამორჩილებოდა მას, რადგან ფაქრობდა, რომ ამ ზომით საქართველოს ააშორებდა მის ამაოხრებელ თავდასხმას. ამის მიუხედავად სპარსელებმა ჩააყენეს ამ ქვეყანაშიც თავიანთი ჯარები; პარვიზი შეიძლება არც-კი ფიქრობდა ამ ქვეყნის დაპყრობას, რადგან ის არ ითვლებოდა ბერძენთ სამფლობელოდ; სტეფანოზმა, სპარსელ დამპყრობელის შიშით და მის ნების მორჩილების მიზეზით, არა თუ ვერ გაბედა თავის მამის ქრისტიანულ მოღვაწეობათა გაგრძობა, პირიქით, თავის ხალხისაგან უსჯულოს სახელიც დაიმსახურა.

– 120 –

თუმცა პარვიზს ომებში საკვირველი წარმატებანი ქონდა, მაგრამ მისი ყოფა-ქცევა, განსაკუთრებით ქრისტიან ხალხების შესახებ, იმგვარი იყო, რომ

დაპყრობილ ქვეყნების დიდხანს დაკავება თავის მორჩილებაში არ შეეძლო. ეგვიპტის, არაბეთის, სირიისა და მცირე აზიის ქრისტიანებმა მალე იგრძნეს სპარსელთ ბატონობის სიძნელე და იწყეს უკმაყოფილების გამოცხადება განუწყვეტელ აჯანყებებით იმ დროს, როცა წინდაუხედველ პარვიზს კოსტანტინეპოლის გალავანზე მიქონდა იერიში.

ბერძენთ ამ უკიდურეს მდგომარეობა მი მხოლოდ ირაკლი არ ეცემოდა სულით; იმან შეადგინა თავის იმპერიის აღდგინების პლანი და მის განსახორციელებლად აუცილებელ საჭიროდ დაინახა ჯერ დაეცხრო სპარსეთის მეფის პატივისმოყვარეობა და გარშემორტყმულ სატახტო ქალაქის მცხოვრებნი დაემშვიდებია; ამიტომაც 617 წელს იმან შეკრა პარვიზთან ურგები ზავი, მაგრამ ორ წელს შემდეგ გააუმჯობესა თავისი ჯარები, მოიწვია კავკასიის ტომნი და თვითონ შეესია სპარსეთის სამფლობელოებს.

ჯერ სანამ სალაშქროდ აიყრებოდა, ირაკლის უნდოდა – მოეგო ქართველთა და აფხაზთ გული; იმან იცოდა ქართველთ ცუდი განწყობილება თავიანთ მართველისადმი და ამიტომაც 619 წელს სტეფანოზის მაგიერ დანიშნა ადარნასე, ბაქარ III-ის შვილი, და აფხაზეთის მართველს ლეონს-კი

ქალაქი აჩუქა ნიკოფსია [1]).

622-ისა და 623 წლების განმავალობაში ირაკლიმ დაიპყრო სომხეთი, ადარბადაგანი და შირვანი, სადაც გაჩერდა კიდევაც საზამთროდ. 624 წელს იმას უნდოდა – წინ გაწეულიყო, რომ ანაზდად ჭანებმა, აფხაზებმა და ქართველებმა, რომელთა რიცხვი მრავალი იყო მის ჯარებში, დატოვეს ის, რადგან დაქანცულნი იყვენ მათთვის უსარგებლო სისხლისღვრით და სამძიმო მგზავრობით. ორ წელიწად-

ნახევარი მოანდომა ირაკლიმ იმას, რომ ამ ქვეყნე-
ბიდან გაედევნა სპარსელები; განსაკუთრებით დიდი
წინააღმდეგობა ამოუჩინეს მას ჭანებმა, რომელთ
შორისაც პარვიზის სარდალი საისი წარმატებით
ამყარებდა სპარსელთ ბატონობას. ამასობაში ხაზა-
რები, თავიანთ სარდლის ხაკან ზიებელის ანუ ჯე-
ბელის წინამძღოლობით, რომელიც ქართულ მატი-
ანეებში ჯიბუღად არის წოდებული [2]), შეესიენ
დარუბანდით სპარსეთს და ააოხრეს იგი. ეს შესევა
მოხთა ბერძნებზე დამოუკიდებლად, ირაკლის წინა-
აღმდეგ მომქმედის სპარსელთ ჯარების ზურგიდან;
იმან გამოაბრუნა ირაკლის შერყეული წარმატება

---

[1]) ირაკლისაგან აფხაზებსა და ქართველებთან შეკრულ ზავის შესახებ მოგვითხრობენ არაბთა ისტორიკოსი ევტიხი და კოსტანტინე პორფიროსანშობილი (იხ. Lebeau, tom. XI, p. 102, not. De St. Martin, 4).

[2]) Brosset, hist. de la Géorg. Pag. 226, not. 5. ეს სახელი დღემდის არსებობს კავკასიის ზოგიერთ საზოგადოებაში და გამოითქმის ჯებელო.

და ძალიან შეასუსტა სპარსეთი. ირაკლიმ მოიწადი-
ნა ხაკანთან დაუყოვნებლივ კავშირის შეკვრა; ამი-
ტომ გაუგზავნა მას საჩუქრები და თხოვა, გამო-
მგზავრებულიყო საქართველოოს საზღვრებით მასთან
შესაერთებლად. იმპერატორმა თანხმობა მიიღო,
და 326 წელს იწყო ხელახლავ მტერზე მისვლა.
გალისის ნაპირებიდან გაიარა მან პონტო და შევი-
და ჭანეთს; ყველა ციხეში ჩააყენა ბერძენთ გარნი-
ზონები, მივიდა რიონამდის. აქიდან იმერეთით
ქართლს გაემართა და მიუახლოვდა თფილისს, სა-
დაც შეხვდენ მას ადარნასე და ჯებელო. ქალაქს
სპარსელ ჯარის შემწეობით სტეფანოზი იცავდა.
ადარნასეს მოსვლამ თფილისს, როგორც სჩანს,
შეაერთა იმერეთის, ქართლისა და კახეთის მცხოვ-

რებნი. იმათ და ხაზართა შემწეობით ირაკლიმ აიღო ქალაქი, მაგრამ, რაკი დაინახა კალას ციხე-სიმაგრის თავგამოდებული წინააღმდეგობა და ერთ ალაგასაც დიდხანს გაჩერება არ სურდა, ამიტომ იმის გარშემორტყმა ადარნასეს და ჯეგელოს მიანდო, და თვითონ სპარსეთს გაემგზავრა.

თფილისიდან წასული ის მივიდა საქართველოს მაზრას გარდაბანს, იქაურ მთავარს ვარაზ-გაგელთან, და სარწმუნოებრივმა საქმეებმა რომელიც მას ყოველთვის საგულისხმოთ მიაჩნდა, რამდენმე ხანს შეაჩერა იქ. იმან დაითანხმა ვარაზ-გაგელი და გარდაბანის, ბერდუჯისა და ლალის ყველა მცხოვრები, მოცილებოდენ სომეხთ ეკლესიას, რომელიც იმ დროს

გამსჭვალული იყო მონოფიზიტების სწავლით [1]), და ამ ადგილებში მრავალს ქართველთ ტაძარს ჩაუდვა საძირკველი.

ამასობაში ადარნასემ და ჯეგელომ აიღეს კალა, გარნიზონის უფროსს ცოცხალს გააძრეს ტყავი და ისე გაგზავნეს ირაკლისთან, რომელიც მაშინ ვარაზ-გაგელისას იყო სტუმრად. თითქმის ამგვარივე ხვედრი ეწვიათ სტეფანოზსა და მის მომხრეებს. სტეფანოზის შვილები კლარჯეთის მთებში გაიქცენ, და ადარნასე თავისუფლად ავიდა თავის მამა-პაპის ტახტზე მართველის ხარისხით, თუმცა ერისთავები ისე ემორჩილებოდენ მას, როგორც მეფეს. ბერძნებმა თავისთვის დაიტოვეს შავ ზღვის განაპირა ადგილები და კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი.

629 წელს ირაკლიმ დაასრულა საქმეები სპარსეთთან [2]), დაბრუნდა საქართველოს და ბძანება გამოსცა, გაედევნათ აქიდან ყველა ცეცხლისმსახური, რომელიც-კი ქრისტიანობას არ მიიღებდა. ამას შემდეგ წაიღო ამ ქვეყნიდან მრავალი საღვთო ხატი და ნაწილნი, რომელშიც კოსტანტინე დიდს

მირიან მეფისთვის ებოძებია, და ბიზანტიას გა-
ემგზავრა.

იმპერატორ ირაკლის გამარჯვებებმა დაასრუ-
ლა მოგვების ბრძოლა ქრისტიანობასთან, და ცხრა

---

[1]) Brosset, hist. de la Géorg. P. 228, n. 5, et p. 231, n. 7; St. Martin,, Mémoires sur l' Armenie, tom. I, p. 333.

[2]) Hist. du Bas-Emp., tom. XI, p. 160

წელს შემდეგ, როცა სპარსეთი არაბებმა დაიპყრეს, ცეცხლის-მსახურება სამუდამოდ დაეცა.

იმ დროის მიმართულების მიხედვით, ადარნასე, მთელის თავის მეფობის განმავალობაში, ზრუნავდა უმთავრესად საეკლესიო საქმეებზე: ის ცთილობდა, სრულიად გაეთავისუფლებია ქართველი საღვდელო-ება ანტიოქიის საპატრიარქოს დამოკიდებულებისა-გან, და კიდევაც აასრულა ეს. იმან მიიღო პატრიარქის თეოფილაკტესაგან თანხმობა, იქაურ ეპისკოპოსთა კრებისაგან დამტკიცებული, შესახებ იმისა, რომ შემ-დეგში ანტიოქიასა და საქართველოს შორის მიმო-სვლის სიძნელისა გამო, ქართველთ კათალიკოზები თვით საქართველოში კურთხეულიყვენ, ანტიოქიას გაუგზავნელად.

ადარნასე მოკვდა 639 წელს. მას შემდეგ ტახტ-ზედ ავიდა შვილი მისი სტეფანოზ II.

ჯერ კიდევ ადარნასეს სიცოცხლეში ქართ-ველებმა შეიტყვეს, რომ აზიაში გამოჩნდა ახალი დამპყრობელი ხალხი, არაბები, და დაინახეს ახალი საშიშროება, რომელიც ქრისტეს სარწმუნოებას მოელოდა.

III.

აღმოსავლეთის მდგომიარობა არაბთა მიერ საქართველოს დაფლობამდის.

არაბები პირველ ხალიფების წინამძღოლობით. – სპარსეთის, შირვანისა და სომხეთის დაპყრობა. – სტეფანოზ II-ის მეფობა. – არაბთა შემოსევა საქართველოში. – საქართველოს განაწილება ბერძნებსა და არაბებს შორის. – მირისა და არჩილის მეფობა. – მურვანის შემოსევა. – არაბების მიერ საქრთველოს მფლობელობის დასაწყისი.

მამადი თითქმის მთელის არაბეთის მფლობელი შეიქმნა და ამ ქვეყნის ყველა ტომი შეაერთა ერთის კანონით და მეომრობისა და გრძნობიერობის სჯულმოძღვრებით. თავის სიცოცხლის დასასრულს იმან მოიწადინა – არაბეთის საზღვრებს გარეთ ეომნა და იქ გაევრცელებია თავისი მოძღვრება. 632 წელს მისმა სიკვდილმა დროებით შეაჩერა ამ განზრახვის ასრულება; მაგრამ არ გასულა 12 წელიწადიც, რომ პირველმა მისმა მემკვიდრეებმა, ხალიფებმა აბუბაქარმა და ომარმა, არაბებს დაუმორჩილეს ყველა ქვეყანა ეგვიპტის დასავლეთის საზღვრებიდან დაწყებული ინდოეთამდი, და ინდოეთის ზღვიდან დარუბანდსა და ოქსამდი. ეს ქვეყნები შეადგენდა მთელს სპარსეთის სახელმწიფოს და საბერძნეთის იმპერიის ნაწილს, რომელსაც მართავდა მრავალ გამარჯვებით

გაბრწყინვებული და სახელგანთქმული იმპერატორი; ხოლო არაბთა ამგვარი ძნელად დასაჯერებელი სწრაფი წარმატებანი აიხსნებიან იმ დროის სხვადასხვა გარემოებით.

იმპერატორმა ირაკლიმ აღმოსავლეთში ლაშ-

ქრობანი მოახთინა, როგორც იმპერიის პოლიტიკურ ღირსების აღსადგენად, აგრეთვე იმ მიზნითაც, რომ ქრისტეს სარწმუნოება გაეწმინდა იმ გავლენათაგან, რომელიც ქონდა მაზედ სხვადასხვა ხალხების შეხედულებას ქრისტეს ბუნებაზე. 628 წელს, როცა პარვიზი მოკლეს და სპარსეთის ტახტზე მისი შვილი შირუეხი აიყვანეს, ირაკლიმ დაასრულა ომები და იწყო ზრუნვა მხოლოდ სარწმუნოებრივ დავათა შესახებ, იმას-კი, რაც მის იმპერიის მეზობელ ქვეყანაში – არაბეთში წარმოებდა იმ დროს, არავითარ ყურადღებას აქცევდა.

მატერიალურად და ზნეობრივად დამდაბლებული და დაცემული სპარსეთი წარმოადგენდა სიბრალულის მომგვრელს წინააღმდეგ სახეს იმ დიდებულ მდგომარეობისას, როგორიც წინად ქონდა. მამის მკვლელი შირუეხი მხოლოდ რვა თვეს მეფობდა და სახელი გაითქვა კიდევ ახალის ბარბაროსულ მოქმედებით – თავის ძმებისა და აუარებელ ქვეშევრდომთა დახოცვით ვითომდა მართლმსაჯულების ასასრულებლად. იმას შემდეგ გამეფდა მისი შვიდის წლის შვილი არდაშირი, მაგრამ ხუთსა თუ ექვს თვეს შემდეგ ის მიკლა სპარსეთის ერთმა სატრაპთაგანმა შარიარმა

და თვითონ დაიჭირა ტახტი; არ გასულა 40 დღის მეტი, რომ ეს უკანასკნელიც მოკლეს, და მისი ადგილი დაიჭირა პარვიზის ასულმა პურანდუხზმა. ამგვარად 628 წლიდან 632-მდის, ოთხის წლის განმავალობაში, სანამ სპარსელ სასანიანთა უკანასკნელი მეფე იეზდიგერდ III ტახტზედ ავიდოდა, ათი მეფე ჩამოაგდეს ტახტიდან. ამით შეიძლება ვსაჯოთ შინაურ უწესოებათა შესახებ, რომელნიც სპარსეთში სუფევდენ, და შესახებ იმ სისუსტისა, რომელშიც იყო ჩავარდნილი სპარსეთი არაბთა შემოსევის წინა ხანებში.

აბუბაქარის ჩვენებით, არაბეთის საზღვარი პირველად გადაიარა მისმა სარდალმა ხალედმა; იმან მიმართა სპარსეთს, რამდენჯერმე გაიმარჯვა იეზდიგერდის ჯარებზე და დაიჭირა ირაყის მაზრა და ეფრატის მთელი ქვედა-მარჯვენა ნაპირი. ამასობაში არაბთა მეორე რაზმი გაემართა სირიას, რომელიც საბერძნეთის იმპერიას ეკუთვნოდა; თუმცა იმას პირველად წარმატება არ ქონია, მაგრამ ორ წელს შემდეგ, ხალიფა ომარის ბძანებით, ამ რაზმის უფროსობა მიიღო იმავე ხალედმა და ტიბერიადის ტბის მახლობლად დაამარცხა 30,000 ბერძენი, შეუჩერებლად აიღო შამის ქალაქი (დამასკი) და საშინლად ააოხრა ის. ხალედის ამ სისასტიკეს შემდეგ ხალიფამ ომარმა სირიაში მომქმედ ჯარების უფროსობა მიანდო აბუ-უბენდს. ქალაქები: გემსი, ანტიოქია, ბაალბეკი და კესარია ზედიზედ დაემორჩილენ ამ

სარდალს; მხოლოდ იერუსალიმმა გამოაცხადა პირობა, რომ ის დანებდებოდა მხოლოდ ხალიფას, და სხვას არავის. ომარი განგებ ამისთვის მივიდა ჯარებთან და შევიდა ქალაქში. სირიისა და პალესტინის დამორჩილების შემდეგ, ხალიფას მეორე სარდალმა ამრუმ დაიპყრო ეგვიპტე; მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს დაპყრობა ესიამოვნათ კიდეც, რადგან ზომიერ ხარკით გათავისუფლდენ ბიზანტიის მართებლობისა და მის მოხელეთა სამძიმო ბეგარათაგან.

სანამ არაბები ბერძენთ სამფლობელოებს, სირიასა და ეგვიპტეს, იპყრობდენ, სპარსელებმა მათი ჯარები ირანიდან განდევნეს; მაგრამ 635 წელს სარდალმა საადმა მიიღო შემწე ჯარები, ხელ-ახლავ დაიჭირა ეფრატის მარჯვენა ნაპირი და, რამდენმე ხანს შემდეგ დაამარცხა სპარსელთ უმთავრესი ჯარი, რომელსაც რუსტუმი წინაუძღოდა. ბრძოლა

მოხთა კადესიასთან და მთელს ოთხს დღეს გაგრძელ-
და. ამ ბრძოლიის შედეგი იყო სპარსეთის დაპყრო-
ბა მდინარე ტიგრამდი. 637 წელს საადი გავიდა
მდინარე ტიგრში და რამდენმე შეტაკებას შემდეგ
აიღო სპარსეთის მეფის სატახტო ქალაქი კტეზი-
ფონი. არაბთა ჯარებს, მათის მხნეობისათვის საჩუ-
ქრად, აუცილებელი ალაფი ხვდათ და ამან გაორკეცა
მათი ენერგია მომავალ ბრძოლათათვის. იეზდიგერდი
გაიქცა სპარსეთის ჩრდილოეთის მხარეებში, არაბები
კვალდაკვალ დაედევნენ მას და 642 წელს შეხვდენ

მას ქალაქ ზამადანის მახლობლად; მათი რიცხვი
შედგებოდა სულ მხოლოდ 30,000 კაცისაგან. ეს
ჯარი შეეტაკა 150,000 რიცხოვანს სპარსელთ ჯარს
და ძლიერად დაამარცხა იგი. სპარსეთი დაიპყრეს;
იეზდიგერდი გაიქცა ოქსის მდინარეს იქითა მხარეს,
თურქთა ხაკანთან. არაბები ორ რაზმად გაიყვნენ:
ერთი გაემართა აღმოსავლეთისაკენ, მეორე კი ადარ-
ბადაგანით საქართველოს მეზობელ სამეფოს შირ-
ვანს. მაგრამ ხუთის წლით ამის წინათ არაბები შე-
ვიდენ საქართველოს მეორე მეზობელ სამეფოს –
სომხეთს.

პარვიზის მეფობაში სომხეთში აჯანყება მოხთა
სპარსელთ წინააღმდეგ. მის დასამშვიდებლად დიდის
ხნის ამაო მეცადინეობას შემდეგ, პარვიზმა გადა-
წყვიტა ბოლოს, მიეცა მათთვის საკუთარი მართ-
ველი მათ დიდებულთაგანვე. პირველად დავით საა-
რუნმა მიიღო ეს ხარისხი, მაგრამ შირუეხმა მალე
მის მაგიერ ვარაზოიროტ ბაგრატუნი დააყენა. ხო-
ლო პატარა ხანს შემდეგ იმპერატორმა ირაკლიმ
განდევნა იგი და ხელახლავ საარუნი დანიშნა კუ-
რატპალატის ხარისხით. 635 წელს სომხებმა, რად-
გან მისი უკმაყოფილონი იყვენ, ჩამოაგდეს იგი
ტახტიდან და მართველად დააყენეს თევდორე რესი-

დუნიანი. სამუდამო მართველთა ასე ხშირი გამოცვლა იმას ამტკიცებს, რომ სომხეთში ყოფილა შინაგანი უთანხმოება და უწესოება. თევდორეს დროს 637

წელს არაბები პირველად შემოვიდენ ამ მხარეში.

კადესიასთან ბრძოლის შემდეგ),არაბებმა დაიჭირეს სპარსეთი ტიგრამდი და გაგზავნეს თავისი რაზმები ამ მდინარის სათავისაკენ. ერთი ამ რაზმთაგანი, აბდ-ურახმანს წინამძღოლობით, სომეხთ მაზრას დარონს შეესია. თუმცა თევდორე სახელგანთქმული იყო თავის სამხედრო ნიჭით, მაგრამ ადგილობრივ თავადთა უთანხმოებისა და ურჩობის მეოხებით ვერაფერი გააწყო მტრის წინააღმდეგ: ყველას თავის მოსაზრებით უნდოდა მოქმედება. დასასრულ ორმა ძმამ, ვალანმა და დირანმა, მიიმხრეს რამდენიმე თავადი, განცალკევდენ სხვებისგან და მოინდომეს არაბთა მოძრაობის შეჩერება. ისინი შეხვდენ მტერს ვანის ტბის მახლობლად, შეებრძოლენ მას, მაგრამ საშინლად დამარცხდენ. აბდ-ურახმანი შუა სომხეთს შევიდა და ყოველივე ააოხრა და დაწვა. ხალხს თავზარი დაეცა. პატრიარქი ეზდრა მწუხარებისაგან მოკვდა. მისმა მოადგილემ ნერსეს III-მ მიატოვა თავისი რეზიდენცია, ქალაქი ტოვინი, და გაიქცა თავის შესაფარავად ჩრდილოეთის სომხეთის მთებში. არაბებმა ააოხრეს ვასბურაღანი და დაიჭირეს არეზის მთელი მარჯვენა ნაპირი. 639 წელს ისინი გავიდენ არეზში, აიღეს ტოვინი და შეუბრალებლად დახოცეს მცხოვრებლები; აქიდან წაიყვანეს მაში ურიცხვი ტყვე და სომხეთიდან უკანვე დაბრუნდენ.

642 წელს შირვანში შარიარი მეფობდა. მის

დროს თუ მის წინამოადგილეს დროს ეს სამეფო გაძლიერდა და გაიწია ჩრდილოეთისაკენ უფრო, ვიდრე ნუშირვანის დროს იყო. მაგრამ, ამის მიუხედავად, შარიარმა ვერ შესძლო არაბების წინააღმდეგობა. აკადემიკოსი დორნი, ტაბარის ჩვენებისამებრ, ამბობს, რომ ამ წელში ბექირ-ბენ აბდულასმა ადარბადაგანზე გაილაშქრაო, დაიპყრო ეს მხარე და, ამით გათამამებულმა, თხოვა ხალიფას, დარუბანდზე გალაშქრების ნება მიეცა მისთვისო. ომარმა ნება დართო და შემწედ გამოუგზავნა მას აბდ-ურახმან- ბენ-რაბიადი და სხვა სარდლები. იმათ შეადგინეს ბექირის ლაშქრის წინარაზმი და მიმართეს დარუბანდს. შარიარს უნდოდა მშვიდობიანობის დაცვა და ამიტომაც შეხვდა მათ და პირველად ხარკის ძლევა აღუთქვა, მაგრამ შემდეგ აუხსნა მათ თავის სამეფოს საშიშარი მდგომარეობა ხაზარებისა და რუსების მხრით და თხოვა, ხარკის მაგიერად, მიეღოთ მისგან ვალდებულება – დაეცვა ამ ხალხებისაგან თავის საკუთარ საშვალებით არაბეთის სახელმწიფოს საზღვრები; როცა ეს გარემოება მოახსენეს ომარს და შარიარის წინადადებაზე მისი თანხმობა მიიღეს, მერმე ზავის პირობა შეკრეს, და ამას შემდეგ არაბებმა აღარ სცნეს საჭიროდ – თავიანთი ჯარები შირვანში ყოლებოდათ.

სომხეთისა და შირვანის დაპყრობას მოყვა არაბთა შესევა საქართველოში. ჩვენ არა გვაქვს ნამდვილი და გარკვეული აწერილობა იმ გარემოებათა,

რომელნიც წინაუძღოდენ და თან მოყვენ ამ შემთხვევას. ქართველთ მატიანეები მოგვითხრობს ჩვენ ძლიერს მღერვალებასა და შიშს, რომელიც გავრცელებული ყოფილა საქართველოში ახალის დამპყრობელი ხალხის გამოჩენის გამო. ყველანი სწრაფოდენ თავიანთ განძის დამალვას მიწაში და ყოვე-

ლი კაცი უფრო თავის უსაშიშრო თავშესაფარ ალაგ-
ზე ზრუნავდა, ვიდრე მტრის ვაჟკაცურად წინ მიგე-
ბებაზე. თუ ამ მატიანეთა მოთხრობას მივაქცევთ
ყურადღებას, იმპერატორის ირაკლის მიერ თავის
იმპერიის პროვინციებში გაგზავნილი დარიგებანი
და არაბთა წინააღმდეგ მისი მზადებანი ყოფილან იმ
თავზარდაცემის შიშის მიზეზნი, რომლითაც ქართ-
ველები არაბთა შემოსევას მოელოდენ. ალბად იმ-
პერატორს სრულიადაც არ სურვებია – დაცემულ-
იყვენ სულით ის ხალხები, რომელნიც მის სახელ-
მწიფოს აღმოსავლეთის საზღვრებთან იყვენ; მაგრამ,
თუ მხედველობაში მივიღებთ, პირველად, მატიანეთა
თქმულობას რომ ადგენდენ ქონებათა სიებსო, და
მეორედ რომ იმ დროს, ირაკლის განკარგულებით,
ხალხის აწერ იყო, – მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ
მოხელეები, რომელთაც ხალხის აწერა მინდობილი
ქონდათ, ალბად განგებ ავრცელებდენ ხმას მოახლო-
ებულ საშიშრობაზე, რომ ხალხს გამოეჩინა თავისი
საუნჯენი და ამით მოხელეებს ნამდვილი მათი სია
შეედგინაათ.

ეს შეწუხებანი და მზადებანი „ქართლის ცხო-

ვრებას“ აწერილი აქვს სტეფანოზ II-ის მეფობის
დასასრულს, და პირველ შემოსევას-კი მირისა და
არჩილის მეფობის დროს იხსენიებს. ჩვენ გვაქვს სა-
ფუძვლები – დავეთანხმოთ იმათ, რომელნიც ფიქრო-
ბენ, რომ არაბთა პირველი შემოსევა საქართველო-
ში 642 წელში იყოვო, ე. ი. სტეფანოზ II-ის მეფო-
ბის დასაწყისში; ის შემოსევა-კი, რომელიც მირისა
და არჩილის დროს მომხათრა და რომელსაც „ქარ-
თლის ცხოვრება“ იხსენიებს, იყო მესამე, რომელმაც
დაამკვიდრა არაბთა მფლობელობა მთელ საქართვე-
ლოს შესახებ. სენ-მარტენი, ლებოს მიერ შედგე-
ნილის აღმოსავლეთ იმპერიის ისტორიის შესავსე-

ბად, ამბობს, რომ სარდალი ხაბაბი სომხეთიდან საქართველოს წავიდა, აიღო თფილისი და იმ ქვეყნის სხვა უმთავრესი ქალაქებიო. იქიდან შევიდა კავკასიაში და მრავალი ბარბაროსული ტომი დაიპყროვო. ჩრდილოეთ სომხეთის, საქართველოსა და კავკასიის ყველა თავადნი დათანხმდენ – მიეცათ მისთვის ხარკი, რომ გათავისუფლებულიყვენ არაბთაგანო [1]). ამ გარემოების გამოშვება „ქართლის ცხოვრებაში" იმას უნდა მიეწეროს, რომ მან ერთობ სწრაფად ჩაიარა და არ დაუტოვებია ხალხში იმგვარი შთაბეჭდილება, როგორიც დატოვა მირისა და არჩილის დროს მომხთარმა შემოსევამ; ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ მოგვთა მოძღვრება სრულიად დაე-

[1]) Lebeau, hist. Bas-Empire, tom. XI, p. 335.

ცა მუსულმანთა იარაღის მეოხებით, ასე რომ სტეფანოზს მიეცა საშვალება – თავისუფლად მიეყო ხელი ეკლესიის საქმეებისათვის. ჩვენის აზრით, ის მეფობდა 686 წლამდი [1]) და მას საქართველოს უკეთილმორწმუნეს მეფის სახელი მოუხვეჭია. მის დროს დასრულებულა წმ. ჯვრის ტაძრის შენება, დაბოლოებით აღუარებია მსოფლიო კრებას ქართველთ კათალიკოზის დამოუკიდებლობა, მისი უფლებანი პატრიარქთა უფლებებისათვის გაუთანასწორებია და მისი ხელმწიფება კავკასიის მთელს მართლმადიდებელ სასულიერო წოდებაზე გაუვრცელებია. სტეფანოზის მართველონზ დროსვე შეუდგენიათ საქართველოს კამერალური აწერა და საბერძნეთს გაუგზავნიათ.

ამასობაში აღმოსავლეთსა და განსაკუთრებით სომხეთში შფოთი არ დამცხრალა. იმპერატორს კოსტანტინე II-ს უნდოდა – დაემკვიდრებია თავისი ხელმწიფება სომხეთში და მოესპო იქ ევტიხის მო-

ძღვრება; ამიტომაც 647 წელს მრავალრიცხოვან ჯარით შევიდა ის ამ მხარეს და ისე შეაიწროვა სომხები, რომ აიძულა ისინი – მიქცეულიყვენ არაბებთან, რომელნიც ამ დროს ხელახლავ შემოესიენ ამ მხარეს. მაგრამ არაბთა მფლობელობა უფრო სამძიმოდ მოეჩვენა მათ, ვიდრე ბერძენთა შეიწროებანი. 656 წელს იმათ აღიარეს იმპერატორის ხელ-

---

[1]) ქართულ მატიანეთა ჩვენებით – 663 წლამდი.

მწიფება, მაგრამ, ხალიფა მოავიას სამხედრო მზადებით შეშინებულებმა, 657 წლიდან ისევ ხარკის ძლევა დაუწყეს არაბებს. ამგვარს რყეულ მდგომარეობაში იყო საზოგადოდ საქმეები აღმოსავლეთში 686 წლამდი, როცა იმპერატორმა იუსტინიანე II-მ, არაბებთან სომეხთ კავშირის უკმაყოფილომ, ჭოჭმანობაში მყოფის პროვინციების ბედ-იღბლის გადასაწყვეტად გაგზავნა თვისი ჯარები [1]).

იმავე წელს იმპერატორსა და ხალიფას შორის შეკრულ ზავის პირობებით კიპრის კუნძული, სომხეთი და საქართველო გაიყო მათ შორის ისე, რომ იუსტინიანესა და მოავიას თითოეულ ამ მხარეთაგანის ნახევარი უნდა ეფლო [2]). აბულფარაჯის მოწმობით, ამ ზავის შეკვრამდი მთელი საქართველო იმპერიას ემორჩილებოდა.

შეიძლება ეს დანაწილება იყო იმის მიზეზი, რომ სტეფანოზს შემდეგ საქართველოში რამდენმე ხანს ორი მეფე იჯდა ტახტზე: მირი და არჩილ II, თუმცა იმათი ტახტზე ასვლის დრო, ვახრიტის ქრონოლოგიით, ამ ზავის ბევრად უფრო ადრეა ნაჩვენები. ადგილობრივი მატიანე საქართველოს ყოფს აგრეთვე ორ სამეფოდ 663 წლიდან სტეფანოზის ორ შვილს, მირსა და არჩილს, შორის, რომელთაგანაც პირველი დასავლეთის მაზრებს ფლობდა, მე-

[1]) St. Martin, mémoires sur l'Arménie, tom. I, p. 337 et 338.
[2]) Hist. du Bas-Emp., tom. XII, p. 7.
[3]) Chron. Syriac., p. 117 et 118.

ორე კი – აღმოსავლეთისას; მაგრამ მალე, არაბების შიშით, არჩილიც იძულებული შეიქნა – თავი დაენებებია თავის წილხთომილ მხარესათვის და თავის ძმასთან მირთან სამეგრელოს წასულიყო.

სენ-მარტენი იხსენიებს ბერძნების ერთს ლაშქრობას, რომელიც მათ 690 წელში მოუხთენიათ საქართველოს დასაპყრობად, მაგრამ არა სჩანს, თუ რა მიზეზი იყო საქართველოს მხრით ამ ლაშქრობისათვის და რომელი მისი ნაწილი დაიპყრეს ბერძნებმა: ის, რომელიც 686 წლის პირობებით არაბებს ეკუთვნოდა, თუ ის, რომელიც თვითონ მათ, ბერძნებს, ეკუთვნოდა [1]). 697 წელს ალიდის წინამძღოლობით არაბები შეესიენ ჭანეთს, და ბერძნების სარდალმა სერგიუსმა გადასცა ალიდს შავის ზღვის მთელი განაპირა ადგილები [2]). ლებო ამბობს კიდევ ლეონ ისავრიელის ერთის ექსპედიციის შესახებ, რომელიც მას აჯანყებულ აფხაზთა, ჭანთა და ქართველთ დასამშვიდებლად მოუხთენია 713 წელს. ამ დროს საქართველოს განაპირა ნაწილებში იყვენ კიდევაც არაბებისაგან დაყენებული მართველები, როგორც მაგალითად ვიღაც ფარსმანი [3]); მაგრამ, ქართული მატიანეები ამ ლაშქრობათა შესახებ ისე სდუმებს, როგორც არაბთა შესევაზე 642 წელს, ტრაკტატზე, რომლის ძალითაც ამ ქვეყნის ნაწილი

[1]) Mémores sur l'Armén., tom.I , p. 339.
[2]) Hist du Bas-Emp., tom. XII, p. 42.
[3]) Ibid. p. 94-97.

ბერძნებმა ხალიფა მოავიას გადასცეს, და იმ გარე-
მოებათა შესახებ, რომელანიც მოხთენ საქართველოს
საზღვრებს შიგნით, გინა მეზობელ მხარეებში, მურ-
ვან ყრუს შემოსევამდი.

მე-VIII საუკუნის დასაწყისს ხაზარებმა, რო-
მელნიც კავკასიის ჩრდილოეთის მხარეებისა და დნე-
პრიდან დაწყებული ვოლგასა, თერგსა და დარუ-
ბანდამდი ყველა ველურ ურდოს მფლობელნი შე-
იქნენ, გადალახეს კავკასია, რომ ჩამოერთმიათ არა-
ბებისათვის სომხეთსა და მის მახლობელ მხარეებზე
ბატონობა. წარმატება დიდხანს ხან ერთ მხარეზედ
იყო, ხან მეორეზე; დასასრულ 722 წელს არაბებმა
ცოტაოდნად სძლიეს და მოიწადინეს ხაზართა სა-
ბორგავ ადგილებში შესვლა, მაგრამ მაინცადამაინც
ვერაფერი წარმატება ნახეს და უკანვე დაბრუნდენ.
ხალიფამ იეზიდმა ომის გაძღოლა მიანდო თვის
ნიჭიერ სარდალს ჯარახს. მრავალრიცხოვან ჯარით
ამან დაამარცხა ხაზარები საქართველოში, ალაზნის
ნაპირზე, დაედევნა მათ უკან მთებში და აიღო
მრავალი კოშკი, რომელნიც ამ ბარბაროსებს ეკუ-
თვნოდენ და როდესაც ხალიფად გიშამი დაჯდა,
ამან ჯარახი დაითხოვა და მის ადგილას დანიშნა თა-
ვისი ძმა მოსლემა. ცოტა ხანს შემდეგ ხაკანის შვილი
ურიცხვი ჯარით ადარბადაგანამდი მივიდა. მოსლე--
მამ უკუაქცია ის, დაამარცხა ორ ბრძოლაში
და გაირეკა შირვანისკენ, აიღო დარუბანდი, შევიდა
ჩრდილოეთის მხარეს და იმ ქვეყნის ყველა წვრილმა-

ნი მთავარი დაიმორჩილა. მაგრამ ცოტა ხანს შემ-
დეგ იგი ძლიერად დამარცხდა, და ამიტომ მისმა
ძმამ გამოცვალა ის და მის მაგიერ ხელახლავ ჯა-
რახი დანიშნა. 728 წელს ხაზარებმა გადალახეს

კავკასია და დაიჭირეს სომხეთი და ადარბადაგანი. ჯარახმა ადერბილს მიმართა მტრის შესაჩერებლად, მაგრამ ამ ქალაქის მახლობლად იგი დაამარცხეს და მოკლეს, ხაზარებმა-კი განაგრძეს თავიანთი ამაოხრებელი მოძრაობა მოსსულის კარამდი. გიშამმა დაუყოვნებლივ გაგზავნა მათ წინააღმდეგ სანდი და შემდეგ მოსლემა. ამ სარდლებმა შეაკავეს ისინი და უკუაქციეს: მოსლემა უკან დაედევნა მათ, აიღო დარუბანდი და გადმოასახლა აქ სირიიდან 40,000 მუსულმანი. 731 წელს მოსლემამ ხელახლავ გაილაშქრა ხაზარებზე, მაგრამ, კავკასიის ვიწრო გასავალნი რომ გაიარა, უკანვე დაბრუნდა წარუმატებლად. ხალიფა არ იყო მისი კმაყოფილი, გამოცვალა ის და მის მაგიერ მამადის შვილი სარდალი მურვანი დააყენა. მედგარ ომებს შემდეგ ამან დაიმორჩილა აღმოსავლეთის კავკასიის ყველა მთავარი, ყოველგან დაამკვიდრა არაბთა მფლობელობა და ბოლოს მტკიცე ზავი შეკრა ხაზარებთან [1]).

„ქართლის ცხოვრებაში" გამოშვებულია ყველა ეს გარემოება, რომელიც ცოტად თუ ბევრად აგრეთვე საქართველოს ეხებოდა, და მოგვითხრობს სა-

[1]) Hist. du Bas-Empire, tom. XII. p. 165-169.

კუთრად მურვანის მოქმედებათა შესახებ ამ მხარეში; ის ამბობს: როცა მეფენი მირი და არჩილი სამეგრელოში იყვენ, საქართველოს შემოესია არაბეთის სარდალი მურვან ყრუო. საქართველოს მცხოვრებნი, თავზარდაცემულნი, მიივლტოდენ კავკასიის ხეობებში თავშესაფარადო. მურვანმა დარიალის გასავალს მიმართა, დაიჭირა მისი კარი და ქართლით უკანვე მიიქცა; ქართლი და სამცხე ააოხრა და შემდეგ გაემართა არგვეთს, სადაც იმ კუთხის სახელოვანი პირნი, ერისთავთა დავითისა და კოსტანტინეს

წინამძღოლობით, მამაცურად დაუხვდენ მურვანის წინამებრძოლ ჯარებსო. მტერი დამარცხდა, გაიფანტა და გაიქცაო. როგორც-კი გაიგო მურვანმა წინამებრძოლ ჯარის დამარცხება, დაუყოვნებლად შეაერთა ყველა თავისი ჯარები და თვითონ წაუძღვა მათ არგვეთსო. ერთის მხრით იყო ქართველთა სიმამაცე, მეორეს მხრით – არაბთა მრავალრიცხოვანება: მტრის ურიცხვს ჯარებს ეჭირათ ყველა გზა, მინდვრები, მთები და ტყეებიო. ქართველები დაამარცხეს და მათი წინამძღოლნი ტყვედ წაიყვანეს. დავითი და კოსტანტინე წარუდგინეს მურვანს ხელებშეკრულნი. ბარბაროსმა ბძანა მათი წამება და შემდეგ მათ სხეულთა გადაგდება ტბაშიო.

მეფეთ მირისა და არჩილის თავშესაფარ ადგილის ძებნაში მურვანმა ააოხრა მთელი იმერეთი და სამეგრელო ქალაქ ანაკოფიამდი. როცა შეიტყო მირისა და არჩილის ამ ქალაქში ყოფნა, გარშემო-

ერტყა მას. მეფეებს ყავდათ მხოლოდ 2000 აფხაზი და 1000 ქართველი თავისი ამალა – და მაინც იბრძოდენ თავგადადებით, თუმცა-კი უიმედოდ; მაგრამ მოვიდა კოკისპირული წვიმები, მდინარეთა ნაპირებიდან გადმოვიდა წყალი და მოაწვა არაბთა ბანაკს. ამ დროს გარშემორტყმულებმა ხერხიანად მოახთინეს მტრის თავდასხმა, – და ყველა ამან აიძულა მურვანი –გარშემორტყმა მოეხსნა და ზღვის ნაპირ-ნაპირ სამხრეთისკენ უკუქცეულიყო. გზა ისე წამხთარი იყო, რომ მხედარნი ტალახში ეფლობოდენ და მოძოაობის შესამსუბუქებლად არაბები იძულებულნი იყვენ – მოეჭრათ ცხენებისათვის კუდები, რომელიც ტალახით იყო დამძიმებული და მეტ ბარგს შეადგენდა. დასასრულ მურვანი გამოვიდა საქართველოს საზღვრებიდან, მაგრამ ეს ქვეყანა იმისთანა მდგომარეობაში დატოვა, რომ იმაში არ ყოფილა თითქმის

არც ერთი მთელად გადარჩენილი შენობა, არც საცხოვრებელი რაიმე სანოვაგე, და ამასთანავე მთელი მხარე ვალდებული შეიქნა – ეძლია ხარკი არაბებისათვის.

ჩვენის აზრით, ეს შემოსევა 686 წლის ტრაკტატის შედეგი იყო, რომლის პირობათა ძალითაც აღსარებული იყო არაბთა მფლობელობა ნახევარ საქართველოში. ვართაპედ ღევონდის მოწმობით, მურვან ყრუს, ხალიფა გიშამის სარდალს [1]), არ შე-

[1]) Addit. Et el'air. L'hist. de la Géorg., p. 250.

ეძლო – მოეხთინა ეს ექსპედიცია 686 წლის უფრო ადრე, როგორც ამაში ქართველთ მემატიანენი გვარწმუნებენ. ალბად მურვან ყრუ გიშამის ის სარდალი იყო, რომელმაც მოსლემა გამოცვალა [1]) და ჯიგუნსა, ოქსსა და კავკასიაში ომობდა და რომელიც შემდეგში იწოდებოდა ხალიფად მურვან II-დ [2]).

რა სისწრაფითაც არაბებმა სპარსეთი დაიჭირეს, თითქმის იმგვარვე სისწრაფით მოსპო იქ მამადის სჯულმა ცეცხლისმსახურება. პირველი ხალიფები იმ საზოგადოებათა შორის, სადაც ერთღვთაების სარწმუნოება სუფევდა, საზოგადოდ არ ყოფილან უკიდურესი ფანატიკოსები, ხოლო წარმართების მიმართ-კი შეუბრალებელნი იყვნენ. იმათ დაანგრიეს მათი ბომონნი, დაუწყეს მოგვებსა და მხურვალე ცეცხლისმსახურებს დევნა, და მოკლე ხანში სპარსელთ უმეტესმა ნაწილმა მამადიანობა მიიღო [3]); ისინი-კი, რომელნიც მტკიცედ იდგენ თავიანთ ძველ სარწმუნოებაზე, იძულებულნი იყვენ – თავი დაეცვათ დევნისაგან ინდოეთსა თუ სხვა ადგილებში, სადაც არაბები უფრო იშვიათად დადიოდენ. ასე დაემხო ზოროასტროს დიადი ძველი სკოლა. ზენდ-ავესტა მთელ აღმოსავლეთში იყო გამეფებუ-

ლი და მისი მოძღვრება, თუმცაღა სახეშეცვლილი-

---

[1]) Hist. du Bas-Empire, tom. XII. p. 169.

[2]) Всемірная исторія Шлоссера, томъ V, стр.

[3]) Champollion – Figeac, hist. de la Perse, p. 137.

თითქმის უშორეს დასავლეთამდი მივიდა [1]). ამ სარწმუნოების აღმსარებელთა მცირე რიცხვი დღეს ცნობილია გვებრთა ანუ გაურთა სახელწოდებით.

---

[1]) ვოლტერის აზრით, ცეცხლისმსახურებამ თვით რომამდი მიაწია, სადაც ინახებოდა საღვთო დაუქრობელი ცეცხლი და სახელად ერქვა „ვესტა", სიტყვისაგან ზენდ-ავესტა (Oenvres completes de Voltaire, tom. VI, p. 224.)

საქართველოს სახელმწიფოებრივის, სარწმუნოებრივისა და საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრების მიმოხილვა არაბთა მფლობელობამდი.

საქართველოს, როგორც განკერძოებულ სამეფოს, მდგომიარობის გასაგებად ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ ძველ საუკუნოებში, პომპეის ამ მხარეს შემოსვლის შემდეგაც-კი, ის იყო დამოუკიდებელი მხარე, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევდენ ზემო აზიის მბძანებელნი სტრატეგიულ მხრით. კასპიისა და შავის ზღვის მეოხებით ხმელთაყელად გადაქცეული და ზურგიდან მაღალ ქედით დაცული, რომელს იქითაც ცხოვრობდენ ველური მეომარი ხალხები, რომელნიც ამ ქვეყნის ჯარების, ასე ვთქვათ, რეზერვებს შეადგენდენ, – საქართველო მირიანის დრომდი ყოველთვის საშიშარი იყო ორის ხალხისათვის: რომაელთა და სპარსელთათვის, რომელნიც ბძანებლობდენ მთელს ძველ ქვეყანაში და რომელ-

ნიც ერთმანერთს ეკამათებოდენ ტიგრსა და ეფრატს შუა მდებარე მიწებისათვის. აზიისა და ევროპის ისტორიულს ყველა ხალხს დიდიხანი იყო თავისი ბედ-იღბალი ამ ორის სახელმწიფოს ბედ-ღბლისათვის შეეერთებია, და მხოლოდ საქართველო-ღა და-

რჩენილიყო განცალკევებულად, მათგან დამოუკიდებლად. მაგრამ, 265 წელს დინასტიურმა გარემოებებმა ეს პატარა განკერძოებული სამეფო ბოლოს დაუკავშირა სპარსეთს, და პატარა სამეფოს კავშირი ვრცელსა და ძლიერ სახელმწიფოსთან, როგორიც იყო მაშინ სპარსეთი, არ შეიძლება სხვანაირად გავიგოთ, თუ არა დამოკიდებულებად. მაგრამ, სპარსელთ მეფეების განუწყვეტელი ბრძოლა რომაელებთან ნებას არ აძლევდა პირველთ –მოესპოთ საქართველოსთვის ავტონომია და გადაექციათ ის სატრაპიათ, როგორც ყოფილა ეს, უძველეს გადმოცემათა რწმუნებით, აქემენიდების დროს. 296 წელს ნიზიბისის ზავმა გაათავისუფლა იგი სპარსელთაგან და მიანიჭა უფლება დიოკლეტიანეს – ეძლია ქართველთ მეფეებისათვის ტახტზედ ასვლის ინვესტიტურა; მაგრამ, რადგან დიოკლეტიანე მორიანზედ უწინ მოკუდა, ეს უფლება აღარ გამართლდა. ამგვარი იყო ძველად საქართველოს მდგომიარობა, როგორც დამოუკიდებელ სამეფოსი. უცხო ხალხები ძალადობით არც სცვლიდენ და არც აიწროებდენ ქართველთ სარწმუნოებასა და მათ ჩვეულებათა.

ქრისტიანობის მიღებისათანავე-კი საქართველოს სახელმწიფოებრივი ყოფა-ცხოვრება შესამჩნევად შეიცვალა. საბერძნეთ-რომის იმპერიისა და სპარსეთის ამ ქვეყანასთან დამოკიდებულება უფრო საგრძნობელი შეიქნა, ვიდრე ძველად იყო. ერთის მხრით, ბიზანტიის კარი ხელს უწყობდა საქართვე-

ლოს ყველაფერში, რაც-კი სარწმუნოებას შეეხებო-
და, იმ ანგარიშით, რომ განემტკიცებია თავისი გა-
ვლენა მაზედ და მით მოესპო ის დაბრკოლება, რო-
მელიც წინ ხვდებოდა იმპერიის საბძანებელს ტიგ-
როს იქითა მხარეზე ამ ქვეყნის სტრატეგიულ მდე-
ბარეობის მეოხებით. მაგრამ ალბად ბიზანტიას სურ-
და – დაეფარა ნამდვილი მიზეზები, თუ რისთვისაც
თანაუგრძნობდა ის საქართველოს სარწმუნოების სა-
ქმეში, და ამიტომაც იმეცადინა პირველ მსოფლიო
კრებაზე, 325 წელს, საქართველოს ეკლესია დაე-
მორჩილებია ანტიოქიის, და არა კოსტანტინეპო-
ლის საპატრიარქოსათვის. საქმით-კი ეს სულ ერთი
იყო: ორვე საპატრიარქოს ერთი პოლიტიკური
უფროსი ყავდა. ჩვენ კიდევაც დავინახეთ, რომ სა-
ქართველოს საღვდელოებამ თავიდანვე დაიმორჩილა
საერო ხელმწიფება და საბერძნეთის საღვდელოების
სასარგებლოდ მოქმედებდა; მეორე მხრით, ქართველ-
თაგან ქრისტიანობის მიღებამ და საბერძნეთთან იმათ
დაახლოებამ გააძლიერა სპარსელთ პოლიტიკური
მეტოქეობა იმპერიასთან და მოგვების სასტიკის ფა-
ნატიკურ ბრძოლის საბაბი შეიქნა: ისინი მუდამ მე-
ცადინეობდენ – ისევ გაბატონებულიყვენ საქართვე-
ლოში, რომელიც ძველად მათი სამკვიდრო იყო.
ეს ბრძოლა გაგრძელდა სამის საუკუნის განმავალო-
ბაში და მხოლოდ მაშინ გათავდა, როცა მოგვთა
მოძღვრება დაეცა ქრისტიანობის სხვა მტრების –

მამადიანების იარაღის მეოხებით. ამ ბრძოლას თან
მოყვენ შემდეგი გარემოებანი: საქართველოს დასა-
ვლეთის ნაწილები ხან ბერძენთ ხელში გადადიოდა,
ხან სპარსელთ ხელში, და მტრები ხშირად შეესე-
ოდენ ხოლმე ამ ქვეყნის შუასა და აღმოსავლეთის

ნაწილებს, თუმცა ადგილობრივი მცხოვრებნი მხნედ იცავდენ სამეფოს ავტონომიას და თუმცა ამ საქმეში მათ მოქიშპეებიც ხელს უწყობდენ ვახტანგ გორგასლანის გამარჯვებით, იუსტინე I-ის ედიკტით, იუსტინიანე I-ისა და ნუშირვანის ტრაკტატით და პირობებით, რომელიც იმპერატორმა მავრიკიმ პარვიზს შეუკრა.

როცა ქართველებმა მავრიკის თხოვეს – გამოერჩია მათთვის მეფე ვახტანგ გორგასლანის შთამომავლობათა შორის, რომელნიც მის საბძანებელში ცხოვრობდენ, იმან დანიშნა გურამი, მაგრამ უწოდა მას მთავარი და არა მეფე. ეს საქციელი ცხადად გვიჩვენებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იმპერატორთა ზრუნვა უანგარო არ ყოფილა და სარჩულად არ ქონია მას მხოლოდ ერთსარწმუნოებისადმი თანაგრძნობა, – იმათ უნდოდათ – დაეშორებიათ ქართველთაგან სპარსელთ გავლენა და, როცა კაი შემთხვევა მიეცემოდათ, შეეტანათ საქართველო საბერძნეთის იმპერიის პროვინციებში. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ბერძენთა დაუფარავმა მოქმედებამ საქართველოს ავტონომიას სარგებლობა მოუტანა, და მათი ფარული გან-

ზრახვები-კი არ განხორციელდა.

ამასობაში საბერძნეთის საღვდელოების ძლიერის მფარველობით დაფუძნებული ქრისტეს სარწმუნოება საქართველოში თანდათან ფეხს იმაგრებდა. თავდაპირველად, ვახტანგამდი, ქართველთ ეკლესიას არქიეპისკოპოსები მართავდენ, შთამომავლობით ბერძენნი, რომელნიც ანტიოქიის საპატრიარქოს ემორჩილებოდენ; ამ მეფემ იმდენი საქმე ქნა, რომ საქართველოს ეკლესიის უფროსებად, არქიეპისკოპოსების მაგიერად, კათალიკოზები დაადგინა; ესენი აგრეთვე ბერძეთაგანვე ირჩეოდენ, მაგრამ თავის ხარისხით

პატრიარქს არ ემორჩილებოდენ, თუმცა მათი კურთხევა ანტიოქიაში უნდა მომხთარიყო. იუსტინიანე I-ის დროს ქართველებმა ნება მიიღეს – კათალიკოზი თავიანთ ქვეყნის მკვიდრთაგანვე ამოერჩიათ, და ბოლოს, ადარნასეს მართველობის დროს, საქართველოს ეკლესია სრულიად დამოუკიდებელი შეიქნა: კათალიკოზები ეკურთხებოდენ ხოლმე თვით საქართველოში საღვდელოების კრებულის მიერ, და მათი ხელმწიფება გავრცელებული იყო მართლმადიდებლობის ყველა ეკლესიაზე შავის ზღვის ნაპირებიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდი.

საღვდელოების წოდების დაწესებამ საქართველოში დაბადა ამ წოდებისათვის ახალგაზდა კაცების მომზადების საჭიროება, და ამიტომაც დაფუძნდა სამრევლო სკოლები. განათლებისა და სკოლების თავდაპირველ მდგომიარობის შესახებ ბაქარ I-ის

დროს ჩვენ ზევით ვთქვით; მათის შემდგომ დროის მდგომიარობის შესახებ-კი ჩვენ მტკიცე დოკუმენტები არა გვაქვს, მაგრამ, თუ ქართველთ საღვდელოების ხელმწიფების განუწყვეტელ გაძლიერებას მივიღებთ მხედველობაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მდგომიარობა თუ არ გაუმჯობესებულა, დაცემით მაინც არ უნდა დაცემულიყო.

სკოლებში აზრდას გარდა იმ დროის ქართველებს ქონიათ ჩვეულება, რომელიც დღემდის დარჩენილა კავკასიის ზოგიერთ ხალხებში: ისინი აბარებდენ თავიანთ შვილებს უცხო ოჯახებში, როგორც გასაზრდელად, ისე ასაზრდელადაც. ამ ჩვეულების დაცვა ჩვენ შევნიშნეთ „ქართლის ცხოვრებაში“ იქ, სადაც ეს მატიანე ვახტანგ გორგასლანის სიყმაწვილეს მოგვითხრობს

რაც უნდა მოკლე იყოს ჩვენი მიმოხილვა ქართველთ ყოფა-ცხოვრების შესახებ, ამ სამის საუ-

კუნის განმავალობაში, იმის ზერე-ქვერე გასაცნობა-
დაც-კი საჭიროდ ვრაცხთ, გვეთქვა რაიმე ხალხის
მეურნეობისა და აღებ-მიცემობის შესახებ, მაგრამ,
სამწუხაროდ, საზოგადოებრივ ცხოვრების ეს მხარე
ძველ მატიანეებს არ მიაჩნდათ ისტორიის ყურად-
ღების ღირსად და ამით მოუსპიათ იმათ საშვალება
შთამომავლობისათვის, დაეკმაყოფილებია თავისი ცო-
დნისმოყვარება. მაგრამ, დარწმუნებით შეიძლება
ვთქვათ, რომ ამ დროის გარემოებანი ხალხის ძველ
ავლა-დიდების მხოლოდ გაქარწყლებას უწყობდენ

ხელს. ერთი რომ – უცხოქვეყნელნი განუწყვეტლად
არბევდენ საქართველოს, და მეორე – თანამედროვე
შეხედულობით ქრისტეს სარწმუნოებაზე კერძო სა-
კუთრება სრულიად უნდა გადაელიათ ეკლესიებსა
და საღვდელოებაზე იმდენად, რამდენადაც ამას
თვით ცეცხლისმსახურება არ თხოულობდა. მხოლოდ
ის გარემოება, რომ თავდაპირველად ყოველგან უნ-
და აეშენებიათ ტაძრები და, რამდენჯერაც სპარსე-
ლები ააოხრებდენ, იმდენჯერ ხელახლავ უნდა აეშე-
ნებიათ, – უეჭველია, ძლიერად შეარყევდა ხალხის
სიმდიდრეს და მასთან მეუნეობასაც. მარტო ფარს-
მან VII-ის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის ოთ-
ხის სოფლის, საეკლესიო მდიდარ ჭურჭელ-სამოსე-
ლისა და ოცდაათის ლიტრა ოქროს შეწირვა [1]) ამ-
ტკიცებს იმას, რომ ამგვარ შენობათათვის დიდძალი
განძი იხარჯებოდა.

ჭანეთის გამი მომხთარ ომის აწერილობისა და
იუსტინიანეს კოდექსისაგან ვიცით, რომ ბერძნები
ძლიერ აიწროებდენ აღებ-მიცემობაში ადგილობრივ
მცხოვრებთა და, განსაკუთრებით, ზღვის განაპირა
ადგილების მცხოვრებლებს თუმცა 561 წლის ზა-
ვის პირობები თავისუფალ ვაჭრობის ნებას იძლეო-
და, მაგრამ არ ვიცით, რა ზომამდი იყო აყვავებუ-

ლი საქართველოში აღებ-მიცემობა განუწყვეტელ ომების დროს; ესეც კი უნდა ვთქვათ, რომ იმდროს

[1]) შიომღვიმის უდაბნოს აწერა, იოსელიანი, გვ. 52.

ქართველთ ცხოვრება არ უნდა ყოფილიყო აღებ-მიცემობას მოკლებული, რაიცა მტკიცდება იმ დროის მოჭრილის მრავალ ქართულ ფულის არსებობით. ჩვენ მიერ ცნობილი იმ დროის ფული იყო ვეცხლისა, ეგრედ წოდებული დირგემები. ეს ფული, დაახლოებით, უდრიდა ჩვენს დღევანდელ ექვს შაურს [1]).

ამავე ფულისა და ზოგიერთ ჩუქურთმების მეოხებით აიხსნება იმ დროის ტანმორთულობა, რაიცა პრაგმატიულ ისტორიისათვის ფრიად საგულისხმო საგანს შეადგეს. ქართველთ მეფეების გვირგვინებს იმგვარივე ფორმა ქონდა, როგორიც სპარსელთ სასანიანთ დინასტიის მეფეების გვირგვინებს: იმათზედ იყო პარალელურად შემოვლებული ორი არშია, მათ ზევით – სამი გამობერილი ბუშტი, რომელთაგანაც შუა ბუშტი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ორი დანარჩენი „ქართლის ცხოვრება" ამბობს, რომ ვახტანგ გორგასლანმა ორი გვირგვინი მიიღო, ერთი იმპერატორ ლეონისაგან (ალბად ბერძნულ გვირგვინთა მსგავსი), და მეორე – სპარსელთ მეფის ფეროზისაგანო. როგორც სჩანს, ამ უკანასკნელ გვირგვინის ფორმა შემოუღიათ ვახტანგ გორგასლანის მემკვიდრეებს. ქართველები წვერსა და ულვაშს არ იპარსავდენ. იმათ ტანსაცმელს შეადგენდენ: ახალოხი და ქამარი და ყურთმაჯებიანი ჩოხა; ფეხსაცმელს –

[1]) Шлоссеръ, т. V, стр. 51.

მაღალყელიანი წაღები, რომელიც იდგა მაღალ ქუ-
სლებზე და რომელსაც წვერი მაღლა ქონდა აპრე-
ხილი [1]). მაგრამ ეს ფეხსაცმელი, ვგონებ, არ ყო-
ფილა საერთო ხალხის ყველა წოდებისათვის, რად-
გან ხალხის ახლანდელი ფეხსაცმელი (ქალამანი),
რომელიც – ყოველ ეჭვს გარეშე – სანდალისაგან წარ-
მომდგარა, ამტკიცებს, რომ ის ძველისძველადვე
არსებულა, როგორც ახლა, დაბალ ხალხის სა-
ხმარებლად.

„ქართლის ცხოვრებაში“ ჩვენ ვპოულობთ,
რომ ვახტანგ I-ის ომების დროს ქართველები შე-
იარაღებული ყოფილან შუბებით.ი შვილდ-ისრითა
და ფარ-ხმლით; მაგრამ, ალბად, ბევრს მათგანს ქონ-
და აგრეთვე ჯავშნები და ჩაჩქნები, რომელნიც იხ-
მარებოდენ სპარსეთში.

მუსიკალურ იარაღთა შორის, რომელთაც ომებ-
ში ატარებდენ, ქართველებს ქონიათ მხოლოდ
ბუკი და დაფდაფი ამავე იარაღებს ხმარობდენ აგრეთ-
ვე სახალხო დღესასწა,ულობათა დროს.
ძველის ისტორიის თავში ჩვენ კიდევაც შე-
ვნიშნეთ, თუ როგორ სრულდებოდენ სარწმუნოე-
ბრივი დღესასწაულობანი წარმართობის დროს, იგი-
ვე წესები დარჩა ქრისტიანობის დღესასწაულობათა
დროსაც და ისინი იმავე ადგილებზე სრულ,დებოდენ,
სადაც საწარმართო დღესასწაულობანი იყვენ, მაგ-
რამ კერპების სამსხვერპლოების წინ კი არა, არა-

[1]) Bartholomaei, lettres numismat. Et archeol. Planch. I et III.

მედ ტაძართა მახლობლად, რომელნიც უწინდელ სტა-
ტუების მაგიერ იყვენ აშენებულნი, და ამასთანავე,
რასაკვირველია, ადამიანებს არ მსხვერლავდენ [1]).

ამ დროის სახალხო ჩვეულებათა შორის, რო-

მელთაც თან მოყვებოდენ ხოლმე სიამოვნება და ცრუმორწმუნება, შესანიშნავია ეგრედწოდებული :ჯუდიანების ღამე“. ეს ჩვეულება ბევრში გავს „ივანეს ღამეს“, რომელსაც ასრულებენ გერმანელი და სკანდინაველი ტომები 24 ივნისს; ქართველებმა-კი ეს ჩვეულება იციან დიდ მარხვის ხუთშაბათის წინა ღამით. და თუ ამ ჩვეულების მომდინარეობა ძალიან ძველი არ არის, ყოველ შემთხვევაში ის შემოუღიათ ქართველებს უსათუოდ ქრისტიანობის მიღების პირველ ხანებშივე, ცეცხლმსახურების დასაცინავად.

ამ ჩვეულების ასრულების შემდეგს დღეებს, დიდ პარასკევის განთიადამდი, ქართველები ატარებენ შემდგომს ცრუმორწმუნეობის ჩვეულების სრულებაში: ჭედენ ჯაჭვს ბოროტ სულის ამირანისათვის, რომელიც გადმოცემით კავკასიის მთებზედ არის მიჭედილი, – და უფრო ამ მიზეზის გამო მივაწერთ ჩვენ ზემოხსენებულ ჩვეულებას საქართველოში გავრცელებულ ცეცხლმსახურების მოგონებას. ეჭვი არ არის, რომ ქართველთ ამირანი არის ზენდ-ავესტის არიმანი.

---

[1]) გეოგრაფიული აღწერა ვახუშტისა, 48.

მეორე რვეულის დასასრული

შეცთომების გასწორება

გვ.	**დაბეჭდილია:**	**უნდა იყოს:**
9	ჭეშმარიტებასთან	ჭეშმარიტების
	უახ-	
12	ლოესს	დააარსა
14	დაარსა	ტანჯვით
15	ტანჯით	ისე როგორც

–	ისე როგორც აგრეთვე	შედეგი
–	შდეგი	ამას შემდეგ
26	ამის შემდეგ	ქონდა თავის
	ქონდათ თავიანთ	სინკლიტზე
27	სინკლიტზე	ოსმალეთის
29	თურქეთის	ამ ქვეყნის
31	ამ მაზრის	Bas-Empire, tom.
70	Bal-Empire, om	მეფის გამოხატუ-
	მეფის გამოხატუ-	ლებიდან
76	ლებისაგან	მფლობელობა
77	მფლობა	განუვითარებელ
	ანუვითარებელ	

80 გვერდზე, სათაურს შემდეგ, უნდა იყოს: საქართველოს მდგომარეობა. – ტახტის გადა-ტანა. – არისტოკრატიის ძლიერების გამოჩენა. – ქსნისა და არაგვის ერისთავთა მომდინარეობა.

გვ.	**დაბეჭდილია:**	**უნდა იყოს:**
82	სამნგირი	სამანგირი
86	გვერდზე 1 შენიშვნის ბოლოს უნდა იყოს: p. 84.	
89	ცავდენ	იცავდენ
90	აგრეთვე და ფრიად	აგრეთვე ფრიად
92	დაიცავენ ისინი	დაიცავს ის
100	ანიაბედმა შეხვდა	ანიაბედი შეხვდა
121	ქალაქი აჩუქა ნიკოფსია	აჩუქა ქალაქი ნიკოფსია
–	ჯებელის	ჯებელოს

შენიშვნა. პირველი წიგმის გასწორებულ შეცთომებში შეპარულა შემდეგი შეცთომები: ჩელტი, უფლის-ციხე, ადაროდიანები, Dudeux, დინასტიასა; უნდა იყო: ჩელთი, უფლის-ციხე, ალაროდიანები, Dubeux, დინასტიასა.

ს ა რ ჩ ე ვ ი.

გვერდი.

საშვალო საუკუნეთა ისტორია. . 2

ქრისტეს სარწმუნობის შემოტანა საქართველოში:

I. საქრთველოს მდგომარეობა სარწმუნოების მხრით ქრისტიანობის მიღებამდი . . 5
II. ქრისტიანობის გავრცელება საზოგადოდ და მისი მდგომიარობა საქართველოში დამკვიდრებამდი 11
III. ქართველების მიერ ქრისტიანობის მიღება . 16
IV. საქართველოს გაქრისტიანების შედეგი . 25

პერიოდი ქრისტეს სარწმუნობის მიღებიდან ვახტანგ გორგასლანამდე:

I. დრო მირიანის სიკვდილიდან სპარსელთ მიერ საქართველოს დაპყრობამდი . . 28
II. გარემოებანი 410 წლიდან ვახტანგ გორგასლანამდი 36

ვახტანგ გორგასლანის მუფობა:

I. გარემოებანი მირდატ V-ის სიკვდილიდან ვახტანგ გორგასლანის მიერ ტახტზედ ასვლამდი 43

II. ომი ჩრდილოეთის ხალხებთან . . . 50
III. ომი საბერძნეთთან 55
IV. კავშირის გაწყვეტა და ომი სპარსეთთან . 61
V. გარემოებანი სპარსეთთან ვახტანგის პირველ ომის დასასრულიდან მეორემდი . 67
VI. მეორე ომი სპარსეთთან და ვახტანგ გორგასლანის სიკვდილი 72

კავკასიაში სპარსელთ ბატონობის პერიოდი

I. კობადის ომი იმპერატორ ანასტასისთან 500-დან 505 წლამდი 76
II. შეხედულობა საქართველოს შინაურ მდგომიარობაზე ვახტანგის შემდგომ მეფეების დროს გურამ ბაგრატიონამდი . . . 80
III. ცვლილებანი, რომელნიც ხთებოდენ ჭანეთში მე-VI საუკუნის პირველ ნახევარში . 85
IV. ხოსრო ნუშირვანის ურთერთობანი კავკასიის ხალხებთან და მისი განზრახვანი . 96
V. მეორე და მესამე ომი ჭანეთისათვის . . 99
VI. სპარსელთ ბრძანებლობის პერიოდის დასრულება 109

მოგვთა ბოქლომის უკანასკნელ ბრძოლის პერიოდი მის დაცემამდი.

I. გურამ ბაგრატიონის მართველობა . . 113
II. სტეფანოზ ბაგრატიონისა და ადარნასე

სასასიანის მართველობათა დრო . . 118
III. აღმოსავლეთის მდგომიარობა არაბთა მიერ საქართველოს დაფლობამდი . . . 125
საქართველოს სახელმწიფოებრივის, სარწმუნოებრივის და საზოგადოებრივ ყოფაცხოვრების მიმოხილვა არაბთა მფლობელობამდი 143